

ივ. ჯაფარიძის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

ცირა ბარამიძე

თაბასარაული ენის ფონემატური სტრუქტურა



გამომცემლობა „ენიკარსალი“
თბილისი 2009

ნაშრომში წარმოდგენილია თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურის ძირითადი საკითხების ახლებური ანალიზის ცდა. შესწავლილია ფონემათა სინტაგმატიკის კანონზომიერებანი. გარდა ამისა, ნაშრომში პირველად არის განხილული თანხმონთანა კომპლექსები თაბასარანულ ენაში, გამოყოფილია ძირეული და მეორეული კომპლექსები, შესწავლილია ენაში მოქმედი ფონოტაქტიკური წესები თანხმონთანა კომპლექსების ჩამოყალიბების პროცესში, გაანალიზებულია მათ შორის მორფემათა მიჯნის ფონოტაქტიკა, აგრეთვე პროსოდიკის საკითხები. წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიური ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი პროფ. რ. ფარეულიძე

რეცენზენტები: † აკად. ქ. ლომთათიძე
აკად. წ/კ ვ. შენგელია
პროფ. თ. გვანცელაძე

© ც. ბარამიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@interneLge

ISBN 978-9941-12-723-6

შესავალი

თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურის შესასწავლად არსებითი მნიშვნელობა აქვს თანხმოვანთა და ხმოვანთა განაწილების კანონზომიერებათა დადგენას როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ფუძესა და ძირში, ასევე მორფემათა ზღვარზე. ცნობილია, რომ მორფემათა საზღვარზე შეიძლება შეგვხვდეს მიმდევრობები, რომლებიც არ დასტურდება მორფემის შიგნით¹. ცალკე განვიხილავთ თანხმოვანთკომპლექსთა განაწილების წესებს ამ ენაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ავლენს ფონოტაქტიკისა და გარდაქმნათა წესებს. მორფემის ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა კანონზომიერებებს ექვემდებარებოდეს, ერთი მხრივ, სტაბილური მიმდევრობები (იხ. ქვემოთ) და, მეორე მხრივ, მიმდევრობები, რომლებიც ხმოვანთა რედუქციის შედეგადაა მიღებული. სტაბილურ კომპლექსებს გაცილებით მეტი დისტრიბუციული შეზღუდვები აქვთ, ვიდრე რედუქციის შედეგად მიღებულთ. ამიტომ მორფემის შიგნითაც ცალ-ცალკე განვიხილავთ სტაბილურ მიმდევრობებსა და მიმდევრობებს, რომლებიც მიღებულია რედუქციის შედეგად.

თაბასარანული ენის ფონემათა განაწილების კანონზომიერებანი დღემდე შეუსწავლელია. ამით განისაზღვრა საკვლევი ობიექტისა და ნაშრომში გამოვლენილი კანონზომიერებების სიახლე.

თაბასარანული ენის ფონემათა დისტრიბუციული კანონზომიერებების გამოვლენა აქტუალურია ლეზგიურ ენათა შედარებითი შესწავლის თვალსაზრისითაც.

ნაშრომში განვიხილავთ ფონოტაქტიკისა და მორფონოლოგიის რიგ პრობლემურ საკითხებს თაბასარანულ ენაში.

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა განსაზღვრულია დამუშავებულ საკითხთა აქტუალურობითა და სიახლით.

კვლევის შედეგები პრაქტიკულად შეიძლება გამოყენებულ

¹ Трубецкой Н. С. Основы фонологии, Москва, 1961, გვ. 284; Гринберг Дж. Некоторые сообщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ж. «Вопросы языкознания», М., 1964, №4, გვ. 41.

იქნეს თაბასარანული ენის სპეცკურსისა და ლეზგიურ ენათა შედარებითი გრამატიკის სწავლების დროს.

ნაშრომში საანალიზოდ აღებულია თაბასარანული ენის ორივე — ჩრდილო და სამხრული — დიალექტი ყველა თქმით. ფონემათა სინტაგმატური მიმართებები განსხვავებულია მორფემისა და სიტყვის ფარგლებში, რაც უთუოდ მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. ენა აერთიანებს დიალექტებსა და სალიტერატურო ენას — ენის ქვესისტემებს. ქვესისტემები შეიძლება სხვადასხვა მომცველობის იყოს იდიოლექტიდან დიალექტამდე. ფონოტაქტიკური წესების ჩამოყალიბება მთელი ენის მასშტაბით მიზანშეწონილია მოხდეს დიასისტემური ანალიზის ხერხით, რომელიც ემყარება დიალექტებისა და ლიტერატურული ენის მონაცემებს. დიასისტემური ანალიზის ხერხით მიღებული წესები საიმედოა, რადგანაც ემყარება ქვესისტემათათვის საზიარო მასალასა და თვისებებს. ამავე დროს დიასისტემური მეთოდი მსჯელობის გარეშე არ ტოვებს ამა თუ იმ ქვესისტემის სპეციფიკას¹.

მასალა შეკრებილია დაღესტანში, კერძოდ თაბასარანში, 1986-90 წლებში მივლინებების დროს. აგრეთვე დამუშავებულია არსებული მონოგრაფიები თაბასარანული ენის შესახებ და სხვა გამოკვლევები. მასალა ამოკრებილია, აგრეთვე, „თაბასარანული ფოლკლორიდან“ (თბ., 2002).

¹ V. Weinreich, Is a Structural Dialectology possible? "Word", V. 10, №2-3, 1954.
Ernst Pulgram, Structural comparison, Diasystems and Dialectology, "Linguistics", 4, 1964.

საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

დალესტნურ ენათა ფონეტიკის შესწავლა იწყება დიდი ენათმეცნიერის პ. უსლარის შრომებით: "Аварский язык" (1889), "Лакский язык" (1890), "Хюркилинский язык" (1892), "Кюринский язык" (1896), "Табасаранский язык" (1979). ლ. ჟირკოვის შეფასებით, ეს შრომები გასაოცარი სიზუსტით აღწესდავენობრივ ფაქტებს¹. პ. უსლარი ამ შრომებში „პრაქტიკულად უკვე იყენებს ფონემის ცნებას“².

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ა. დირის დამსახურება დალესტნურ ენათა შესწავლაში. მან მოგვცა რიგ ენათა³ გრამატიკული აღწერა (ბგერითი შედგენილობა, მორფოლოგია, ლექსიკონი, ტექსტები). ოლონდ ა. დირის შრომები ენობრივი მასალის მოცულობისა და სიზუსტის მიხედვით გაცილებით დაბლა დგას პ. უსლარის შრომებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ამ შრომებმა დადებითი როლი შეასრულეს დალესტნურ ენათმეცნიერებაში. პ. უსლარისა და ა. დირის შრომებმა შექმნეს მტკიცე ბაზა დალესტნურ ენათა შესწავლაში.

1923-24 წლებში დალესტანში ხუნძახის, კიურიისა და ყაითაგო-თაბასარანის ოლქებში მოსკოვიდან ჩავიდნენ გამოჩენილი მეცნიერები ნ. იაკოვლევი და ლ. ჟირკოვი. ამ დროისათვის დალესტნურ ენათა შესწავლა პრაქტიკული მიზნებით ამოიწურებოდა — ამ ენათა ბგერითი შედგენილობის შესწავლა, ანბანების შედგენა დამწერლობის შექმნის მიზნით. ამ მიმართულებით მეტად ნა-

¹ Л. И. Жирков, Дагестанские языки и их изучение. Известия об-ва обследования и изучения Азербайджана, №1, Баку, 1926, гл. 3.

² В. Н. Сидоров, О московской фонологической школе. Развитие фонетики современного русского языка, М., 1971, гл. 10.

³ А. М. Дирр, 1) Удинский язык, Тифлис, 1903; 2) Грамматический очерк табасаранского языка, Тифлис, 1905; 3) Краткий грамматический очерк андийского языка, Тифлис, 1906; 4) Агульский язык, Тифлис, 1907; 5) Арчинский язык, Тифлис, 1908; 6) Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, Тифлис, 1909; 7) Рутульский язык, Тифлис, 1911; 8) Цахурский язык, Тифлис, 1913.

ყოფიერი იყო პროფ. ნ. იაკოვლევის მოღვაწეობა (განსაკუთრებით „ანბანის მათემატიკური ფორმულა“ — „Математическая формула алфавита“), რომელშიც მან „სრულიად ზუსტად და ნათლად მოგვცა ფონოლოგიის ფუნქციონირების შესახებ შეხედულება“¹. 20-30-იან წლებში იქმნება სასკოლო სახელმძღვანელოები ხუნძური, დარგუული, ლეზგიური, ლაკური, თაბასარანული და წახურული ენებისათვის (წახურული ენის დამწერლობას გაგრძელება აღარ ჰქონდა). ნაყოფიერად იღვწოდნენ სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში ადგილობრივი ენათმეცნიერები, კერძოდ: მ. საიდოვი, გ. შახნაზაროვი (ხუნძური ენა); რ. ჩუპანოვი, ს. აბდულაევი, ს. ომაროვი (დარგუული ენა); ა. ალკადარსკი, კ. ჰაჯიბეკოვი, მ. ჰაჯიევი (ლეზგიური ენა); ა. ისაევი, გ. გიტინაევი, გ. მურყელინსკი (ლაკური ენა), თ. შალბუზოვი (თაბასარანული ენა); ს. ჯაფაროვი (წახურული ენა) და სხვ.

ცალკეულ დაღესტნურ ენათა ინტენსიური შესწავლის მიუხედავად, 20-30-იან წლებში ფონეტიკის საკითხებს მხოლოდ პრაქტიკული თვალთახედვით ეხებოდნენ. ფონეტიკურ საკითხთა მიმართ ინტერესი ძლიერდება 50-იან და მომდევნო წლებში. იქმნება დაღესტნურ ენათა ზოგადი და კერძო ფონეტიკური საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები. მათ შორის აღსანიშნავია შ. მიქაილოვის შრომა „Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов“ Махачкала, 1958; ე. ბოკარევის „Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков“, Махачкала, 1958, „Смычногортанные аффрикаты прадагестанского языка“, „Вопросы языкознания“, М., №4, 1958; ბ. თალიბოვის „О некоторых фонетических процессах в лезгинском языке“, Ученые зап. Института ИЯЛ, т. XI, Махачкала, 1962; ტ. გუდავას „Консонантизм андийских языков“, Тбилиси, 1964; შ. გაფრინდაშვილის „Фонетика даргинского языка“, Тбилиси, 1966; გ. იბრაგიმოვის „Фонетика цахурского языка“, Махачкала, 1968; ბ. გიგინეიშვილის „Консонантизм лакского языка“, автореф. канд. дис-

¹ В. Н. Сидоров, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

სერტ., Тбилиси, 1963, "Общедагестанский консонантизм", автореф. докторск. диссерт., Тбилиси, 1973.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართველ კავკასიოლოგთა სკოლამ. აღსანიშნავია შრომები: არნ. ჩიქობავა, „ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან“, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I; №4, თბ., 1940; მისივე, „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“, ენიმკის მოამბე, I, 1937; მისივე, „საანგარიშო მოხსენება ხუნძური ენის ქარულ კილოზე მუშაობისა ზაქათალაში“, ენიმკის მოამბე, IV (3), 1939; მისივე, „პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“, ენიმკის მოამბე, X, 1941; მისივე, „ხუნძური ერგატივის ისტორია“, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სერია, თეზისები, 1941; მისივე, „ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში“, ენიმკის მოამბე, XII, 1942; მისივე, „ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში“, იკე, II, 1948; მისივე, „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“, ენიმკის მოამბე, I, 1937; ვ. თოფურია, „ბრუნების სისტემისათვის ლაკურს ენაში“, სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, 1940; მისივე, „გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში“, ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942; მისივე, „ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული პარალელები“, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სერია, თეზისები, 1941; ტ. გუდავა, „თანხმოვანთკომპლექსებისათვის ხუნძურში (ანლაუტი და აუსლაუტი)“, იკე, ტ. XVII, 1970; მისივე, „ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა“, იკე, ტ. V, 1953; მისივე, „ფარინგალურ თანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში“, იკე, ტ. IX-X, 1958; მისივე, „ბაგვალური ენის ფონეტიკის საკითხები“, იკე, ტ. XVI, 1968; გ. თოფურია, „ბრუნების ერთი სისტემის გენეზისისათვის დარგულ ენაში“, იკე, ტ. XXIV, 1985; მისივე, „ბრუნების ზოგი საკითხი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში“, იკე, ტ. XXVI, 1987; მისივე, „კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში“, იკე, ტ. XIII, 1962; შ. გაფრინდაშვილი, „ბგერათშესატყვისობებისათვის

დარგუულსა და ლაკურში“, იკე, ტ. VI, 1954; მისივე, „ლაბი-ალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“, იკე, ტ. VII, 1955; მისივე, „სისინა და შიშინა სპირანტების წარმოების თავისებურებისათვის (ზოგი იბერიულ-კავკასიური ენის მასალების მიხედვით)“, იკე, ტ. XI, 1959; ო. კახაძე, „ლატერალური თანხმონები არჩიულში“, იკე, ტ. IX-X, 1958; მისივე, „ორი ბრუნვის ურთიერთდამთხვევის შესახებ არჩიულში“, იკე, ტ. XV, 1966; მისივე, „პირის კატეგორიის შესახებ არჩიულში“, იკე, ტ. XIX, 1974; ე. ლომთაძე, „ა ხმოვნის სტატუსი ხვარშიული ენის დიალექტებში“, იკე, ტ. XXIII, 1985; მისივე, „ე ხმოვნის შესატყვისობანი დილოური ენის დიალექტებს შორის“, იკე, ტ. XXVI, 1987; მისივე, „თანხმოვანთა შესატყვისობანი დილოურ ენებსა და ხუნძურს შორის“, იკე, ტ. XIII, 1962; ა. მაჰომეტოვი, "Рефлексы фарингализованных согласных в агульском языке", იკე, ტ. XV, 1966; მისივე, "Фонетический обзор кубачинского диалекта даргинского языка", იკე, ტ. IX-X, 1958; გ. ბურჰულაძე, „ბრძანებითის იტერატიულ ფორმათა შესახებ ლაკურში“, იკე, ტ. XXII, 1980; მისივე, „მრავლობითი რიცხვის ორმაგი გამოხატვის თაობაზე კაპუქურ-ჰუნზიბურ ზმნაში“, იკე, ტ. XXVIII, 1989. შეიქმნა მრავალი მონოგრაფია ამ ენათა შესახებ.

ფონეტიკის საკითხები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დელეტურ ენათა შესახებ არსებულ მონოგრაფიულ გამოკვლევებში. სხვადასხვა ავტორები ფონეტიკის საკითხებს იკვლევენ სინქრონიული თუ დიაქრონიული თვალსაზრისით. ამავე დროს ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, მათ შორის მახვილის, მარცვლის სტრუქტურის, ფონოტაქტიკის საკითხები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში არის რიგი შრომები, მიძღვნილი ამ მნიშვნელოვანი პრობლემისადმი¹.

¹ იხ.: Л. И. Жирков, Законы лезгинского ударения. Сб. Язык и мышление, т. X, М.-Л., 1940, გვ. 107-177; Я. Сулейманов, Звуковой строй слога и слоговой строй слова в говорах андийского языка. Ученые записки Института ИЯЛ, т. XI, сер. фил., Махачкала, 1962, გვ. 151-156; Е. Ф. Джейранишвили, Ударение и связан-

ცოცხალი ენის ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ენათა ცვალებადობის ობიექტური კანონები, მათი ისტორია, გენეტური კავშირები. მახვილისა და მარცვლის სტრუქტურის, ფონოტაქტიკის საკითხთა სპეციალური გამოკვლევა დაგვეხმარება ავხსნათ ბგერითი და მორფონოლოგიური ცვალებადობანი დალესტნურ ენებში.

დალესტნურ ენათა თანხმოვანთა სისტემები ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ მსგავსებასთან ერთად განსხვავებასაც გვიჩვენებენ. დალესტნურ ენათათვის დამახასიათებელია აბრუპტივები, გემინატები, ლაბიალიზებული, ფარინგალიზებული თანხმოვნები და ლატერალები. ლეზგიურ ენებში სუსტადაა წარმოდგენილი გემინირებული აბრუპტივები (კომბინატორული ცვლილების შედეგი). ლაკურ-დარგულ ჯგუფში არ შემორჩა არც გემინირებული აბრუპტივები, არც ლატერალები. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში გვაკლია ფშვინვიერი გემინატები, აგრეთვე შიშინა დენტოლაბიალიზებულები.

კონსონანტიზმის საკითხი დალესტნურ ენებში შესწავლილია შედარებით უკეთ, ვიდრე ვოკალიზმი. აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის შესახებ განზოგადებული შრომის პირველი ცდა ეკუთვნის ნ. ტრუბეტკოის¹. მისი შრომა არის თეორიული აზრის საუკეთესო ნიმუში არა მარტო კავკასიურ ენათმეცნიერებაში, არამედ ზოგად ენათმეცნიერებაშიც. მასში მოცემულია ზუსტი ფონეტიკური და ფონოლოგიური ანალიზი ყველა მანამდე არსებული შრომისა, რომელიც კი ეძღვნება აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა შესწავლას. უპირველეს ყოვლისა, განხილულია პ.

ные с ним некоторые фонетическо-морфологические процессы в цахурском и рутульском языках, ИКЯ, XIV, Тбилиси, 1964, г. 351-355; Г. Ибрагимов, Об ударении и структуре слога и слогоразделе в цахурском языке. Ученые записки Института ИЯЛ, т. XIII, сер. фил., Махачкала, 1964, г. 54-70; ტ. გუდავა, თანხმოვანთკომპლექსები ხუნძურ ენაში, იკე ტ. XVII, თბილისი, 1970, გ. 183-188; Н. Г. Исаев, К вопросу о слоге. Сборник научных трудов, вып. 71, МГПИ иностранных языков им. М. Горького, М., 1972.

¹ N. Trubetzkoy, Die konsonanten systeme der ostkaukasischen Sprachen. Caucasika, f. 8, Leipzig, 1931.

უსლარისა და ა. ღირის გამოკვლევები. ნ. ტრუბეცკოი სწორად შენიშნავს ამ ავტორთა შრომების ნაკლოვანებებს (ტრანსკრიფციის უზუსტობა, ნიშანთა აღრევა ბგერათა და ფონემათა გადმოცემისას, ფონემათა და მათი ვარიანტების დიფერენციაციის არქონა, არათანამიმდევრულობა ჩანაწერებში და სხვ.). იგი დაწვრილებითი ანალიზისათვის იყენებს ენობრივ მასალას და ამის საფუძველზე აკეთებს აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის შესახებ დასკვნებს. ნ. ტრუბეცკოიმ დაღესტნურ ენათაგან საანალიზოდ გამოიყენა შემდეგი ენები: რუთულური, ლეზგიური (კიურიული), თაბასარანული, აღულური, ლაკური, დარგულური, ხუნძური, ანდიური, არჩიბული, წახურული, უდიური, აგრეთვე დარგულური ენის კუბაჩური დიალექტი, რომელსაც ავტორი ცალკე ენად თვლიდა. დაღესტნურ ენათა გარდა შრომაში გაანალიზებულია ჩეჩნური და ბაცბური ენების მონაცემები. ამგვარად, ნ. ტრუბეცკოის შრომა დაფუძნებულია 14 ენის მასალაზე (მათ შორის, კუბაჩური დიალექტის) ძირითადად პ. უსლარისა და ა. ღირის გამოკვლევათა გამოყენებით. ამიტომ ნ. ტრუბეცკოის დაკვირვებები და დასკვნები აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის შესახებ, მიუხედავად მისი სიღრმისა, ყოველთვის არაა სრული და მთლიანი ფონეტიკისა და ფონოლოგიის რთულ საკითხთა განხილვისას.

რ. ლაფონმა¹ თავის შედარებით-ისტორიული ფონეტიკის შესახებ გამოკვლევებში დაღესტნურ ენათათვის მხოლოდ ზოგიერთი დაკვირვება დაამატა და სისტემაში მოიყვანა ნ. ტრუბეცკოის დასკვნები.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით დაღესტნურ ენათა ფონეტიკის სისტემური შესწავლა იწყება ე. ბოკარევის შრომებით. 1958 წელს ჟურნალში "Вопросы языкознания" (№4) დაიბეჭდა მისი სტატია "Смычногортанные аффрикаты прадагестанского языка". ამ სტატიის ძირითადი დებულებები შემდეგ შევიდა მო-

¹ R. Lafon, Etudes basques et caucasiqnes. Acta Salmaticensia, Filosofia y letras, t. v, №2, Salamanca, 1952.

ნოგრაფიაში "Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков". მნიშვნელოვანია მისივე სტატია "Латеральные согласные в дагестанских языках" (Фонетика. Фонология. Грамматика. М., 1971).

კავკასიური ენათმეცნიერებისათვის დიდი მიღწევაა ტ. გუდავას მონოგრაფია "Консонантизм андийских языков". შრომის ძირითადი მეთოდი ისტორიულ-შედარებითი მეთოდია. ნაშრომში მოცემულია ანდიურ ენათა კონსონანტიზმის სისტემის ღრმა ანალიზი ცალ-ცალკე დიალექტთა და თქმათა მონაცემების გათვალისწინებით. დადგენილია კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი ანდიური ქვეჯგუფის ენებში, აგრეთვე ანდიურ ენათა — ხუნძურ ენასთან. აღდგენილია ანდიურ ენათათვის სავარაუდო ამოსავალი თანხმობანთა სისტემა, განსაზღვრულია ყოველი ანდიური ენის ცვლილების მიზეზები და ტენდენციები. გამოვლენილია ბგერითი შედგენილობისა და ბგერათა ცვლილების ზოგადი და კერძო შემთხვევები. ნაშრომის ენობრივ მასალათა სიზუსტე და დიდი მოცულობა იძლევა ვიწრო და კერძო საკითხთა განხილვიდან უფრო მსხვილ და განზოგადებულ საკითხთა განხილვაზე გადასვლის შესაძლებლობას.

დიდოურ ენათა შესწავლას მიეძღვნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები¹.

ლაკურ და დარგულ ენათა შესწავლისათვისაც არაერთი გამოკვლევაა შექმნილი². უნდა აღინიშნოს, რომ ეს ენები სისტე-

¹ Е. А. Бокарев. Цезские (дидойские) языки Дагестана, М., 1959; Э. А. Ломтадзе. Гинухский диалект дидойского языка, Тбилиси, 1963; Д. И. Имнайшвили. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, Тбилиси, 1963; Г. И. Мадиева. Грамматический очерк бежтинского языка, Махачкала, 1965...

² С. Абдуллаев. Грамматика даргинского языка, Махачкала, 1954; А. А. Магомедов. Кубачинский язык, Тбилиси, 1963; М. Г. Гаприндашвили. Фонетика даргинского языка, Тбилиси, 1966; З. Г. Абдуллаев. Субъективно-объектные и предикативные категории в даргинском языке, Махачкала, 1969; მისივე, Очерки по синтаксису даргинского языка, М., 1971; С. М. Гасанова. Очерки даргинской диалектологии, Махачкала, 1971; Л. И. Жирков. Лакский язык, М., 1955; С. М. Хаидаков. Очерки по лексике лакского языка, М., 1961; მისივე, Очерки по лак-

მურადაა შესწავლილი და დაგროვილია დიდი მასალა. მიუხედავად ამისა, არა გვაქვს შედარებითი ფონეტიკის მონოგრაფიული გამოკვლევები, დაბეჭდილია მხოლოდ ცალკეული სტატიები.

განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ლეზგიურ ენათა შემდგომი შესწავლა. ლეზგიურ ენათაგან რიგი ენები: ხინალუღური, უდიური, არჩიბული ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს გენეტურად, ვიდრე დაღესტნის სხვა ენები. მათ შორის ბევრი რამაა სპეციფიკური. ეს ენები ტერიტორიულადაც განფენილია სხვა ენის გარემოცვაში და განიცდის სხვა სისტემის ენის — აზერბაიჯანულის — გავლენას.

ახალი სამწერლობო თაბასარანული ენა ლეზგიურ და აღულურ ენებთან ერთად ქმნის აღმოსავლურ-ლეზგიურ ენათა ქვეჯუფს.

თაბასარანულ ენაში ორი დიალექტი გამოიყოფა: ჩრდილო და სამხრული. სამხრული დიალექტი დაედო საფუძვლად სალიტერატურო თაბასარანულ ენას. პირველი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები და პირველი მწერლები სამხრული დიალექტის წარმომადგენლები იყვნენ.

თაბასარანული ენის დიალექტები ძალიან არ დაშორდნენ ერთმანეთს. ლინგვისტური მონაცემები მოწმობენ მათ ერთობას წარსულში, მათ საერთო წარმომავლობას. ზოგადი ელემენტები დიალექტებში უფრო მეტია, ვიდრე განმასხვავებელი, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ბგერით სისტემას მოიცავს. ლექსიკა ერთიანია ორივე დიალექტისათვის. დიალექტთა ინტეგრაციაში ძირეული ცვლილებები მოხდა სამწერლობო ენის შექმნის შემდეგ. ლიტერატურული თაბასარანული ენა ჩამოყალიბდა ორივე დიალექტის საფუძველზე. მრავალრიცხოვანია უცხო ენათაგან ნასესხები ლექსიკა. დღეს თაბასარანული ენა ინტენსიურად განიცდის რუსული ენის გავლენას: პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეცნიერ-

ской диалектологии, М., 1966; Г. Б. Муркелинский. Грамматика лакского языка, Махачкала, 1971; ლაკური ენის კონსონანტიზმს მიეძღვნა ბ. გიგინეიშვილის სპეციალური გამოკვლევა (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1963)...

რო, ტექნიკური და სხვა ტერმინები ძირითადად რუსულიდანაა შეთვისებული.

დიალექტთა და ლიტერატურული ენის ურთიერთდამოკიდებულება ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით განსხვავებულია. ესაა, უპირველეს ყოვლისა, სკოლა, პრესა, ლიტერატურა, ასევე ენის მატარებელთა მრავალმხრივი ურთიერთობანი.

თაბასარანული ენის შესწავლას არაერთი შრომა მიეძღვნა. თაბასარანული ენის ფონემური სტრუქტურა კვლევის ობიექტი იყო ამ ენის შესახებ არსებულ მონოგრაფიებში: 1. П. К. Услар, Табасаранский язык (თბ., 1979); 2. А. Дирр, Грамматический очерк табасаранского языка, СМОМПК, Тифлис, 1905; 3. К. Bouda, Das Tabassaranische, Leipzig, 1939; 4. Л. И. Жирков, Табасаранский язык, Москва-Ленинград, 1948; 5. А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

თაბასარანული ენის ბგერითი სისტემა აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა ფონეტიკურ სისტემებთან ერთად განიხილა ნ. ტრუბეტკოიმ¹ მან მართებულად დააზუსტა და შეავსო ა. დირის მიერ მოცემული მასალები.

თაბასარანული ენის ბრუნვათა სისტემას ეძღვნება ლ. იელმსლევის შრომა². მან გამოყო 52 ბრუნვა და თეორიულად შესაძლებლად მიიჩნია 216 ბრუნვა. შედარებითი ასპექტითაა განხილული ბრუნების სისტემა ბ. ხანმაგომედოვის სადისერტაციო ნაშრომში³. ადგილობით ბრუნვებს იგივე ავტორი სპეციალურ სტატიებს უძღვნის⁴. ასევე განიხილავს ერგატივის წარმოებას თაბა-

¹ N. Trubetzkoy. Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, Caucasia, fasc. 8, Leipzig, 1931.

² L. Hjelmslev. La categorie de cas., "Erude de grammaire generale", Acta Iutlandica, VII, I, premiere partie - Aarhus, 1935, deuxieme partie - Aarhus, 1937.

³ Б. Г.-К. Ханмагомедов. Система склонения табасаранского языка в сравнении с системами склонения лезгинского и агульского языков. Автореферат кандидатской диссертации, Махачкала, 1958.

⁴ Б. Г.-К. Ханмагомедов. Система местных падежей в табасаранском языке, Махачкала, 1958.

სარანულში ლეზგიურსა და ალულურთან შედარებით¹.

გვარის კატეგორიის გამოხატვის შესაძლებლობა განიხილა მ. ჰაჯიევი². თაბასარანული ენის მასალები სხვა დადესტურთა ენების მასალებთან ერთად განხილულ იქნა ი. ჯავახიშვილის კაპიტალურ მონოგრაფიაში³. სამწუხაროდ, მან გამოიყენა ა. დირის მასალები, რომლებიც არ იყო დაზღვეული უზუსტობებისაგან.

რ. ერკერტი⁴ დადესტურ ენათა მასალებს შორის განიხილავს თაბასარანული ენის მასალასაც. იგი ამ მასალებს კრეფდა ლინგვისტური ანექტების მეშვეობით. ამითაა გამოწვეული უზუსტობანი მის შრომაში.

ე. დიუმევილის⁵ შრომებში ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის განხილვისას წარმოდგენილია თაბასარანული ენის მონაცემები სხვა ენათა მონაცემებთან ერთად. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ზმნის ძირის წინ მდგომ ფორმანტებზე, კლასის ნიშნებსა და მის ექსპონენტებზე, ნაცვალსახელურ ფუძეებზე, სახელთა ბრუნებაზე, მრავლობითობის სუფიქსებზე, ზმნურ დროებზე.

თაბასარანული ენის მასალას, სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მასალათა გვერდით, განიხილავს არნ. ჩიქობავა⁶.

თაბასარანული ენის ზმნის სკოლაში სწავლების პრობლემებს ეძღვნება ლ. ყურბანოვის შრომა⁷. საყურადღებოა იმავე ავ-

¹ Б. Г.-К. Ханмагомедов. К истории образования эргатива в языках восточно-лезгинской подгруппы. Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадаса, IV, Махачкала, 1958.

² М. М. Гаджиев. О залогах в табасаранском языке, Труды 1-ой научной сессии Даг. научно-исслед. базы АН СССР, Махачкала, 1948.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.

⁴ R. Erckert. Die Sprachen des kaukasischen Stammes. Wien, 1895.

⁵ G. Dumezil. Introduction a la grammaire comparée des Langues caucasiennes du Nord, Paris, 1933; მისივე, Recherches comparatives sur le verbe caucasien, Paris, 1935.

⁶ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

⁷ К. К. Курбанов. Глагол в табасаранском языке и его изучение в школе, Махачкала, 1982.

ტორის ნაშრომი მორფოლოგიის შესახებ¹.

დასახელებულ ნაშრომთაგან განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობის მქონეა ალ. მაჭომეტოვის მონოგრაფია² იგი ითვალისწინებს როგორც სამწერლო თაბასარანულის, ისე ორივე დიალექტის — სამხრულისა და ჩრდილოურის, აგრეთვე, მათი კილოკავ-თქმების მასალას. მანამდე არსებული გამოკვლევები ერთი რომელიმე პუნქტის მეტყველების მონაცემებს ემყარებოდა. „ალ. მაჭომეტოვის მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც ფონეტიკას ეხება, შეიცავს მდიდარ მასალას და იძლევა თაბასარანულის კილო-თქმათა ფონემური შედგენილობისა და ფონეტიკური პროცესების დეტალურ ანალიზს“³

თაბასარანული ენის ფონეტიკური სრუქტურა ცალკე კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა ამ კუთხით და მას სისრულის პრეტენზია არ გააჩნია.

¹ К. К. Курбанов. Морфология табасаранского языка, Махачкала, 1986.

² А. А. Магомедов. Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

³ არნ. ჩიქოზავა. რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნში — А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

თავი I
თაბასარანული ენის ფონემათა
პარადიგმატული ანალიზი

თაბასარანული ენის ფონემათა პარადიგმატიკის განხილვისას ჩვენ ვემყარებით პ. უსლარისა და ალ. მაჰომეტოვის მიერ წარმოდგენილ ანალიზს. თაბასარანული ენის ბგერითი სისტემა, დადესტნის სხვა ენებთან შედარებით (მაგალითად, დარგუულთან და ლეზგიურთან), რთულია. სირთულე ვლინდება ძირითადად კონსონანტიზმში.

§ 1. თაბასარანული ენის ხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი

თაბასარანული ენის ვოკალიზმი ლეზგიურისა და აღულურის ვოკალიზმის მსგავსია. პ. უსლარი აღნიშნავდა თაბასარანული ენის ვოკალიზმის სიახლოვეს ლეზგიური ენის ვოკალიზმთან. იგი წერდა, რომ „არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, როგორ ახლოს დგას თაბასარანული ენა კიურულთან (ანუ ლეზგიურთან) ხმოვნების მიხედვით, თუმცა ორივე ენა გვიჩვენებს ღრმა და მკვეთრ განსხვავებებს სხვა შემთხვევაში“¹.

ხმოვნები

არალაბიალური			ლაბიალური	
წინა		უკანა	წინა	უკანა
ვიწრო	შუა	ღია	ვიწრო	
o	ე	ა	ჟ	უ

თაბასარანული და ლეზგიური ენების ხმოვანთა სისტემას გ. დეტერსი ორსაფეხურიან სისტემად წარმოგვიდგენს (ჩვეულებრივი

¹ П. Услар, დასახ. ნაშრ., § 7.

ხმოვანთა სამკუთხედისაგან განსხვავებით)¹:

ა	ე
უ	ო

ლეზგიურისა და თაბასარანულისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ორსაფეხურიანი სისტემა არის **ო** ფონემის უქონლობის შედეგი ამ ენებში². თაბასარანულ ენას, ისევე როგორც რიგ დაღესტნურ ენებს, არა აქვს ფონემა **ო**. ნასესხებ სიტყვებში იგი იცვლება **უ**-თი. პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ **ო** არ არის თაბასარანულში. ა. დირი მიუთითებდა, რომ **ო** უახლოვდება **უ**-ს, განსაკუთრებით, როცა იგი უმახვილოა.

თაბასარანულ ენას არ მოეპოვება ნაზალიზებული ხმოვნები, არა გვაქვს გრძელი ხმოვნები, როგორც ფონემები. გვაქვს მოკლე ხმოვნები, მაგრამ როგორც ფონემები — არა; ფარინგალიზებული გვხვდება მხოლოდ უკანა რიგის ხმოვნები **ჲ**, **ჳ**³.

ვიწრო ლაბიალური ხმოვანი **ჳ** დაღესტნურ ენათაგან დამახასიათებელია ლეზგიური ენებისათვის (თაბასარანული, ლეზგიური, ალულური...). **ჳ** არის წინა რიგის, მაღალი აწეულობის ბგერა. **ჳ** ბგერის არტიკულაცია ეს არის ი-ს არტიკულაციას პლუს გაბაგისმიერება (შდრ. აზერბაიჯანული **ჳ**). ლაბიალური მომენტის დაკარგვისას **ჳ** → **ო**.

ხმოვანი **ჳ** წარმოდგენილია ნასესხებ სიტყვებში. მაგალითად: **გჳზგი** „სარკე“, **ჳლქე** „მხარე“, **ქჳლქეთ** „ოჯახი“... აგრეთვე საკუთრივ თაბასარანულ სიტყვებში. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია თვალი ვადევნოთ **ჳ**-ს მიღების გზას: **ო** + ლაბიალიზებული თანხმოვანი გვაძლევს **ჳ** + არალაბიალიზებული თან-

¹ G. Deeters, Die Kaukasischen Sprachen, Handbuch der orientalistik, VII, Armenische und Kaukasische Sprachen, Leiden / Köln, 1963, გვ. 27.

² А. Дирр, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

³ А. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

ხმოვანი:

ხანაგ. თქმ. **აჟყ** „სიგრძის ერთეული (= 1/2 მ)

შდრ. ტივაქ. თქმ. **აიკი**

ხივ. თქმ. **აჟყ**

დარგ. ენ. **დიკუ**

ტივაქის თქმაში გვხვდება შემთხვევები, როცა უ > ჟ-ში

ა-ს შემდეგ:

ტივაქ. თქმ. **რჟჟ** „ნაწლავი“

შდრ. ხანაგ. თქმ. **რჟრ**

აღ. ენ. **რჟდ**

ლეზგ. ენ. **რად**

დარგ. ენ. **რჟდ / აჟტ**

ჟ შეიძლება იყოს ასიმილაციის შედეგი ე ხმოვნის გავლენით:

ტივაქ. თქმ. **დე ც ჟს** „დაჯდომა“, **ჰერგჟს** „გაქცევა“, **დეჟჟრ** „ხახვი“...

გრძელი ხმოვნები გვხვდება როგორც ფონეტიკური ცვლილების შედეგი. მაგალითად, ტივაქის თქმაში ინტერვოკალურ პოზიციაში კლასის ნიშნის დაკარგვის შედეგად ორი ხმოვანი შეერწყმის ერთმანეთს და ვიღებთ გრძელ ხმოვანს: **ჯაჟჟუს** < **ჯა-აჟჟუს** < **ჯა-რაჟჟუს** „გადახდა“

მოკლე ხმოვნები თაბასარანულ ენაში არის უმახვილო ხმოვნის დასუსტების შედეგი.

მაგ.: ჩრდ. დ. **ხალ** „სახლი“, მრ. რ. **ხჟლარ**

ერგ. **ხჟლჟ**, ნათ. ბრ. **ხჟლან**, მიც. ბრ. **ხჟლაზ**¹

¹ А. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

§ 2. თაბასარანული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი

თაბასარანულ ენაში დენტოლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობა ამ ენის თანხმოვანთა სისტემას, დაღესტნური ენების სხვა სისტემებთან შედარებით, რთულად წარმოგვიდგენს. სირთულეს ქმნის, აგრეთვე, გემინირებული, ფარინგალიზებული და ლაბიალიზებული თანხმოვნები.

თაბასარანული ენის თანხმოვანთა განაწილების ცხრილი:

წარმოების რაგვარობა	წარმოების ადგილი	ნახევარმოვნები	სონორები	ზშულები			სპირანტები			აფრიკატები				
				მჟღერები	ასპირატები	გემინატები	მჟღერები	ასპირატები	გემინატები	მჟღერები	ასპირატები	გემინატები	აბრუბტივები	
ბაგისმიერები ბაგისმიერ- კბილისმიერები	პ	მ	ბ	ფ	ჟ	პ								
								ჭ	ჭ					
წინაენისმიერნი		ნ	ღ	ყ	ჟ	ტ								
		ჩ/წ					ც	ც	წ	ჩ	წ	ჭ	ჭ	
დენტოლაბიალიზებულები							ყ	ჟ	მ	ჩ	წ	წ	ჭ	
შუაენისმიერი	ა													
არა ლრმა უკანაენის- მიერნი ლრმა			გ	კ	კ	კ	ა	რ	წ					
							ჩ	წ	წ					
ფარინგალები			ფ	კ	კ	კ								
							მ		კ					
ლარინგალები						ც		კ						

ამგვარად, თაბასარანულ ენაში გვაქვს წარმოდგენილი ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა ოთხეულგვარივი სისტემა:

ბ	ფ	ფა	პ
დ	თ	თა	ტ
გ	ქ	ქა	კ
ღ	წ	წა	ც
ძ	ც	ცა	წ
ჭ	ჩ	ჩა	ჭ
ჯ ^o	ჩ ^o	ჩა ^o	ჭ ^o

სპირანტთა სამეულგვარივი სისტემა:

ზ	ს	სა
შ	შ	შა
გ'	ზ	ზა
ღ	ხ	ხა

სონორები: მ, ნ, ლ, რ; ნახევარხმოვნები: ჟ და ჟუ, ლარინგალები: ც და ჰ; კბილბაგისმიერი სპირანტები ძ და ქა (გემინატი ქა გვაქვს მხოლოდ ჩრდილო დიალექტში). ფარინგალური სპირანტები გვხვდება იშვიათად (შ, ჰ), ძირითადად ნასესხებ სიტყვებში. ლიტერატურული თაბასარანულის ანბანში ისინი არაა წარმოდგენილი. სამხრულ დიალექტს ახასიათებს უკანაენისმიერთა (გჟ, ქჟ, ჰჟ, კჟ, ლჟ, ხჟ) და ფარინგალთა (ვჟ, ჯჟ, ყჟ) ლაბიალიზაცია¹.

¹ A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 55-56.

§ 3. სპეციფიკურ თანხმთანა რიგები თაბასარანულ ენაში

ა) **ლაბიალიზებული თანხმოვნები თაბასარანულ ენაში.** თაბასარანული ენის ფონემურ ინვენტარში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რიგი. ლაბიალიზაციის მიხედვით ამ ენის ორი დიალექტი — სამხრული და ჩრდილოური — უპირისპირდება ერთმანეთს. სამხრულ დიალექტში დასტურდება უკანაენისმიერთა (**გუ, ქუ, ჭუ, კუ, ღუ, ხუ**) და ფარინგალთა (**ჭუ, ზუ, ყუ**) ლაბიალიზაცია. ჩრდილოურ დიალექტში ლაბიალიზაცია მოშლილია, რის შედეგადაც გვაქვს ომონიმები (**გარ „დოქი“, „ნაქუქი“, ნაყ „სამარე“, „გუშინ“**)¹

მთის იბერიულ-კავკასიურ რიგ ენებში შეიძლება გვექნოდეს ლაბიალიზებული ბგერები, მაგრამ ისინი ფონემებს არ წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, ხუნძურში, სადაც ეს ბგერები თანხმოვანთა კომპლექსებია. ხუნძურსა და მის ახლო მონათესავე ანდიურ ენებში ლაბიალიზაცია ფონემებს არ ქმნის: **ღუ, ქუ, ყუ, კუ...** ორფონემიანი (ბიფონემური) კომპლექსებია, განსხვავებით აფხაზურ-ადიღურ ენათაგან — ამ ენებში ლაბიალიზებული თანხმოვნები ფონემებია.

ძირეული და მეორეული ლაბიალიზაცია დამახასიათებელია თითქმის ყველა დაღესტნური ენისათვის. მათ აქვთ სიტყვათა განმასხვავებელი ფუნქცია და გვხვდება ა და ე ხმოვნების წინ, რაც ასახავს ნ. ტრუბეცკოის მიერ ნაჩვენებ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც ლაბიალიზებული თანხმოვნები არ გვხვდება ლაბიალური ხმოვნების წინ, მაგალითად, წახურულში, ადულურში, თაბასარანულში, დარგულში და ა. შ. რაც შეეხება დენტოლაბიალიზებულ თანხმოვანს თაბასარანულსა და ლეზგიურში, ის შეიძლება შეგვხვდეს ლაბიალური ხმოვნის წინა პოზიციაშიც.

თაბასარანულ ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში, დასტურდება ლაბიალური ხმოვნის რედუქციითა და მახვილის გა-

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

ვლენით გამოწვეული მეორეული ლაბიალიზაცია (კაკულ „შე-
შა“ მრ. რ. კაკულერ < კაკულერ).

ჰ. ფოგტი¹ აღნიშნავს, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით, როგორც ჩანს, უნდა განვასხვაოთ ლაბიალიზაციის სხვადასხვა სახეები. უკანანისმიერთა (პალატალების, ველარებისა და ფარინგალების) სერიებში ლაბიალიზაცია მდგომარეობს ბაგეების წინ წაწევაში, საკმაოდ ვიწრო ხვრელით, მომრგვალებულით, რომელშიც გამოდის საფონაციო ჰაერნაკადი. რადგანაც ამ ბგერების წარმოთქმისას ენა მოთავსებულია პირის ღრუს უკანა ნაწილში, ჩვენ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ლაბიო-ველარიზაციაზე. ლაბიალიზაცია გაჰყვება თანხმოვნებს მთელს მანძილზე, განსაკუთრებით ნამდვილ სპირანტებს, სადაც გარჩევა შდ⁰-სა და ღ⁰-ს შორის ძნელია. გვექნება საშუალო პოსტვოკალური საფეხური. ლაბიალურ ელემენტს დიდი გავლენა აქვს მომდევნო ხმოვნების ტემბრზე. მომდევნო გ-ს შემთხვევაში, რომელიც გადადის უ-ში, ლაბიალური ელემენტი ხშირად არ შეიმჩნევა ხოლმე როგორც ცალკე ელემენტი. ჰ. ფოგტი ცალკე გამოყოფს ნახევარხშული სისინების ლაბიალიზაციას (ძ⁰, ც⁰, წ⁰), რადგანაც ამ ფონემებს აქვს წარმოდგენილი ალვეოლარული არტიკულაცია; ცალკე სახედ აქვს ლაბიალიზებული კბილისმიერი (ღ⁰, ტ⁰, თ⁰) ხშულების რიგი. ამ დროს საკმე ეხება სრული ლაბიალიზებული ხშვის თანხვედრას სუპრადენტალურ ხშვასთან. შემდეგია შიშინათა ჯ, ჩ, ჟ, შ ლაბიალიზაცია. ორალური არტიკულაცია ნუნისმიერი ჩანს. მას ახლავს ბაგეების წინ წაწევა, იქმნება იმდენად ვიწრო ხვრელი, რომ ლაბიალიზაცია არც კი შეიმჩნევა როგორც ცალკე ელემენტი.

მაშასადამე, სხვადასხვა არტიკულაცია მათი ცვლის სხვადასხვა მიზეზებს უნდა გვაძლევდეს, თუმცა შედეგი, როგორც აღვნიშნეთ, ერთნაირია.

იბერიულ-კავკასიურ ენებში ისტორიულად მოქმედებდა

¹ H. Vogt, Dictionnaire oubykh-français, Oslo, 1963.

ლაბიალური კომპლექსების ბაგისმიერ თანხმოვნებში გადასვლის ფონეტიკური პროცესი, რო- მელიც სინქრონიულ დონეზე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ზოგ ენაში დასტურდება სა- პირისპირო პროცესიც — ბაგისმიერი თანხმოვნისაგან ლაბიალუ- რი კომპლექსის მიღება. ლაბიალიზებული თანხმოვანი თაბასარა- ნულ ენაში, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სახელის ფუძეში გვხვდება, ზმნური ძირის აგებულებაში ის მონაწილეობას არ იღებს (შდრ. სხვა იბერიულ-კავკასიური ენები). მეორეული ლა- ბიალიზებული თანხმოვნები შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, ლეზგიურში ბრძანებითის, აბსოლუტივისა და ისეთი ზმნების ნა- მყო დროის ფორმებში, რომელთაც მასდარში აქვთ -უნ, -უნ დაბოლოება.

თაბასარანულ ენაში ლაბიალიზებული თანხმოვანი გადადის იმავე რიგის სადა თანხმოვანში.

მეორეული ლაბიალიზაციის გვერდით გვაქვს დელაბი- ალიზაციაც. მაგ.:

ხარ — ხჷარ „ულაყი“

მაკ — მაკჷ „ნაჯახი“

შდრ.: **ლეზგ.** თაარ „მარცვალი“ — თაჷარ

ტალ „ყავარჯენი“ — ტჷალ

ტარ „სახელი“ — ტჷარ

ტეტი, წეტი „ბუზი“ — ტჷეტი

ლაკ. წჷალ — წალ „ტიფი“

კჷი — ჳი „ორი“

ხუნძ. ტჷელ — ტელ „ნაწყვეტი“

წჷალ — წალ „მათრახი“

დარგ. ხჷალალ — ხალალ „დიდი“

მაშასადამე, დელაბიალიზაცია გვაქვს იქაც, სადაც ლაბია- ლიზებული თანხმოვნებია წარმოდგენილი, და იქაც, სადაც ლაბი- ალური კომპლექსებია სახეზე, მაგალითად, ხუნძურში.

არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ძირში სხვა-

დასხვა ენაში ერთგან ლაბიალიზებული ფონემაა, სხვაგან მის შესატყვისად — დელაბიალიზებული.

მაგ.: თაბ. ნეჭ „ცრემლი“, ლეზგ. ნალჷ, უდ. ნეჭ, ნელ, წახ. ნალ, დარგ. ნელ, ნერლ, ლაკ. მალ.

თაბასარანულში, ასევე ლეზგიურში, დარგულისაგან განსხვავებით, ლაბიალიზებული თანხმოვნები არ იშლებიან ორ დამოუკიდებელ ფონემად. მაგ. დარგ. ჰუალ — ჰუჷალ „შენ ერთი“

აგჷა — აგჷა „კაბა“

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ცვლილება დაღესტნურ ენებში, მათ შორის თაბასარანულში, ცოცხალი პროცესია.

ლაბიალიზებული თანხმოვნების მეორეულობა თაბასარანულ ენაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, ექვემიუტანელია. დღეს ლაბიალიზაციის მიხედვით ორი დიალექტი — სამხრული და ჩრდილოური — უპირისპირდება ერთმანეთს.

თაბასარანულ ენაში ფონემური ღირებულებების მქონე ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გვერდით წარმოდგენილია ლაბიალური ხმოვნის რედუქციითა და მახვილის გავლენით გამოწვეული ლაბიალიზაცია (ბაჩჷკ „ქული“, მრ. რ. ბაჩჷჷარ < ბაჩჷჷარ < ბაჩჷჷარ, ერგ. ბრ. ბაჩჷჷი, ნათ. ბაჩჷჷინ).

ყურადღებას იქცევს მეორეული ლაბიალიზაციის საპირისპირო დელაბიალიზაციის პროცესიც. მაგალითად, ხანაგის თქმა: ძჷკ „ზომის ერთეული“ (= 1/2 მ), შდრ. ტივაქის თქმა: ძიკი, ხივის თქმა: ძჷკ, დარგ. ენა დიკჷ¹.

ზმნურ ძირთა ფონეტიკური შედგენილობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ენაში ლაბიალიზებული თანხმოვნები ზმნური ძირის აგებულებაში არ მონაწილეობს. კანონზომიერია, რომ ზმნამ გარკვეულწილად მაინც შემოგვინახოს სწორედ იმ ვითარების კვალი, რაც ამა თუ იმ ენისათვის განვლილი ეტაპია, რითაც ისიც წარმოჩნდება, თუ რა არის ენაში ახალი და რა — შეძენილი.

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

თაბასარანულ ენაში ლაბიალიზებული ფონემები მხოლოდ სამხრული დიალექტისა და, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, მხოლოდ სახელური ფუძეების კუთვნილებაა. ლაბიალიზებული ბგერების მიხედვით სიტყვები უპირისპირდება არალაბიალიზებული ბგერების მქონე სიტყვებს და მათი მნიშვნელობები განსხვავებულია.

გუარ „დოქი“, შდრ. გარ „ნაქუქი“, ქერქი“
ხუარ „ფაშატი“ ხარ „ცერცვი“, „მუხულო“, „ბარდა“,
„სეტყვა“

კუანტ „ბაგე“ კანტ „წვეთი“, „ცვარი“, „სითხის
ნარჩენი“

კუარ „მიჯნა“ კარ „საგორავი“

ნაყუ „სამარე“ ნაყ „გუშინ“

კუარს „ავი სული“ გარს „სახეში გარტყმა, სილა“

ჰუალ „გვერდი“ ჰუალ „ხმაური“

კუან „გულის“ (ნათ. ბრ., სახ. ძიკ) კან „ფსკერი, ძირი“
ლაბიალიზაციის მოშლით ჩრდილო დიალექტში გაჩნდა
ომონიმები, მაგალითად, ტივაქის თქმაში:

გარ „დოქი“, „ნაქუქი“

ხარ „ფაშატი“, „ცერცვი“

კან „ფსკერი“, „ძირი“, აგრეთვე ძუკი „გულის“ ნათ.

ბრ. ფორმა...

მეორე მხრივ, ენაში გვაქვს ლაბიალიზებულფონემიანი სიტყვები, რომელთაც შესაბამისი დელაბიალიზებულფონემიანი სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობებით არ ეძებნება: ღუან „ქვა“, ნიკუ „სიზმარი“, კუაკუა „ხის ლანგარი“, ხუახუა „ქალა“, ჯაყუ „ბედურა“.

თაბასარანულ ენაში ყურადღებას იქცევს ლაბიალიზებულ და შესაბამის დელაბიალიზებულფონემიან სახელურ ფუძეთა სემანტიკური დაკავშირება, მაგალითად, გუარ „დოქი“ — გარ „ნაქუქი“, „ქერქი“ ორივე შემთხვევაში ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობები ახლოს დგას ერთმანეთთან. დოქი იგივეა, რაც შემოზღუდვა, ქერქი, ნაქუქი, რომელშიც განთავსდება რაიმე სი-

თხე. ნაქუქში — კვერცხის შიგთავსი, ქერქში — მერქანი. ეს მნიშვნელობები ერთმანეთს უკავშირდება ჭურჭლის, შემოზღუდვის, გარედან დაცვის, შემოზღუდვის სემანტიკით. კუან „გული“ (ნათ. ბრ. ფორმა) სემანტიკურად დაკავშირებულია კან „ფსკერთან“, „ძირთან“, „სიღრმესთან“ (გული ხომ სიღრმეშია).

რიგ შემთხვევაში სემანტიკური კავშირი გამჭვირვალეა. ზოგჯერ კი მნიშვნელობები ძალზე დაშორებულია ერთმანეთს. მაგალითად, კუანტი „ბაგე“ — კანტი „წვეთი“, „სითხის ნარჩენი“, ნაყუ „საფლავი“ — ნაყ „გუშინ“ თუმცა ამოსავალი საერთო სემის ძიება აქაცაა შესაძლებელი: წვეთი—ცვარი—სითხის ნარჩენი, ზოგადად „სველის“ აღნიშვნა (იქნებ „სველი ბაგე“?). ნაყუ „საფლავი“ შესაძლებელია იყოს ნიკუ „სიზმრის“ ფონეტიკური ვარიანტი და „ბნელის“ მნიშვნელობით ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდეს. შეპირისპირება კუარ „მიჯნა“ — კარ „საგორავი“, „ცომის გასაყვანი“ შეიცავს „ზღვრის“, „მიჯნის“, „ბოლომდე მიყვანის“ სემანტიკას. შესაძლებელია, შეპირისპირება შეპირობებული იყოს უარყოფითი ასოციაციის მქონე სემით. მაგალითად, ტუარს „ავი სული“ — ვარს „სილა“ — „სახეში გარტყმა“, გვიჩვენებს მოულოდნელობის უარყოფით მნიშვნელობას.

ამგვარი სემანტიკური დაკავშირებები თანამედროვე დონეზე თაბასარანულ ენაში სისტემურ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი ყოფილიყო აუცილებელი ლაბიალიზებულ და დელაბიალიზებულ ფონემათა შემცველ სახელებში მნიშვნელობათა დიფერენციაციის დროს. მნიშვნელობათა შეპირისპირების არათანაბრობა მიუთითებს ლაბიალიზებულ ფონემათა მერყეულობასა და ცვალებადობის სხვადასხვა ეტაპზე, რომელთაგან უფრო ძველი უნდა იყოს შეპირისპირებები, სადაც ეს დაკავშირება უკვე დაჩრდილულია და საექვო ხდება.

ბ) გემინაცია. დაღესტნური ენები გამოირჩევიან კონსონანტიზმის რთული სისტემით. სრული სურათი დაღესტნურ ენათა თანხმოვნებისა შეიცავს 100-მდე ფონემას (ლაბიალიზებული თანხმოვნების გარდა).

თაბასარანულში წარმოდგენილია ხშულ-მსკდომთა და აფ-

რიკატთა ოთხეულეებრივი სისტემა და სპირანტთა სამეულეებრივი სისტემა. კონსონანტიზმის სირთულეს თაბასარანულში ქმნის ლაბიალიზაცია, გემინაცია, დენტალაბიალიზაცია და ფარინგალიზაცია.

ლეზგიური ჯგუფის ენათაგან ლატერალები ახასიათებს მხოლოდ არჩიბულ ენას.

ლეზგიურ ენათა გემინირებული და არაფშვინვიერი თანხმონების გამიჯნა და მათი ფონოლოგიური დატვირთვის ხარისხი სპეციალურად უნდა იქნეს გამოკვლეული.

დალესტნურ ენათა ფონეტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თანხმონთანა გემინაცია, რომელიც დღემდე გადაუქრელ პრობლემად რჩება და, აგრეთვე, ფარინგალიზაციის ბუნების განსაზღვრა მთლიანად. უნდა დაზუსტდეს საკითხები:

ა) შესაძლებელია თუ არა დალესტნური ენების გემინირებულ თანხმონთანა ზოგადი დახასიათების მოცემა?

ბ) როგორია ენაში გემინაციის ფონემური როლი?

გ) პირველადი გემინატები: რა არის ზოგადი შემონახული გემინატის თვისებაში, მათი ცვალებადობის მიზეზები დალესტნურ ენებში, მათი შემდგომი ცვალებადობის ტენდენციები.

დ) მეორეული გემინატები: მათი ფონემურობა, წარმოქმნის პირობები და მიზეზები, პირველადი გემინატებისაგან განმასხვავებელი თავისებურებანი და ა. შ.

გემინატების ბუნება დალესტნურ ენებში ძალიან შეიცვალა. მეორეული გემინატების გაჩენა კიდევ უფრო ართულებს ამ საკითხს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთსა და იმავე ენაში არსებობს გემინატების რამდენიმე სახესხვაობა. მაგალითად, აღუღურ ენაში რ. შაუმიანი გამოყოფს ნეიტრალურ ბგერებს, რომლებიც ლეზგიური ენის თანხმონების იდენტურია და გემინირებულებს, რომლებსაც ის არაბული თაშლიდით აღნიშნავს¹.

ნ. ტრუბეცკოი თავის შენიშვნებში წახურული ენის კონსონანტიზმის შესახებ მიუთითებს, რომ ა. დირმა წახურულში (ისევე როგორც სხვა აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში) ვერ გაიგო

¹ Р. Шаумян, Грамматический очерк агульского языка, М.-Л., 1941, გვ. 16.

ინტენსიურ თანხმობანთა შეპირისპირება. ის შენიშნავდა მაგარ თანხმობენებს მხოლოდ მაშინ, როცა მას იგი ეჩვენებოდა გრძელი, გემინირებული ან აღმოაჩენდა რაიმე სხვა მეორეულ აკუსტიკურ თავისებურებას, რასაც ადგილი ჰქონდა ძირითადად ხმოვანთა შორის.

სხვა შემთხვევაში ის ვერ ამჩნევდა მათ არტიკულაციურ ინტენსიობას, რაც არსებითია ამ ბგერებისათვის¹.

ადრე მკვლევრები ყოველთვის არ გამოყოფდნენ პირველად და მეორეულ გემინატებს, რომლებიც გვაქვს რიგ დაღესტნურ ენებში. გემინატების ბუნებაში მნივწნელოვანი განსხვავება მეცნიერისაგან მოითხოვს მათ შესწავლას მთელი სიღრმით ყოველ ენაში. უნდა გამოიყოს ზოგადი და კონკრეტული მომენტები ამ ბგერათა თავისებებში, მათი განვითარებისა თუ ცვალებადობის ტენდენციები. ყოველი თავისებურების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება გადაწყდეს გემინირებულ თანხმობანთა საკითხი. ამავე დროს, უმეტესი მკვლევრები დაღესტნურ ენებში გემინატების თავისებებს განიხილავდნენ ცალმხრივად, ყოველთვის გამოყოფდნენ მათი გამოვლინების მხოლოდ ერთ-ერთ ნიშან-თვისებას: ერთნი — მეტყველების ორგანოს მოქმედების ინტენსიობას (პ. უსლარი, ნ. ტრუბეცკოი), მეორენი — საარტიკულაციო ორგანოების დაძაბულობას (რ. შორი), მესამენი — ხშვის შეყოვნებას, მეოთხენი — სიგრძეს და ა. შ.

შ. გაფრინდაშვილი შრომაში "Фонетика даргинского языка" იკვლევს გემინატის ბუნებას და მიდის დასკვნამდე, რომ დარგული ენის დიალექტების მიხედვით გემინატები აკუსტიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. წუდახარულ დიალექტში აულ ხაჯალ-მახის მონაცემებით ხშულ-მსკდომი გემინატების სკდომა შეიცავს ფშვინვის ცნობილ წილს, რაც განაპირობებს გემინატის გადასვლას სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისსა და ბოლოში შესატყვის ყრუ ფშვინვიერებში. აულ ქებახ-გულებქის თქმაში, რომელიც გარდამავალია წადახურულიდან ურახული დიალექტი-

¹ N. Trubetzkoy, დასახ. ნაშრ., გვ. 45-46.

სა და თქმებისაკენ, გვაქვს მხოლოდ ხშულ-მსკდომი გემინატები, ხოლო სპირანტი გემინატები არ არის წარმოდგენილი.

ქებახ-შულეზის თქმაში ხშულ-მსკდომი გემინატები ხასიათდება არტიკულაციური ხშვის მცირე ინტენსიობით, აგრეთვე მცირე სიგრძით გემინატების შესაბამის პარამეტრებთან შედარებით, ვთქვათ, წულახარულ დიალექტში... შ. გაფრინდაშვილი აგრძელებს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ დაღესტნურ ენებში გემინატების ბუნება არაერთგვაროვანია. მისი აზრით, რ. შორის შეცდომა ისაა, რომ ხშულ-მსკდომი გემინატების განხილვის დროს დაღესტნურ ენებში იგი ამოდის მცდარი წინასწარი დაშვებიდან და თვლის, რომ დაღესტნურ ენებში გემინატების არტიკულაცია იდენტურია. ცნობილია, რომ გემინატები, მაგალითად, ხუნძურ ენაში, გვიჩვენებს სიახლოვეს სპირანტებთან და ფონეტიკური ცვლილებების შედეგად გვაძლევს სპირანტთა რეფლექსებს (პ. უსლარი, ი. ცერცვაძე). გემინატების ასეთი მრავალგვარი ბუნების გამო დაღესტნურ ენებში არ შეიძლება ვისაუბროთ მაგარ თანხმოვანთა ერთიან ზოგად ტიპზე. ავტორი დაწვრილებით განიხილავს რ. შორის შეცდომებს დაღესტნური ენების გემინატების შესახებ და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე გამოაქვს დასკვნები¹

დარგული ენის დიალექტების გემინირებული თანხმოვნების ბუნების ანალიზით შ. გაფრინდაშვილი იძლევა მნიშვნელოვან დასკვნას: ხშულ-მსკდომი გემინატის არტიკულაციის დროს სახმო ხვრელის დავიწროების ფაქტი ანიჭებს ამ ბგერებს სუსტ სკდომას და მიუთითებს ამოსავალი წინანდელი ფენის ნაშთზე გემინირებული ბგერებისათვის, რომლებსთვისაც იყო დამახასიათებელი მჟღერი ხშვა. დარგული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგები, დასკვნები და განზოგადებანი იქნეს არსებით მნიშვნელოვან დაღესტნური ენების გემინატთა ბუნების ასახსნელად და მათი განვითარების შესაძლებელი ტენდენციების განსაზღვრისათვის.

¹ იხ. Ш. Г. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, გვ. 21-22.

საინტერესოა ბ. გიგინეიშვილის¹ მოსაზრება გემინატების ბუნების შესახებ. იგი დადესტნურ ენათა გემინატების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს განაზოგადებს და მიდის დასკვნამდე, რომ ყველა ავტორისათვის გემინატების დახასიათებისას საერთოა ის, რომ ეს ბგერები წარმოითქმის ასპირაციის გარეშე. ჩნდება კითხვა გემინირებული ხშულებისა და სპირანტების გათიშვის შესახებ, რადგანაც გემინირებული სპირანტები არ წარმოიქმნება ფშვინვის გარეშე, რაც არსებითი ხასიათის მომენტია გემინირებული ხშულებისა და აფრიკატებისათვის. აქვეა დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ გემინირებული ხშულებისა და აფრიკატებისათვის უნდა მოიძებნოს სხვა ტერმინი. ტერმინი „გემინაცია“ არ ასახავს მის არსებით თვისებას. გემინირებული სპირანტებისაგან განსხვავებით, ისინი არ ხასიათდება ორმაგი სიგრძით. ისინი სულ სხვა რიგის თანხმოვნებია. გემინირებული ხშულებისა და აფრიკატებისათვის ყველაზე უაპრიანია ტერმინი „პრერუპტივი“.

დადესტნურ ენათა გემინირებული თანხმოვნების შესწავლაში, მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, ეს პრობლემა ჭერ კიდევ გადაუწყვეტელია. საჭიროა მისი ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა.

დადესტნური ენების მსგავსად, გემინატები ახასიათებს თაბასარანულ ენასაც. გემინატის არსებობა არ არის განპირობებული პოზიციით, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი, — როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ლაკურ ენასა და დარგუული ენის უმეტეს დიალექტებში. აქ გემინატები მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება²

თაბასარანულ ენაში წარმოდგენილია ფშვინვიერი გემინატები და გემინატი სპირანტები. ფშვინვიერი გემინატები წარმოდგენილია თაბასარანულ ენაში სრულად. შეპირისპირება გემინირებული სპირანტებისა სადა სპირანტებთან ვლინდება მხოლოდ ზოგიერთ თქმაში.

¹ ბ. გიგინეიშვილი, ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 37-38.

² A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

თაბასარანულ ენაში გემინატები წარმოდგენილია ამგვარად:

1. ხშულ-მსკდომები: ფა, თა, ქა, ცა, ჩა, ჯა

2. სპირანტები: სა, შა, ხა, წა

3. გარდა ამისა, თაბასარანულ ენაში წარმოდგენილია შემდეგი გემინატები შიშინათა რიგიდან დენტოლაბიალიზებული ბგერები: ჩა, შა.

4. რიგ თქმებში (ხანაგის, ხურიკის...) გვხვდება აგრეთვე გემინირებული კბილბაგისმიერი სპირანტი წა, რომელიც უპირისპირდება არაგემინირებულ წა-ს.

აღ. მაჭომეტოვი წარმოგვიდგენს გემინირებულ და არაგემინირებულ, სადა სპირანტთა კორელაციას ჩრდილო დიალექტში:

სა: საიჟ „ზაფხულის საძოვარი“, შდრ. სიჲ „წენგა“

შა: შაარ „ბაღლინჯო“ „შაარ „წყალი“

ხა: ხაილ „ხელი“ „ხილ „ფრინველის ფრთა“

უჟხაჟს „წაღება, ტარება“ „უჟხაჟს „კითხვა, სწავლა“

წა: წაარ „ზაფხული“ „წაარ „გამოქვებული“

შა: შაიშ „ღამე“ „შაიშ“ „ადგილი“

წა: შაიწა „წითელი სპილენძი“ „შაიწა „თოვლი“¹

სამხრულ დიალექტში, სადაც გემინირებული სპირანტები არა გვაქვს, ომონიმებია სახეზე:

შაარ „ბაღლინჯო“, „წყალი“

ხაილ „ხელი“, „ფრინველის ფრთა“

შაიშ „ღამე“, „ადგილი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გემინირებულ თანხმოვანს სხვა თქმაში იმავე რიგის მუდერი შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში გემინატი მეორეულად მიიჩნევა:

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ. გვ. 45.

ბ (ბ) - ზ

დ - თ

ბ - ქ

ხანაგ. თქმ. დად - ხივ. თქმ. თაად „კვიცი“
დიარგუნ - თაერქუნ „გაჩერება“
ტივაქ. თქმ. დათა - ხივ. თქმ. თათა „მამალი“
დიუტუნ - თოიტუნ „მიბმა“
ბაზი - ფაზი „შევარდენი“
ბუშააჟ - ბუშააჟ „თეფში“

ზმნაში პრეფიქსად წარმოდგენილი კლასის ნიშანი დ შესაძლებელია თ გემინატიში გადავიდეს. შეინიშნება საშუალო, გარდამავალი მდგომარეობა, როცა დ უფრო მაგრად წარმოითქმის, ვიდრე ჩვეულებრივი დ. მაგრამ იგი ჭერ კიდევ არ არის თ გემინატი. მაგ.:

აულ გუმის თქმა: დაირგუნ „გაჩერება“
დაიუუნ „დადება“

შღრ. ტივაქ. თქმ.: დუუუნ „მიცემა“

გუმის თქმ.: თუუგუნ

ხანაგ. თქმ.: თუუუნ

შესაძლებელია, გემინატი მიღებულ იქნეს ხმოვნის რედუქციის შედეგად ორი თანხმოვნის შეხვედრით. ამ შემთხვევაში მეორეული გემინატი გვექნება.

ზმნაში კლასის ნიშნის დაკარგვისას ტივაქის თქმა იჩენს თავისებურებას და ზმნის ძირისეული თანხმოვანი, რომლის წინაც იდგა კლასის ნიშანი, განიცდის გემინაციას კლასის ნიშნის დაკარგვის საკომპენსაციოდ. კლასის ნიშანი ზმნაში იკარგება მაშინ, როცა სუბიექტი ან ობიექტი ადამიანის კლასს განეკუთვნება, ან მრავლობით რიცხვში ღვას:

ტივაქ. თქმ.: ქუუშუნ, ქუშუნ მოთავსება“

აუნსუნ, ასუნ „წაცხება“, „შელესვა“

ჭიჭხუს, ჭიხუს „დანაკება“

ვიწხუს, ვიხუს „მიხურვა (ფანჯრისა, კარისა)“

ჭაჭლ'უს, ჭარლ'უს, ჭალ'უს „გაქცევა“

ქუჭდუს, ქურდუს, კუღუს „გათრევა“, „გაქაჩვა“

ჭაჭკუს, ჭარკუს, ჭაკუს „რეცხვა“

ჭიჭყუს, ჭირყუს, ჭიყუს „მოქერა“

დიჭწუს, დიჭუს „გადნობა“¹

ამგვარი საკომპენსაციო გემინაცია აღნიშნა ბ. უსლარმა ხანაგის თქმაში, რადგანაც იგი სწორედ ამ თქმას იკვლევდა. მაგ.:

ქაჭსუს (ნივთ. კლ., მხ. რ.)

ქარსუს (ად. კლ., მხ. რ.)

ქასუს (მრ. რ.) „ჩაჭიდება“, „მიერთება“

შდრ. იგივე ზმნა სამხრულ დიალექტში — კარსუს (ხივ. თქმ.) აღნიშნავს აგრეთვე „მიწებებას“, სუბიექტის ან ობიექტის კლასისა და რიცხვის განურჩევლად.

ამგვარი მეორეული გემინაცია მხოლოდ ჩრდილო დიალექტს ახასიათებს და უფრო ინტენსიურად ტივაქის თქმას და, რაც საყურადღებოა, მეორეული გემინატები გვექნება ასეთ შემთხვევაში არა მხოლოდ სპირანტები და ხშულ-მსკდომები, არამედ აბრუპტივებიც. გემინირებული აბრუპტივები თაბასარანული ენის ფონემურ სისტემაში არა გვაქვს. შესაძლებელია მხოლოდ მისი მიღება ან რელიქტის სახით წარმოდგენა: (გუმის თქმა) წაურ „სახელი“, შდრ. ხუნძ. ენა წაარ „სახელი“, შდრ. ქართ. წოდ- (წოდ-ებ-ა).

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს გემინირებული აბრუპტივები მოეპოვება, ლეზგიურს, ალულურსა და თაბასარანულს — არა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, რელიქტივის სახით გემინატი აბრუპტივი შემოგვრჩა თაბასარანულში ძირეულ და საერთო დადესტნურ ლექსიკურ ერთეულებში.

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

ჩრდ. დ., თათილის თქმა: **აიწაუჲ** „ათი“
აიწაისაჲ „თერთმეტეი“
ბიწაურ „პატარა“

ტივაქ. თქმა: **აიწაუჲ** „ათი“
აწაურ „სქელი“
ბიწაურ || **ბიჭაურ** „პატარა“

აღსანიშნავია, რომ სიტყვაში **ბიჭაურ** „პატარა“ (ტივაქის თქმაში იგი **ბიწაურ** ფორმის პარალელურად გამოიყენება) წარმოდგენილია შიშინა აბრუბტიული აფრიკატი, მოცემულ შემთხვევაში გემინირებულია (წა ჭა). შევეუდართოთ თაბასარანული ენის სხვა თქმებს: **ბიწიბ**, **ბიწიჭ** (აღ. ენ.), სადაც მაგარი აფრიკატი გადავიდა სადა აბრუბტიულ აფრიკატ წ-ში.

თაბასარანული ენის რიგ თქმებში რიცხვით სახელში **ააწაუჲ** „ოთხი“ გვხვდება მაგარი აბრუბტივი ფა.

როგორც ჩანს, აბრუბტივთა კორელაცია: მაგარი — არა-მაგარი (წა წა ჭა ჭ...), დღეს რომ გვაქვს ხუნძურ-ანდიურ ენებში¹, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ისტორიულად ლეზგიური ენებისათვისაც, კერძოდ თაბასარანულისთვისაც². ამგვარად, შესაძლებელი იყო, თაბასარანულში ოთხეულგებრივის ნაცვლად ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა ხუთეულგებრივი სისტემა ც გქონოდა.

გემინირებული აბრუბტივები, იქნებ, საერთო დაღესტნური მოვლენაც იყო. ნ. ტრუბეტკოის აბრუბტივ წ-ს შესატყვისად მიაჩნია, მაგალითად, ნახური ენებიდან:

ბაცბ. **ტტ** (იტტ „ათი“)

ჩეჩნ. **თთ** (ითთ „ათი“)

¹ N. Trubetzkoy, Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nord-kaukasischen Sprachen. I. Die "kurzen" und "geminierten" Konsonanten der awaro-andischen Sprachen. Caucasia, fase 3, Leipzig, 1926.

² A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

ამგვარი შესატყვისობა მიუთითებს დადესტნურ ენებში მაგარი აფრიკატის წჱ-ს არსებობაზე „ათის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში.

გემინატები არაერთგვაროვანი შედგენილობითა და თვისებებით ხასიათდება თქმებისა და დიალექტების მიხედვით. სადა და გემინირებულ სპირანტთა კორელაცია თაბასარანულ ენაში, როგორც აღვნიშნეთ, ყველგან არაა შემონახული, ჩრდილო დიალექტში იგი სახეზეა, სამხრულ დიალექტში — დაიკარგა. თქმების მიხედვით აღინიშნება განსხვავებანი. ხშულ-მსკდომი გემინატები ენაში წარმოდგენილია ყველგან სრულად.

აღ. მაჰომეტოვი მიუთითებს, რომ სამხრულ დიალექტში, სადაც აღარა გვაქვს გემინაციის მიხედვით კორელაცია, სპირანტები უფრო მაგრად წარმოითქმის, ვიდრე დარგულის არაგემინირებული სპირანტები, მაგრამ არც ისე მაგრად, როგორც გემინირებული სპირანტები. ამგვარ აღქმაში მკვლევარი არ გამოირიცხავს სუბიექტურობის მომენტს¹. დიალექტებისა და თქმების მიხედვით ამგვარი სხვაობა მართლაც საგრძნობია, განსაკუთრებით კი ტივაქის თქმაში. მჟღერი ბ, დ, ძ და ა. შ. თანხმოვნები ბაუზის შემდეგ ყრუვდება (ფ), (თ), (ც) და ა. შ. ისინი არ ემთხვევა ფა, თა, ცა და ა. შ. თანხმოვნებს. დაყრუება აუცილებელია ყრუ სპირანტის შემდეგ მორფემათა მიჯნაზე: **მირაშ-დი** (ერგ.) „ნათესავმა“ → **მირაშ-თი**. გემინატები იშვიათად გვხვდება ანლაუტში, ინტერვოკალურ პოზიციაში კი — ხშირად სონორსა და ხმოვანს შორის. მათი ხშვის ფაზა მიეკუთვნება წინამავალ მარცვალს, ხოლო განხშვა — მომდევნო მარცვალს:

დათა [დ^ათ=თა] „მამალი“

ქაცა [ქ^აც=ცა] „კალი“

მირქაი [მ^{ირ}ქ=ქი] „ძვალი“ (ნიშანი „=“ აღნიშნავს საზღვარს მარცვალთა შორის).

ფა, თა, ცა, ჩა, ქა, ჯა ფონემათა ასპირაციის მომენტის

¹ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

ხანგრძლივობა ტივაქის თქმაში არ არის დიდი. ამავე ფონემების ასპირაცია კანდიქის თქმაში მნიშველოვნად ძლიერია. ლეზგიური ენისაგან განსხვავებით, ასპირაცია შენარუნებულია სპირანტებისა და სონორების შემდეგ:

ჟანთა „დრო“ (ნასესხებია)

შინთი „აკვანი“

თუ ფუძე ბოლოვდება გემინირებულ თანხმოვანზე ტივაქის თქმაში, მაშინ მას დაერთვის ხმოვანი, იდენტური წინა ხმოვნისა:

ხუთ-უ „ქლიავი“

მაქა-ა „ხორცი“

ამაზე ზემოთ გვექონდა საუბარი.

ძირეული გემინატები ანლაუტში ძირითადად სპირანტები:

საიჭა „საცერი“

სერიდი „ზეგ“

შილ „კვალი“

შაუ „ფრჩხილი“

შაულუთ „ფუნდამენტი“

შარკ „ჩლიქი“

შალ „ძნა“

ხან „ენდრო“

ხაუ „მონვევა“

ხაუზ „მოტანა“

ხაჟ „შალი“

ხარკაუ „გაზაფხული“

ხაიჭა „კაკალი“...¹

¹ მაგალითები იხ. A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

ფშვინვიერი გემინატები ანლაუტში ძირითადად მეორეულია:

ტივაქ. თქმ. დათა – ხივ. თქმ. თათა „მამალი“

ბაზი – ჟაზი „შევარდენი“ (ნასესხებია)

შედგენილობისა და დისტრიბუციული თვალსაზრისით, სხვაობა ერთი ენის შიგნით დიალექტებისა და თქმების მიხედვით, აგრეთვე სინქრონიულ დონეზე ძირეული და მეორეული გემინატების ერთდროული თანაარსებობა ადასტურებს გემინაციის სირთულეს და იგი უფრო ღრმა, დაწვრილებითი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გემინატი უნდა გაიმიჯნოს გაორმაგებული თანხმოვნებისაგან. გაორმაგებული ხომ ნებისმიერი რიგის თანხმოვანი შეიძლება გვქონდეს ენაში:

შიბბჷჷ „სამი“

მიჷჷჷჷ „რვა“

დიშში „პირდაპირი“

გაორმაგების შემთხვევები გვაქვს ექსპრესიულობის გამოხატველსა და ხმაბაძვით სიტყვებში:

ჟუჟჟარ აჷუს „ბზუილი“, „ქრიქინი“, „ზუზუნი“

ხუხნარ აჷუს „შიშინი“, „სისინი“

აჷჷა აჷუს „ქინვინი“

ჲძძჷ დიჷჷჷ „ნოგაზი“

იშვიათად შესაძლებელია სონორების გაორმაგებაც. გაორმაგება, ზოგადად, გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა განხილვისას შევეცადეთ ლაბიალიზებულ და შესაბამის დელაბიალიზებულ სახელურ ფუძეებს შორის (ზმნებში ეს ფონემები არ გვხვდება) დაგვეძებნა სემანტიკური კავშირები. თითქოსდა ეს კავშირები უნდა არსებობდეს გემინირებულ და მასთან კორელაციაში მყოფ არაგემინირებულ სპირანტებს შორისაც. ამგვარი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდად ჩავთვალოთ. იგი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს:

ხილ „ხელი“ — **ხილ** „ფრინველის ფრთა“ შეპირისპირება სემანტიკურად გამკვირვალეა და ნათელი.

უწუხუს „წადება“, „ტარება“ — **უწუხუს** „კითხვა“, „სწავლა“ იქნებ კითხვა მოიაზრებდეს „ტარებას“, ანუ თანამიმდევრულ სვლას.

ზარ „ზაფხული“ — **ზარ** „გამოქვაბული“. სემანტიკური დაკავშირება დაჩრდილულია. ასევეა მეორე შემთხვევაშიც: **დიშ** „ღამე“ — **დიშ** „ადგილი“, თუმცა „ღამე“ შეიძლება კიდევ „ადგილს“, „დადგომას“ დაუკავშიროთ.

დიჭა „წითელი სპილენძი“ — **დიჭ** „თოვლი“ ფერთა გამას გამოხატავს.

თაბასარანულ ენაში მეორეული გემინაცია სისტემურ ხასიათს ატარებს. ალ. მაჭომეტოვი¹ აღნიშნავს, რომ ხმოვნის დაკარგვა და მის კვალობაზე ორი თანხმოვნის შეხვედრა იწვევს თანხმოვნის შეცვლას:

ბ > ფ, ფა

დ > თა

ძ > ცა

ჭ > ჩ, ჩა

ჯ > წა

გ > კა

ქ > კა

მახვილიანი ხმოვნის წინა პოზიციაში მჟღერი გადაღის გემინირებულ თანხმოვანში:

ბ > ფ: ფსინჭ „მერცხალი“, შღრ. ბსინჭ (ზორეჯის თქმა)

ბისიმჭი (ტივაქის თქმა)

ტივაქის თქმა თავკიდულ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსს არ უშვებს, ამიტომ ხმოვნის რედუქცია აქ არ მოხდება, განსხვავებით სხვა თქმებისაგან.

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ, გვ. 58.

ბ > თა ჩუაი < ჩბი < ჩიბი (ერგ. ბრ.), ჩიბ „თეთონ“

დ > თა ხთაულ < ხდულ < ხუდულ „შვილიშვილი“

შთაუ < შდუ < შიდ-უ (ერგ. ბრ.) „წყალი“; შთაარ < შდარ < შიდ-არ (მრ. რ.), შდრ. აულ გუმის თქმა: შარ „წყალი“, ერგ. ბრ. შთაიბ;

ერგატივში დ შენახულია დ (> თა), სახ. ბრ.-ში დ > რ.

ვ(v)- პრევერბის დართვის დროს ბ კლასის ნიშნით დაწყებულ ზმნებში გვაქვს მეორეული გემინაცია:

ვფაირჯუნ < ვ-ბირჯუნ < ვი-ბირჯუნ „შეხვევა“, „შეფუთვა“, შდრ. ილ-ბირჯუნ „გადახვევა“, უზმინისწინო ფორმა იქნება ბირჯუნ. თუ ზმნას დაერთვის ლ- ზმნისწინი, მაშინ მას ხმოვანი წინ უსწრებს, რადგანაც თავკიდურ პოზიციაში სონორთა დისტრიბუცია შეზღუდულია, თუ ეს სონორი მორფოლოგიური მარკერია:

ხ > ხა: ხფაიბ (ხივ. თქმ.), შდრ. ხიბუჟე (ხანაგ. თქმ.) „დედალი“

ჩ > ჩა ჩურჩულ „ხელიკი“, შდრ. ჩურჩულ (ხანაგ., ტივაქ.)

ჭ > ჩა ქჩადურ < ვ-ჭადურ < ვა-ჭადურ „გამოვლება“

ჭ° > ჩა ქჩაუჯუნუნ < ქ-ჯუნუნ < ქუ-ჯუნუნ „სრიალი“, შდრ. უარყ. ფორმა: ქჩაუჯუნუნდარსუნ, სადაც ინტერვოკალურ პოციზიაში წარმოდგენილია ჯ°, რომელიც ამოსავალია ჩსათვის.

ხირიჯ° დასახელებაა სოფლისა (ხორეჯი), მრ. რ. ხირჩარ (ხორეჯელები)

ძ > ცა ვცაიგ'უნ (ვ-ძიგ'უნ < ვი-ძიგ'უნ „ბიძგება“), შდრ. უარყ. ფორმა ვ-ცაიძიგ'უნ.

გ > კა დიჭქარ (< დიჭქარ < დიჭქარ < დიჭაგარ) – მრ. რ., დიჭაგ „ქასრი“; ჩიუქარ – მრ. რ., ჩიუგ „ხენდრო“

ქ > ქჟ ქრქაარ < ქრქარ — მრ. რ.; ქარქ „პეშვი“, „მუჟა“
აფიქსთა მიერთების დროს შეიძლება დაიკარგოს მთელი
მარცვალის შემდგომი ფონეტიკური ცვლილებებით:

სლიბ „კბილი“ (ხორეჯის, ჩერეს თქმა), მრ. რ. სფაარ <
სბარ < სლიბარ, თავად სლიბ სიტყვამ დაკარგა სრულხმოვ-
ნიანობა: სლიბ < სილიბ¹.

თაბასარანული ენის დიალექტებსა და თქმებში მეორეუ-
ლი გემინაცია უმეტესწილად თავკიდურ პოზიციაში გვაქვს ტივა-
ქის თქმის გარდა, სადაც გემინაცია ინლაუტში თუ გვექნება მო-
რფეშათა გასაყარზე. ზმნურ ფორმებში მხოლოდითი რიცხვის I
პირის ნიშნის დართვისას დ და ზ-ს შეხვედრისას ხდება ფონე-
ტიკური ცვლილებები ასიმილაციის ნიადაგზე. შედეგად ვიღებთ
გემინატ ცხ; ცხ < *ძ < დ + ზ; შესაძლებელია, ასიმილაცია
არც მოხდეს:

ტივაქ. თქმ.: იპურდუზა || იპურცა (< იპურძა <
იპურდზა < იპურდუზა) „გავაკეთებ“ (აპუზ „კეთება“);

შდრ. II პირის ფორმა მხ. რ.-ში იპურდუშა || იპურდა
„აკეთებ“

გ) ფარინგალიზაცია. I. დაღესტნურ ენათა ვოკა-
ლიზმში დიდ ინტერესს იწვევს ხმოვანთა ფარინგალიზაცია. ზო-
გიერთ ენაში ეს მოვლენა ყველა ხმოვანს მოიცავს (წახ., რუთ.,
უდ., არჩ., ლაკ., დარგუული ენის კუბაჩური დიალ., დიდ., ხვარ-
შიული ენის ინხოყვარული დიალ.), ზოგში — მხოლოდ ცალკე-
ულ ბგერებს (თაბ. ა, უ, დარგ. ა, ე). ფარინგალიზაცია ძირითა-
დად მოუდის, როგორც ცნობილია, უკანა წარმოების ხმოვნებს.
წინა წარმოების ხმოვნები, რომელთაც შესაძლებელია მოუვიდეთ
ფარინგალიზაცია რიგ ენებში, მაინც ნაკლებად ექვემდებარება
მოდიფიკაციას. დაღესტნურ ენათა მკვლევრები არ უარყოფენ
ფარინგალიზაციის მოვლენას და ამავე დროს სხვადასხვა პოზი-
ციებიდან ხსნიან მას: ერთნი თვლიან, რომ ეს არის ხმოვნის თვი-

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

სება, მეორენი — თანხმოვნის თვისება.

ე. ბოკარევი ფარინგალიზებულ ხმოვნებს მიიჩნევს ძირეულ ხმოვნებად საერთო-დაღესტნურ დონეზე: „ასევე შეიძლება თვალი ვადევნოთ საერთო დაღესტნურ წინარე ენაში ფარინგალიზებულ ხმოვნებს, რომელთა არტიკულაცია ხასიათდება ხახის განსაკუთრებული დაძაბვით. მაგრამ ეს საკითხი კიდევ საჭიროებს დამატებით შესწავლას“¹. შემდგომ შრომაში "Опыт реконструкции вокализма общелезгинского языка" ა და ე ფარინგალიზებული ხმოვნები მოყვანილია როგორც ძირეული ბგერები².

სხვაგვარად წყვეტენ საკითხს დიდოურ ენათა ფარინგალიზებული ბგერების შესახებ ი. მეგრელიძე, დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე. ი. მეგრელიძე დიდოურ ენებში ფარინგალიზაციას თანხმოვანთა თვისებად მიიჩნევს³ დ. იმნაიშვილი⁴ აღნიშნავს, რომ ხვარშიული ენის ორივე დიალექტში გვაქვს დიდოურ ენაში წარმოდგენილი სადა და ნაზალიზებული ხმოვნები. ფარინგალიზაცია განპირობებულია თანხმოვნებით. ე. ლომთაძე წერს: „ე. ბოკარევი არ გამოყოფს თანხმოვნებს ლ', ჯ', ყ' არც ინზოყვარულ, არც საკუთრივ დიდოურ დიალექტში. მიიჩნევს, რომ აქ გვაქვს არა სპეციფიკური თანხმოვნები, არამედ ისეთივე ფარინგალიზებული ხმოვნები, როგორიც დამახასიათებელია ლაკურისათვის, კუბაჩურისათვის“⁵...

¹ Е. А. Бокарев. Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Махачкала, 1961, გვ. 83.

² Е. А. Бокарев. Опыт реконструкции вокализма общелезгинского праязыка. Тезисы докладов научной сессии по СИИ ИКЯ Северного Кавказа (14-18 июня 1965 г.), Махачкала, 1965, გვ. 45.

³ И. В. Мегрелидзе. Звуковой состав цезского (дидойского) языка. Язык и мышление, VI-VII, М.-Л., 1936, გვ. 231-247.

⁴ Д. С. Имнайшвили. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, Тбилиси, 1963, გვ. 14.

⁵ Э. А. Ломтадзе. Гинухский диалект дидойского языка, Тбилиси, 1963, გვ. 14.

ფარინგალიზებულ ბგერებს განიხილავს კუბაჩურსა და თაბასარანულში აღ. მაჰომეტოვი. მისი აზრით, ბგერათა ფარინგალიზაცია მითითებულ ენებში განპირობებულია თანხმოვნებით. ამავე დროს ეს თანხმოვნები გავლენას ახდენენ მომიჯნავე ხმოვნებზე და იწვევენ მათ ფარინგალიზაციას.

ე. ჭეირანიშვილი წახურ-რუთულურისა და უდიური ენების ფარინგალიზებული ხმოვნებისადმი მიძღვნილ სპეციალურ შრომაში გამოთქვამს მოსაზრებას ფარინგალიზებულ ხმოვანთა პირველადობისა და დამოუკიდებლობის შესახებ ამ ენებში¹. ავტორს ამგვარი დასაბუთებისათვის აქვს საფუძველი. წახურში, რუთულურსა და უდიურში ყველა ხმოვანი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან შერწყმისას განიცდის მოდიფიკაციას (ა > ა, ი > ი, ე > ე, უ > უ, ო > ო). რიგ შემთხვევებში ხმოვნები ინარჩუნებენ ფარინგალიზაციის შეძენილ თვისებებს ფარინგალიზებული თანხმოვნების დაკარგვის დროსაც კი. ამ მოვლენას ნათლად შეიძლება ვაღვენოთ თვალი წახურულ ენაში, სადაც სიტყვის დასაწყისმა და ბოლომ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ფარინგალიზაციის მოვლენის განმარტება დაღესტნურ ენებში საჭიროებს მკვლევრისაგან დიფერენცირებულ მიდგომას არა მარტო ცალკეული ენისადმი, არამედ დიალექტებისადმიც. წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნები არ იქნება მართებული. მით უმეტეს, რომ დაღესტნურ ენებში არის შემთხვევები, როცა ბგერათა ფარინგალიზაცია ასახვას პოვებს რომელიღაც დიალექტში ან თქმაში და არა მთელ ენაში. მაგალითად, „ფარინგალიზებული ხმოვნები, — როგორც აღნიშნავს ე. ბოკარევი, — დამახასიათებელია არა მთლიანად ხვარშიული ენისათვის, არამედ მხოლოდ ინხოყვარიული დიალექტისათვის. ამასთანავე, სანტლადიურ თქმაში ხმოვანთა ფარინგალიზაცია გამოხატულია ნაკლებად, ვიდრე სხვა თქმებში (ხვანიურსა, ინხოყვარიულსა და კვანტლადიურში). ხვარშიულ დიალექტში კი ხმოვანთა ფარინგალიზაცია

¹. ე. ჭეირანიშვილი, ფარინგალიზებული ხმოვნები წახურულ-რუთულურსა და უდიურ ენებში. იკე, ტ. XI, თბ., 1959, გვ. 357-359.

არაა წარმოდგენილი¹.

რაც შეეხება ფარინგალიზაციას წახურულსა და რუთულურ ენებში, აქ იგი წარმოდგენილია არაერთგვაროვნად. თითოეულს ახასიათებს თავისებურებები. კერძოდ, რუთულურმა ენამ შედარებით უკეთ შემოინახა ფარინგალიზებული თანხმოვნების თავდაპირველი ფონემურობა, ხოლო წახურულ ენაში სიტყვის დასაწყისსა და ბოლოში განსაზღვრული მორფონოლოგიური ცვლილებების გამო აღინიშნება ფარინგალიზებულ თანხმოვანთა დეფონოლოგიზაციის პროცესი და ფარინგალიზებულ თანხმოვანთა მეზობელი მოდიფიცირებული ხმოვნების რეფონოლოგიზაცია.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი რუთულური ენის მონაცემები. ამ ენაში ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი თავისებურებებია:

1. ფარინგალიზებულ თანხმოვანთა თავდაპირველობა;
2. ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ფონემურობა;
3. ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან შერწყმისას ყველა

ხმოვნისათვის მოდიფიცირების უნარი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წახურულ ენაში ფარინგალიზებული ხმოვნები ჩამოყალიბდნენ ფონემებად. ამასთან ერთად მათ მიიღეს შედარებითი დამოუკიდებლობა (თავისუფლება), დავიწროვდა შეზღუდვის ზღვრები და, შესაბამისად, გაიზარდა მათი შერწყმის (შეთვისების) შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ძირეული ლექსიკის ანალიზი გვიჩვენებს ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან დამოკიდებულ მდგომარეობას წახურულ ენაში, ანუ მათ პოზიციურ გამოყენებას ძირითადად ფარინგალურ და უკანაენისმიერ თანხმოვნებთან.

წახურულ ენაში ძირეული ლექსიკა ფარინგალიზებული ხმოვნებით ისეთ ძირებში, სადაც არაა წარმოდგენილი ფარინგალები და უკანაენისმიერი (ემფატიკურად შერბილებული ლ', ხ', ფ', ჯ, ყ', ჰ', ც') თანხმოვნები, მნიშვნელოვანწილად ცოტაა: ჟაშ „ასი“, ჰარ „თმა“, არდ „ცხვრის ღუმა“ და ა. შ. ასეთი სიტყვები

¹ E. A. Бокарев. დასახ. ნაშრ., გვ. 146.

სულ ოცი-ოცდაათი თუ იქნება, მაგრამ ენაში მათი არსებობა გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობაზე, ხოლო ფარინგალიზებული თანხმოვანები აღიქმება პოზიციურად მიღებულ თანხმოვნებად. ენაში განსაზღვრულ ფონო-მორფემულ ცვლილებათა გამო ხდება ბგერების ფუნქციათა ცვლა. ფარინგალიზებული თანხმოვნები უკვე აღარ არის ფონემები, ხოლო ფარინგალიზებული ხმოვნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეორეული წარმოებისა არიან, იძენენ ფონემის მნიშვნელობას. ეს პროცესი განპირობებულია პირველის (ფარინგალიზებული თანხმოვნების) ფუნქციის დავიწროებით და მეორის (ფარინგალიზებული ხმოვნის) ფუნქციის გაფართოებით. თუ ადრე ფარინგალიზებული ხმოვნები გამოიყენებოდა მხოლოდ ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან შერწყმისას (როგორც მოდიფიკაციის შედეგი), შემდგომ მათი გამოყენება შესაძლებელი ხდება ფარინგალიზებულ თანხმოვანთაგან დამოუკიდებლადაც. ასეთი შესაძლებლობა განპირობებულია სიტყვის საწყისისა და ბოლოს განსაზღვრული ცვლილებებით, ასევე სხვა ფონეტიკური პროცესებით (თანხმოვნის ამოვარდნა, ხმოვნის დავიწროება, საწყისი მარცვლის დასუსტება ხმოვანთა წარმოთქმაში, მარცვლის ღიაობის ტენდენცია). მაგალითად: უმ < ც'უმ, „რგოლი“, ვს < ც'ანლდ' „სვლა“

წახურულ ენაში ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ფუნქციის დავიწროების მიუხედავად რიგ შემთხვევებში მათ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი თავდაპირველი დამოუკიდებლობა. შესაძლებელი გახდა ფონემურობაც: ალტაზ'უმ „გაფუმფულება“, ალტაძ'ი (II გრ. კლ.), ალტაბზ'ი (III გრ. კლ.). წახურულ ენაში ფარინგალიზაცია, ისევე როგორც რუთულურ ენაში, ფონემატურია — სიტყვათა მნიშვნელობას განარჩევს: ც'რუ „თაგვი“ — < ც'რუ „კასრი“, ხ'ანუ „ცა“ — ხანუ „სახლი“ და ა. შ. პალატალიზაციით განპირობებულ ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემური

შეპირისპირება არ გააჩნიათ. მაგალითად: **ჭარ** — **ჭარ** „თმა“ იგივე აღინიშნება ნასესხებ სიტყვებში: **ორტა** — **ორტა** „საშუალო“, **წლიმ** — **წლიმ** „მეცნიერი“, **დაჭტარ** — **დაჭტარ** „რვეული“.

ლარინგალთა და ფარინგალთა რიგი კარგადაა შემონახული დაღესტნურ ენებში, ოღონდ ფარინგალების რიგი მნიშვნელოვნად სუსტია. ლეზგიურ და ანდიურ ენათა ჯგუფებში **ხ**, **ღ** თანდათან კარგავენ ფონემურობას. ანალოგიური რიგები ჰქონდა აგრეთვე უკანა წარმოების თანხმოვნებსა და უვულარებს.

ა) პირველი რიგი — **ღ**, **ხ**, **ხა**, **ფ**, **ჭ**, **ჟ**, **ყ**, **ყ**

ბ) მეორე რიგი — **ღ'**, **ხ'**, **ხა'**, **ფ'**, **ჭ'**, **ჟ'**, **ყ'**, **ყ'**

მეორე რიგი პირველისაგან წარმოების წესისა და ადგილის მიხედვით განსხვავდება, ახლავს დამატებითი არტიკულაცია, რომელიც განაპირობებს ამავე რიგის თანხმოვანთა ფარინგალიზაციას (იგივე შეინიშნება ლარინგალურ და ფარინგალურ რიგებს შორის).

ნაჩვენები თანხმოვნების პირველი რიგი შემონახულია ძირითადად ცვლილებების გარეშე და დაღესტნურ ენებში მათ გამოიწვიეს რიგი თავისებურებანი ბგერით შედგენილობაში. ბევრმა ენამ უკვე დაკარგა ფარინგალიზებული თანხმოვნები ან შეავიწროვა მათი გამოყენების სფერო.

ფარინგალიზებული თანხმოვნები შემონახულია მთლიანად — რუთულურში, წახურულში, დარგულში ენის კუბაჩურ დია-

¹ გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვები **ხიჭა** „მელია“, **ხიჭა** (|| **ხუჭა**) „მთა“. ამ ლექსემებში ფარინგალიზებულ და სადა ხმოვანთა ფონემური ოპოზიცია მეორეულია. ამოსავალ ლექსიკურ ერთეულებში ფარინგალიზაცია სრულებით არა გვაქვს. მაგალითად: „მელია“ — წახ. **ხიჭა**, რუთ. **ხიჭ**, კრიწ. **საქულ**, ბუღ. **სოქელ**, არჩ. **სოლ**, თაბ. **ხულ** და ა. შ.

ლექტში¹ (ღ', ჳ, ჳა, ყ', ხ', ხა, ლ'), შესაძლებელია უდიურ, არჩი-
ბულ და ლაკურ ენებში, სადაც ფართოდაა წარმო დგენილი ფა-
რინგალიზებული ბგერები. ოლონდ აქ ფარინგალიზაციას ხმოვნის
თვისებად მიიჩნევენ².

ფარინგალიზაცია არ ახასიათებს დაღესტნურ ენათაგან
რიგ ენებს (ხუნძურს, ანდიური ქვეჯგუფის ენებს, კრიწულს, ბუ-
დუხურს, ლეზგიურს, ხინალულურს), ოლონდ მათში შემონახუ-
ლია კვალი, რომელიც მიუთითებს ისტორიულად დაღესტნურ
ენებში ფარინგალიზაციის ფართო გავრცელებაზე. მითითებულ
ენებში, კერძოდ, შემონახულია ფარინგალური ღ, ხ. რიგ შემ-
თხვევებში ფარინგალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსები ემთხვევა
ფარინგალური ღ, ხ-ს. მაგალითად: რუთ. ყუჷდ, წახ. ყოდ, აღ.
ყუდ, ღუდ || ღად... „ორი“. ფარინგალურ თანხმოვნებთან ღ, ხ
შერწყმისას ხმოვნები განიცდიან მოდიფიკაციას. ამიტომ მართე-
ბული იქნებოდა, ფარინგალიზაციაზე გვესაუბრა დაღესტნურ
ენებში როგორც საერთო ენობრივ თვისებაზე. იგი მოიცავდა და-
ღესტნურ ენათა ფონეტიკურ სისტემას, თუმცა ზოგან უფრო
ფართოდ, ზოგან — ვიწროდ.

აღინიშნება შემთხვევები, როცა ფარინგალიზაცია, რო-
გორც განვლილი მოვლენა, რიგ ენებში აღარ იხმარება: ხუნძ.
ღაზო, ანდ. ანზი, ჳამ. ანზ, აღულ. ანზ || ანზუ, ახვ. ანზი,
რუთ. ძიზ, წახ. ძიზ „თოვლი“. ნაწილობრივ (მაგრამ საკმაოდ
კარგად) — თაბასარანულში (ღ', ჳ, ჳა, ყ'), დიდოურში (ღ', ხ', ჳ,
ყ'), ჰინუხურში (ჳ, ყ', ლ'), ხვარშიულში (ინხოყვარული დიალექ-

¹ „კუბაჩურ დიალექტში ფარინგალიზებული თანხმოვნები ხშირად
გვხვდება ფარინგალებსა და უკანაენისმიერებს შორის“ — იხ. А. А. Ма-
гометов, Кубачинский язык, გვ. 48.

² აღ. მაჰომეტოვის შრომების გამოცემამდე კუბაჩური დიალექტისა და
თაბასარანული ენის ფარინგალიზაციას უკავშირებდნენ ხმოვნების
თვისებას. იხ. მისი "Кубачинский язык", გვ. 47-50; Табасаранский
язык, გვ. 49-51.

ტი — ლ', ხ', ჯ, ყ).

დ. იმნაიშვილი ხვარშიული ენის ინოვაციურ დიალექტში გამოყოფს ფარინგალიზებულ თანხმოვნებს ლ', ქ', კ'. იშვიათ შემთხვევაში წახურულსა და რუთულურ ენებში შეინიშნება ხმოვანთა ფარინგალიზაცია, განპირობებული პალატალიზაციით, მაგალითად: ჭარ || ჭარ „თმა“, გას || გას „შიმშილი“ და ა. შ. შესაძლებელია, ხვარშიული ენის ინოვაციურ დიალექტშიც გ', ქ', კ'-ს ფარინგალიზაცია გამოწვეული იყოს პალატალიზაციით.

დაღესტნურ ენათა ფარინგალიზაციის საკითხი მოითხოვს ღრმა შესწავლას, განსაკუთრებით ლაკურში, არჩიბულსა და უდიურ ენებში.

დაღესტნურ ენათა ფონეტიკის პრობლემური საკითხების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თაბასარანულ ენაში წარმოდგენილია ფარინგალიზებული ბგერები, რომელთაც, ნ. ტრუბეტკოვის აზრით, ახასიათებს რეზონატორის დამოკლება, გამოწვეული არა ჩვეულებრივი პალატალიზაციით, არამედ ხორხის აწევით².

ბ. უსლარმა მიუთითა, რომ თაბასარანულ ენაში k თაშლიდით აღნიშნულ თანხმოვანს აქვს განსაკუთრებით აღსანიშნავი თვისება — მისი მომდევნო ან წინამავალი ა უმეტეს შემთხვევაში გადადის ა-ში³. ბ. უსლარის მიერ შენიშნული თანხმოვნის გავლენა უახლოეს ხმოვანზე არის შედეგი იმისა, რომ ფარინგალიზებული თანხმოვანია, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი⁴.

ბ. უსლარი წერს, რომ ამ ფონემას „ბევრ სიტყვაში მიერთვის საკმაოდ მოძრავი ბგერა, თუმცაღა იგი არაა აუცილებელი“ აქ ერთ შემთხვევაში გვაქვს ფარინგალიზებული ბგერა, რო-

¹ Д. С. Имнайшвили. დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

² N. Trubetzkoy. Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ. 11.

³ П. К. Услар. Табасаранский язык, § 9, გვ. 62.

⁴ А. А. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ცა საუბარია მოძრავი ბგერის მიერთებაზე და მეორე შემთხვევაში გვაქვს სადა, ჩვეულებრივი, არაფარინგალიზებული თანხმოვანი. ორივე უნდა გაირჩეს ერთმანეთისაგან. ამგვარად, პ. უსლარის ნაშრომში გვაქვს ფარინგალიზებულ ბგერებზე საუბარი.

კ. ბოუდა აღნიშნავს, რომ ანალოგიური თვისება გააჩნია ღ სპირანტს¹ (უსლარის მასალაში მას k თაშლიდი შეესაბამება). ზმნისწინებსა და თანდებულებში ღ სპირანტი ა და უ ხმოვნებთან მეზობლობაში განიცდის ფარინგალიზაციას და ხმოვნებიც ფარინგალიზებული ხდება — ა, უ.

კ. ბოუდა აღნიშნავს, რომ ამ სპირანტში ჩამალული ძალა მოგვაგონებს ცენტრალურ-კავკასიურ, ლაკურსა და უდიურ ენებში წარმოდგენილ, მაგრამ თაბასარანულისთვის უცნობ თანხმოვანთა კატეგორიას, რომელთაც ახასიათებდა თავისებური ტონი; მათ ნ. ტრუბეტკოიმ უწოდა "emphatisch-mouilliert"². როცა კ. ბოუდა საუბრობს, რომ თაბასარანული ენისათვის უკვე უცნობია თავისებური ტონის მქონე თანხმოვნები, იგულისხმება ფარინგალიზებული თანხმოვნები, რომელთა გავლენითაც მოდიფიცირდება უახლოესი ხმოვანი. კ. ბოუდა ამოდის იქიდან, რომ ნ. ტრუბეტკოი არასწორად მიიჩნევდა თაბასარანულში თავისებური ტონის რაიმე შეპირისპირების არარსებობას³

ფარინგალიზაცია თაბასარანულ ენაში მკვეთრადაა გამოხატული, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი⁴. თანხმოვნებიდან ფარინგალიზაციას ექვემდებარება, ჩვეულებრივ, უკანა წარმოების ბგერები (ფარინგალები, უკანაენისმიერნი), ხმოვნებისაგანაც — ასევე უკანა წარმოების ხმოვნები (ა და უ). ფარინგალიზაციის მიხედვით სიტყვები უპირისპირდება ერთმანეთს:

ბან „ეზო“, შდრ. ხან „ენდრო“

ბანჟ „ცური“ შდრ. ხაჟ „მონვევა (მკლავების)“

¹ K. Bouda. Das Tabassaranische, გვ. 8.

² იქვე, გვ. 8.

³ N. Trubetzkoy, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁴ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

შევუდაროთ, აგრეთვე, ფარინგალიზებულ გემინირებულ თანხმოვანს არაგემინირებული თანხმოვანი სიტყვაში ხაჲჲ „ცუ-რი“, ხაჲჲ „საყელო“¹.

ნ. ტრუბეტკოიმ აღნიშნა, რომ ფარინგალიზებული თანხმოვნების გავლენით ხმოვანთა მოდიფიკაციისას უკანა წარმოების ხმოვანი პალატალიზდება (ა > ა), ხოლო ვიწრო ხმოვნები ფართოვდება (ი > ე, უ > ო)².

ფარინგალიზებული თანხმოვნების გავლენით გამოწვეული უკანა წარმოების ხმოვნების პალატალიზაციის დროს შესაძლებელია ხმოვანთა ფარინგალიზაცია დაიკარგოს (ლუზგიურ ენაში).

თაბასარანულ ენაში პრევერბი მნიშვნელობით „რალაცის შუა“ წარმოდგენილია ღ' ფარინგალიზებული თანხმოვნით:

ღ'უჲჲ'უჲ „შესვლა რალაცის შუა“

ღ'არსუჲ „ჩადება რალაცის შუა“

შევუდაროთ იგივე პრევერბი, რომელსაც მოსდევენ წინა წარმოების ხმოვნები:

ღითუჲ „ჩადება რალაცის შუა“

ღეჲეთუჲ „ჩაბმა რალაცის შუა“³

წინა წარმოების ხმოვნებთან ფარინგალიზაცია არაა შემონახული, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი. ფარინგალიზაცია აქ არც უნდა გვექონოდა. ფარინგალიზაციის მოშლის ძლიერი ტენდენცია გვაქვს სამხრულ დიალექტში, ჩრდილო დიალექტში და განსაკუთრებით ტივაქის თქმაში ეს პროცესი სუსტია.

ხივ. თქმ. ხეჲ „ვარსკვლავი“, შდრ.: ხანაგ. თქმ. ხ'არ, ტივაქ. თქმ. ხაჲ

ხანაგ. თქმ. ჯეხერ „მსხალი“, შდრ.: ტივაქ. თქმ. ჯახ'არ, შდრ. აღ. ენ. ჩიხ'არ

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ. გვ. 50 (სქ.).

² N. Trubetzkoy, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

³ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

ხურიკ. თქმ. ლეხინ „საქმე“, შდრ.: ტივაქ. თქმ., ხანაგ. თქმ. ლაზ'ინ

თაბ. ენ. ყელ / ყილ „მარილი“, შდრ.: აღ. ენ. ყაღ

აულ ულძიგის თქმაში (ჩრდ. დიალ.) — ღინი „ნემსის ყუნწი“, შდრ.: ხანაგ. თქმ. ღინი, რეგუჯის თქმა: ჳანნი, შდრ.:

აგრეთვე დარგ. ენ. ღინა (კუბაჩ. დიალ.)¹, სადაც თანხმონის ფარინგალიზაცია წინა წარმოების ხმოვანთანაც კი არ იკარგება.

ფარინგალიზაცია ძლიერია თაბასარანული ენის ჩრდილო დიალექტში, განსაკუთრებით ტივაქის თქმაში, იმდენად ძლიერი, რომ იგი მთელ სიტყვას მოიცავს (ამაზე — ცალკე).

თაბ. ენ. ხანაგ. თქმ. (ჩრდ. დ.) რაღ „სავარცხელი“, შდრ.: ლეზგ. ენ. რელ

თაბ. ენ., აღ. ენ. რაჯა „გზა“, შდრ.: ლეზგ. ენ. რეყ

თაბ. ენ. ყაშუ „მოდგამი“ || „მონდავი“ შდრ.: ლეზგ. ენ.

ყეუ

„одномужница“ (с другой женой) შდრ. აგრეთვე ქართ. („ყვევარი“)

ლეზგიურ ენაში ფარინგალიზებული თანხმონით გამოწვეული ხმოვნის პალატალიზაცია უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე თაბასარანულ ენაში, — აღნიშნავს აღ. მაჰომეტოვი². ოღონდ საყურადღებოა ის, რომ ამის კვალობაზე თავად თანხმონის ფარინგალიზაცია ქრება, ფარინგალიზაცია ლეზგიურში უფრო სუსტია, ვიდრე თაბასარანულსა და აღულურში. საკუთრივ თაბასარანულში სუსტდება სწორედ ლეზგიურთან ახლოს მდგომ სამხრულ დიალექტში.

II. თაბასარანულ ენაში ფარინგალთა რიგი სრულადაა წარმოდგენილი. სახეზეა ცოცხალი მქდერი ფარინგალი ფ (ფ, ჳ, ჟ, ყ) განსხვავებით ქართველური ენებისაგან.

¹ А. Магомедов, დასახ. ნაშრ., 51.

² იქვე, გვ. 51.

აღ. მაჰომეტოვი თაბასარანულ ენაში ბგერათშესატყვისობებზე მსჯელობისას უპირველესად ყურადღებას ამახვილებს ბგერათშესატყვისობაზე ფარინგალებსა და მჟღერ სპირანტს შორის. მჟღერი ფარინგალი ე შემონახულია და უკეთაა წარმოდგენილი ჩრდილო დიალექტის თქმებში (მაგალითად, ხურიკის თქმაში), ან მას ენაცვლება მჟღერი სპირანტი ღ (ავტორი აღნიშნავს, რომ ეს არის ბგერის წარმოების ადგილის წინ გადაწევა)¹

ჩრდ. დ. (ტივაქ. თქმ.) ე	სამხ. დ. (ხივ. თქმ.) ღ
რიფი	რიღ „მზე“
მიფი	მიღ „ღღე“
ფან	ღჟან „ქვა“
მარღა	მარღ „კომბალი“
ე 'ანე	ღ'ანე „ხიდი“
ე'უნ	ღ'უნ „მხარი“
გუღ'უნს	გულ'უნს „დაწყება (მუშაობისა)“
გუტუღ'უნს	გუტურღ'უნს „ჩაყლაპვა“
ფიფიყუს	ღიბიყუს „არევა“
ღ'ანჟ'უნს	ღ'ან'უნს „ჩაყრა“
ღ'უნჟ'უნს	ღ'უნ'უნს „ჩაღვრა“

ნ. ტრუბეტკოვი აღნიშნავს ფარინგალური ფს ჩანაცვლებას ღ სპირანტით, მახვილიანი ხმოვნის წინ კი — ჯ გემინატიტ ლეზგიურ ენაში².

სპირანტ ღ-თი იცვლება, მჟღერი ფს მსგავსად, გემინატი ჯ თაბასარანულში, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი:

¹ A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

² N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, XXXVII, Wien, 1930.

ტივაქ. თქმ. ჯულგან	ხივ. თქმ. დულგან „ლოცვა“
ჯუთურ	დუთურ „ქავილი“
ჯირალა	ღირას „ნაპირი“, „მხარე“
ჯადალა	დადალა „ყადალა“
ჯახთა	ღახთა „ლენტი“

ჩრდილო დიალექტის ხანაგის თქმაში ფარინგალური თანხ-
მოვნის უკანაენისმიერი სპირანტიტ ჩანაცვლება წარმოდგენილია
ფართოდ, ვიდრე სამხრული დიალექტის ხივის თქმაში:

ხივ. თქმ. ჯუსჯუნ	დუზდუნ „ქუზი“
ჯარმას	ღარმას „ქაუქი“
ჯარი	ღარი „ბებერი“
ჯალხან	ღალხან „ფარი“
ჯიზილ	ღიზილ „ოქრო“ ¹

ღ და ჯ ფარინგალების დ სპირანტიტ ჩანაცვლებასთან ერ-
თად აღსანიშნავია აბრუპტივი ფარინგალის ყ-ს ჩანაცვლება დ-თი.

ჩრდ. დ. (ხანაგ. თქმ.) ყაწლურ სამხ. დ. (ხივ. თქმ.)

	ღაწლურ „შიშველი“
ყაწ	ღანწ „ნამსხვრევი“, „ნატეხი“

თვით ხივის თქმაში შესაძლებელია პარალელური წარმოება:
ყარწ || ღარწ „თარო“

ამგვარად, თაბასარანულ ენაში წარმოდგენილია ფარინგა-
ლური ღ ჳ, ჯ, ყ ბგერების უკანაენისმიერი სპირანტიტ დ-თი ჩა-
ნაცვლების ტენდენცია. სხვადასხვა თქმაში ეს პროცესი არაეერ-
თგვაროვნად განვითარდა².

ფარინგალთა რიგში შედარებით მყარი პოზიცია უჭირავს

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

² A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ვ ფონემას, რომელსაც მორფოლოგიური დატვირთვაც აქვს, იგი ლოკატიური ბრუნვის ნიშანია მნიშვნელობით „უკან“ ალ. მაჰომეტოვი მიუთითებს მის შესატყვისობაზე უკანაენისმიერ სპირანტთან ზ. ამოსავალში ვ ჯოჭ (ხივ. თქმ.) ხიჭი (ტივაქ. თქმ.)

„კაკალი“, შდრ.: ვიხუ „კაკალი“ (დარგ. ენ.).

ფარინგალთა სპირანტებთან შესატყვისობის წარმოდგენა სქემატურად შესაძლებელია ამგვარად:

ფ	ვ	ჰ	ჟ
↓	↓	↓	↓
ღ	ხ	ღ	ღ

უკანაენისმიერ ხშულთა და სპირანტთა კლასიფიკაციას ალ. მაჰომეტოვი წარმოების ადგილის მიხედვით ამგვარად იძლევა:

არალრმა გ ქ ჭ კ გ' ხ ხა

უკანაენისმიერები

ღრმა ღ ხ ხა

თაბასარანული ენის ბგერით სისტემაში წარმოდგენილი მყდერი სპირანტი გ' მერყეობას განიცდის და ზოგიერთ შემთხვევაში მას ენაცვლება ჟ. კ. ბოუდამ აღნიშნა თაბასარანულსა და ლეზგიურ ენებში გ ჟ შესატყვისობა¹. უნდა იყოს გ' ჟ, — მიუთითებს ალ. მაჰომეტოვი². თანამედროვე თაბასარანულის ანბანში გ და გ' ბგერები არაა გარჩეული და გადმოიცემა ერთი ნიშნით, რამაც დროთა განმავლობაში გ' სპირანტის გ ხშულში აღრევა გამოიწვია.

გ' ჟ-ს შესატყვისობა:

ლიგ'უს ჩრდ. დ. სამხ. დ. ლიჟუზ „ცქერა“

ლუგ' ლუჟ „სახელო“

¹ K. Bouda, Das Tabassaranische, გვ. 7.

² A. A. Маркетов, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

ხანაგის თქმაში პარალელური ფორმები გვაქვს: **ლუგ' ო
ლუჟ** „სახელო“.

ზმნებში ძირისეულ თანხმოვნად **გ'** უკეთაა შემონახული ხა-
ნაგის თქმაში:

ხანაგ. თქმ. **თაუგ'უზ**, ტივაქ. თქმ. **დუჟუს** „მიცემა“
(ობიექტი ნივთ. კლ., მხ. რ.)

თაუგ'უზ **დურგ'უს** (ობიექტი ად. კლ., მხ. რ.)

თაუგ'უზ **დუგ'უზ** (ობიექტი მხ. რ.).

შდრ.: სამხ. დ. (ხევ. თქმ.) **თაუჟუზ** „მიცემა“ (განურჩევლად
ობიექტის კლასისა და რიცხვისა). აქ **ჟ** შესატყვისია **გ'-სი**. მას
ვერ მივიჩნევთ გაქვავებულ კლასის ნიშნად. უნდა აღინიშნოს,
რომ, თუკი ზმნის ძირში გვხვდება გაქვავებული კლასის ნიშანი,
ის აუცილებლად **რ** არის.

ძირისეულ თანხმოვნად **გ'** ზმნებში შესაძლებელია შე-
გვხვდეს იშვიათად ხივის თქმაშიც: **ჰერგ'უზ** „გაქცევა“, **კაიგ'უზ**
„ბიძგება“

როგორც ჩანს, თაბასარანულში მერყეობას განიცდის არა
მარტო ფარინგალთა რიგი, არამედ სპირანტებიც. სპირანტთა
შორის მონაცვლეობაა მონათესავე ენებს შორისაც:

თაბ. ენ.

ხილ

ხუზ

ძახ

ლეზგ. ენ.

დილ „ხელი

დუნ „მოტანა“

ცაღ „ჩამი“

ფარინგალური რიგის თანხმოვნები დადასტურებულია მთის
იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფში, აფხაზურ-ადიღურ
და ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ყველა ენაში. ფარინგალური
რიგის თანხმოვნებს გამოყოფენ ქართველურ ენებშიც. ალბანური
ანბანის მონაცემების საფუძველზე აკ. შანიძემ დამაჯერებლად აჩ-
ვენა, რომ ფარინგალური რიგის თანხმოვნები უნდა ჰქონოდა

ალბანურ ენასაც.

ამ სპეციფიკური თანხმობების მქონებლობის თვალსაზრისით ერთიანდება ქართველური და მთის კავკასიური (აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური) ენები. ქართველურსა და რიგ მთის კავკასიურ ენებში არ დასტურდება ფარინგალური რიგის მჟღერი ხშული. რაც შეეხება თაბასარანულ ენას, აქ ეს მჟღერი ფარინგალი წარმოდგენილია.

თაბასარანულ ენაში ფარინგალური რიგის თანხმობანთა სისტემა რთულია. ამ სირთულეს ქმნის ფარინგალური რიგის თანხმობანთა ლაბიალიზებული და გემინირებული სახეობები (პალატალიზებული დასტურდება სხვა ენებში).

ფარინგალური რიგის თანხმობანთა ფონეტიკური დახასიათება, მათი კვალიფიკაცია ადგილისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავებულია როგორც მთის კავკასიურ ენებში, ასევე ქართველურში და ეს არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიური შეუსაბამობა. არ არის სადაო მხოლოდ ის, რომ ჳ და ყ თანხმობების წარმოების ადგილი ერთი და იგივეა, მაგრამ წარმოების ადგილის განსაზღვრის დროს აზრთა სხვაობა გვაქვს¹.

გ. ახვლედიანის მიხედვით, ფარინგალურ ხშულებში სპირანტული ელემენტი, სიბილანტ-აფრიკატებისაგან განსხვავებით, 'შეშართვის დროს გამოვლინდება. ამის გამო ეს თანხმობები აფრიკატებად არ არის მიჩნეული, ჳ და ყ სპირანტოიდებია. გ. ახვლედიანმა განსაზღვრა სპირანტოიდში შემავალი ხშულები — უკანაენისმიერი ფშვინვიერი ქ და აბრუპტივი კ. მას არ განუსაზღვრავს სპირანტული ელემენტის რაობა. ფარინგალური ხშულები მან არც აფრიკატებად ჩათვალა და არც შერეული რაგვარობის თანხმობებში შეიტანა. თუმცა არსებითად ამ თანხმობების სპირანტოიდებად || აფრიკატოიდებად მიჩნევა ამას ვარაუდობდა.

სპირანტული კომპონენტი განსაზღვრავს აფრიკატის წარ-

¹ ვკ. ოსიძე, ფარინგალური რიგის თანხმობების შესახებ მთის კავკასიურ ენებსა და ქართველურში. "არნ. ჩიქობავას საკითხავები", XII, 2001, 17-20 აპრილი, მასალები, გვ. 70-73.

მოების ადგილს. მელერობა-სიყრუეს და აბრუპტივობას კი განსაზღვრავს ხშული კომპონენტი. ამისდაკვალად ფარინგალურ თანხმოვნებში შემავალი სპირანტული კომპონენტი, წარმოების ადგილის მიხედვით, ფარინგალური რიგის სპირანტი უნდა იყოს.

ზემოთ ვაჩვენეთ ფარინგალური რიგის ხშულების ცვლა თაბასარანულ ენაში. მთის კავკასიურ ენებსა და ქართველურ ენებში ეს ცვლა საერთო ტენდენციას ამჟღავნებს. ფარინგალური თანხმოვნები ერთნაირ რეფლექსებს იძლევა (ჯ → ხ). ეს პროცესი თაბასარანულის გარდა ახასიათებს მეტ-ნაკლებად ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას. ყ-ს რეფლექსებიც მსგავსია ამ ენებში. თაბასარანულში ჯ → ხ ცვლის სახე სპირანტიზაციაა, განსხვავებით ქართველური ენებისაგან (ჯ → ქ || რ), სადაც დე-ფარინგალიზაცია გვაქვს. პირველ შემთხვევაში იცვლება წარმოების რაგვარობა, მეორეში — წარმოების ადგილი.

თაბასარანულ ენაში თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები არა გვაქვს, როგორც ეს ქართულში მოგვეპოვება. გ. ახვლედიანი ჰარმონიულ კომპლექსთა B სისტემის მეორე კომპონენტებად ფარინგალურ ხშულებს მიიჩნევს ამ კომპონენტთა არაერთგვაროვნობის გამო: ლ, ხ — სპირანტები, ყ — მკვეთრი ხშული. ამ კომპონენტთა არაერთგვაროვნობის გამო თ. გამყრელიძემ ყ ხშული სპირანტად ჩათვალა და აღადგინა ველარული || პოსტველარული რიგის სპირანტთა სამეული ლ, ხ, ყ¹.

B სისტემის ჰარმონიულ კომპლექსში მონაწილე ყ არ შეიძლება იყოს მკვეთრი სპირანტი, ისევე როგორც წ და ჯ არ შეიცავს მკვეთრ სპირანტს. ყველა შემთხვევაში სპირანტული კომპონენტი ყრუ (არააბრუპტივი) სპირანტია, გამკვეთრებული მკვეთრთან, კომპლექსის პირველ კომპონენტთან მეზობლობაში. მელერობა-სიყრუეს და აბრუპტივობას აფრიკატებში განსაზღვრავს ხშული კომპონენტი, — აღნიშნავს ეკ. ოსიძე²

¹ თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა განდასება. კრ. „ჩვეული ქართველოლოგიური შრომები“. თბილისი, 2000, გვ. 251.

² ეკ. ოსიძე, იქვე, გვ. 70-73.

ყ-ს სპირანტად მიჩნევა მთის კავკასიურ ენებში, ისევე როგორც ქართველურ ენებში, უმართებულოა. ყ-ს სპირანტულობას ეჭვის ქვეშ აყენებს მისი აბრუბტივობაც (ეს სადავო არ არის) და კიდევ, იბერიულ-კავკასიურ ენებში ფარინგალური რიგის სპირანტთა სირთულის მიუხედავად, არა გვაქვს მკვეთრი ფარინგალური სპირანტი, ასევეა თაბასარანულში. ფარინგალური რიგის სპირანტთაგან აქ წარმოდგენილია მხოლოდ ორი: შ და ჰ. არც ერთ ენაში ჳ და ყ სპირანტებად არ მიაჩნიათ. ფარინგალური რიგის ხშულების ცვლა ერთნაირ ტენდენციას ამჟღავნებს დაღესტნურ ენებში. ამ ცვალებადობის მიუხედავად, თაბასარანული ენა თავისებურებას ავლენს და ინარჩუნებს მკლერ ფარინგალს დანარჩენი ენებისაგან განსხვავებით. საკითხი საგანგებო კვლევას მოითხოვს.

დ) დენტოლაბიალიზაცია. თაბასარანული ენის თანხმოვანთა სისტემისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები, ისევე როგორც ხუნძურ-ანდიურ ენათათვის ლატერალების არსებობა გახლავთ თავისებურება.

ბ. უსლარი თაბასარანული ენის თანხმოვანთა განხილვას იწყებს დენტოლაბიალიზებული თანხმოვნებით, აღნიშნავს ამ თანხმოვანთა მსგავსებას აფხაზურ დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებთან და მართებულად მიუთითებს, რომ თაბასარანული და აფხაზური დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები არ არის ერთი და იგივე. ავტორი წერს: "Прежде всего обращает на себя внимание странное обстоятельство; Абхазский язык изобилует согласными, к которым прибавляется весьма беглый звук, как бы английское w, но весьма ослабленный. В исследованных до сих пор дагестанских языках подобных звуков не встречалось. Абхазцы и табасаранцы живут на двух противоположных оконечностях Кавказа. Едва ли даже знают о существовании друг друга, языки их почти не имеют ничего общего, а между тем, в табасаранском обнаруживаются в большом числе согласные, подобные вышесказанным абхазским. Мы вовсе не говорим о тождественности тех и

других, но характер их общий”¹.

აფხაზურ ენაში დენტოლაბიალიზებულ ბგერათა წარმო-
თქმისას აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვედა ბაგის შიდა ნაწი-
ლი, ზედა ბაგე ცოტათი ზემოთაა აწეული².

არც ერთი და არც მეორე არ არის დამახასიათებელი
თაბასარანული დენტოლაბიალიზებული ბგერებისათვის. გარდა
ამისა, აფხაზურისთვის დამახასიათებელია შიშინათა და სისინათა
რიგი. თაბასარანულში კი მხოლოდ შიშინათა რიგი გვაქვს დენ-
ტოლაბიალიზებული³

ა. დირი დენტოლაბიალიზებულ ბგერებს „ყველაზე რთულ
ბგერებად“ მიიჩნევს თაბასარანული ენისათვის⁴. ა. დირმა ვერ
შენიშნა ზოგიერთი დენტოლაბიალიზებული ბგერა. ნ. ტრუბეც-
კომ დააზუსტა და შეიტანა ტაბულაში ა. დირის მიერ შეუმ-
ჩნეველი ფონემები⁵

თაბასარანულ ენაში დენტოლაბიალიზებული ბგერების
მხოლოდ შიშინათა რიგი გვაქვს. აფრიკატები ქმნიან ოთხეულე-
რიგ სისტემას: ჭ°, ჩ°, ჩხ°, ჭჷ°, სპირანტები კი — სამეულებრივ
სისტემას: ჭ°, შ°, შხ. თქმებში, სადაც ერთმანეთს არ უპირის-
პირდება გემინირებული და სადა სპირანტები, არ შეუპირისპირ-
დება შ° და შხ ფონემები. ადულური ენის ორი აულის — ბურშა-
გისა და არსუგის — მეტყველებაში წარმოდგენილია ანალოგიური
დენტოლაბიალიზებული ბგერები. ეს ორი აული თაბასარანის აუ-
ლებს ემეზობლება⁶.

დენტოლაბიალიზებული ბგერები ქმნიან ბაგისა და წინაე-
ნისმიერი არტი-კულაციის სპეციფიკურ კომბინაციას. ქვედა ბა-

¹ П. К. Услар. Табасаранский язык, §9, გვ. 59.

² ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაბანთური დიალექტი, თბ., 1944.

³ А. А. Магометов. დასახ. ნაშრ., გვ. 54 (სქ.).

⁴ А. Дирр. Грамматический очерк табасаранского языка, გვ. 3.

⁵ N. Trubetzkoy. Die konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ. 28.

⁶ А. А. Магометов. დასახ. ნაშრ., გვ. 54-55.

გე დაჭიმულია და ქვედა კბილების განაპირა მხარეებისაკენაა გადახრილი. ზედა ბაგე პასიურია. ენის წინა ნაწილი იღებს ღარისებურ ფორმას. მისი მდგომარეობა თაბასარანული ენის დიალექტებში სხვადასხვაა — მეტ-ნაკლებად წინა და მეტ-ნაკლებად უკანა. პირველ შემთხვევაში დენტოლაბიალიზებულ ფონემათა უფრო სისინა ვარიანტები იწარმოება ტივაქის თქმაში, მეორე შემთხვევაში — უფრო შიშინა ვარიანტები კანდიქისა და ხივის თქმებში.

დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები თაბასარანულში, ასევე ლეზგიურში, შეიძლება შეგვხვდეს ლაბიალური ხმოვნის წინა პოზიციაშიც. ლაბიალური თანხმოვნები კი არ გვხვდება ლაბიალური ხმოვნის წინ (ნ. ტრუბეცკო).

დენტოლაბიალიზებული ფონემები გვხვდება სახელის ფუძეში, იშვიათად ზმნის ძირშიც. მათ მონათესავე ენებში ლაბიალიზებული ბგერები შეესაბამება:

ჩჷრ (თაბ.)	თჷარ (ლეზგ.) „სახელი“
მინ (თაბ.)	ითაჷ (აღ.) „თაფლი“
რუჷ (თაბ.)	რუჷ (აღ.) „კუდი“
ჯურხუზ (თაბ.)	ჯირხჷას (აღ.) „დავარცხნა“
ჭურყუზ (თაბ.)	ჭირყჷას (აღ.) „ღექვა“
ულდუჭუზ (თაბ.)	ალაძჷუას (აღ.) „ღაშევა“

ერთდროულად სახელის ფუძეში ლაბიალიზებული და დენტოლაბიალიზებული ფონემები დაუშვებელია (ზმნურ ძირში, როგორც აღვნიშნეთ, ლაბიალიზებული თანხმოვნები არაა წარმოდგენილი).

თაბასარანული ენის ზმნურ ძირში წარმოდგენილ დენტოლაბიალიზებულ შიშინა აფრიკატებს აღუღურ ენაში დელაბიალიზაცია მოუღით. დელაბიალიზაცია გავლენას ახდენს მომდევნო უკანაენისმიერ ან ფარინგალურ თანხმოვანზე და იგი ხდება ლაბიალიზებული. თაბასარანული დენტოლაბიალიზებულ-ფონემიანი ძირი უფრო ძველია, აღუღური დელაბიალიზებული კი — გვიან-

დელი, რომლის გვერდითაც ხდება მომდევნო ფარინგალის ან უკანაენისმიერის ლაბიალიზაცია ფონოტაქტიკით განპირობებული.

დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები ფუძესა და ძირში გვხვდება ყველა პოზიციაში ნებისმიერ ხმოვანთან, განსხვავებით ლაბიალიზებული თანხმოვნებისა, უ ხმოვანთანაც. დენტოლაბიალიზებული იდენტური ფონემები შესაძლებელია ფუძეში, განსხვავებით გემინატებისაგან:

შ⁰უ⁰ „ახალდაქორწინებული“, შდრ. სუს (აღ.)

ჩ⁰უ⁰ „უკანალი“

შ⁰უთ⁰უ⁰ „ფხვიერი საგნის საზომი“, შდრ. სუუს (აღ.)

თავი II
ფონემათა სინტაგმატიკის თავისებურებანი
თაბასარანულ ენაში

§ 1. თაბასარანული ენის ხმოვანთა სინტაგმატური
ანალიზი

თაბასარანულ ენაში გვაქვს ხმოვნები: **ო, ე, ა, უ, უ** და ფარინგალიზებული **ჲ, ჳ**. თაბასარანულს, ისევე როგორც დალესტნის რიგ ენებს, არ მოეპოვება ფონემა **ო**. ნასესხებ სიტყვებში იგი იცვლება **უ-თი**¹.

თეორიულად მოსალოდნელი ხმოვანთა კომპლექსებია:

იე	ეი	აი	ჳი	უი	ჲი	ჳი
ია	ეა	აე	ჳე	უე	ჲე	ჳე
იჳ	ეჳ	აჳ	ჳა	უა	ჲა	ჳა
იუ	ეუ	აუ	ჳუ	უჳ	ჲჳ	ჳჳ
იჲ	ეჲ	აჲ	ჳჲ	უჲ	ჲჲ	ჳჲ
იჳ	ეჳ	აჳ	ჳჳ	უჳ	ჲჳ	ჳჳ
იი	ეე	აა	ჳჲ	უუ	ჲჲ	ჳჳ

ამათგან, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი არ რეალიზდება ენაში.

თაბასარანული ენის ფონემური სტრუქტურა ხასიათდება მკაცრი ფონოტაქტიკური შეზღუდვით — ენა ვერ იგუებს ხმოვანთა თავმოყრას. აქ არა გვაქვს ხმოვანთა კომპლექსები არც სიტყვის თავიდან დასაწყისად, არც შუაში და არც ბოლოში. გამოირკვა, რომ თეორიულად დასაშვები კომბინაციებიდან არც ერთი კომბინაცია არ დასტურდება ენაში არც ძირეულ ლექსიკაში და არც ნასესხებ სიტყვებში:

წიკაბ (ხივ. თქმ.), **წიკაჳ** (ხან., ტივ. თქმ.) „ღვეზელი“

¹ А. А. Магомедов, Табасаранский язык, 1965, გვ. 27-28.

გურჯიმ (ხივ. თქმ.), **გურდიმ** (ხან. თქმ.) „თირკმელი“
ღანჯუზ (სამხ. დ.), **ღანჯუნჯუს** (ჩრდ. დ.) „ჩაყრა“ (შორის)
მარჭ (ხივ. თქმ.), **მარზ** (ტივ. თქმ.) „წვიმა“
პუტურღუზ (სამხ. დ.), **პუტურღუნს** (ჩრდ. დ.) „ჩაყლაპვა“
ღუნ (სამხ. დ.), **ღან** (ჩრდ. დ.) „ქვა“
რიღ (სამხ. დ.), **რიფი** (ჩრდ. დ.) „მზე“
თაბუშო (ხივ. თქმ.), **თაშუშო** (ხან., ტივ. თქმ.) „ჩაქუჩი“
ხლინც (ხივ. თქმ.); **ხილიმცო** (ტივ. თქმ.) „ფრთა“
უშო (ხივ. თქმ.), **უშო** (ტივ. თქმ.) „ბირი“
პურყუზ (სამხ. დ.), **პურყუს** (ჩრდ. დ.) „მიღწევა“, „დაწევა“
ქურუჭუს (ჩრდ. დ.) „გასვლა“
ალდატუზ (სამხ. დ.) „მოხერხვა“
თათალუზ „წართმევა“
თუქულუზ „ჩამორთმევა“

ბ. უსლარმა პირველმა შენიშნა, რომ თაბასარანული ენა გაურბის ხმოვანთა თავმოყრას (ჰიატუსი): "Вообще табасаранский язык избегает соприкосновения гласных и для отделения их служит ж"¹. თაბასარანული ენის ფონემურ სისტემაში ხმოვანთა კომპლექსების უქონლობა სინტაგმატიკის უძველეს მოდელს უნდა წარმოგვიდგენდეს. ფონოტაქტიკური შეზღუდვებით არსებითად წინასწარ განსაზღვრულია ხმოვანთა ცვლილებების ტენდენცია მორფემათა საზღვარზე: თუ ფონემური სტრუქტურით დაუშვებელია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა, მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ, ე. ი. ხმოვანთა კომპლექსის სუპერაცია გამოხატული იქნება ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის მოშლით.

თაბასარანული ენა ხმოვანთა კომპლექსებს თავიდან იცილებს სხვადასხვა გზით:

¹ П. К. Услар, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

1. ნახევარხმოვნის ჩასმით, რომელსაც ხშირად თან ახლავს ასიმილაცია. ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების მრავლობითის წარმოებისას ორი ხმოვნის თავმოყრის შემთხვევაში **ჟ** ნახევარხმოვანი ჩაერთვის, რომლის გავლენითაც წინამავალი **ა** ხმოვანი იცვლება **ი**-თი, $ე > ი$, ხოლო სამხრულ დიალექტში მომდევნო ხმოვანიც ანუ მრავლობითი რიცხვის ნიშნისეული **ა** $> ი$.

ჩრდ. დ.: ჩუხთა თავსაბურავი“,	ჩუხთი- ჟ -არ (მრ. რ.)
ადახლუ „დასაქორწინებელი“,	ადახლუ- ჟ -არ (მრ. რ.)
წა „ცეცხლი“,	წი- ჟ -არ (მრ. რ.)
ჩი „ძმა“,	ჩი- ჟ -არ (მრ. რ.)
ჟარჟი „ქინქარი“,	ჟარჟი- ჟ -არ (მრ. რ.)
სამხ. დ., ხევ. თქმ.: ედმე „ადამიანი“,	ედმი- ჟ -ირ (მრ. რ.)
ჰაჭთა „კვირა“,	ჰაჭთი- ჟ -ირ (მრ. რ.)
ჭახრა „ჯადოქარი“,	ჭახრი- ჟ -ირ (მრ. რ.)
ქილისა „ეკლესია“,	ქილისი- ჟ -ირ (მრ. რ.)
ბუხარი „ბუხარი“,	ბუხარი- ჟ -ირ (მრ. რ.)

2. დიფთონგიზაციით — ხმოვანფუძიანი სახელის ფუძეში მრავლობითის წარმოებისას შეიძლება ფუძისეული ხმოვანი დაიკარგოს და მივიღოთ დიფთონგი სიტყვის შიგნით: სამხ. დ., ხევ. თქმ.: დახა „მამა“, დახ-**ჟ**-ირ (მრ. რ.), აბა „ბაბუა“, აბ-**ჟ**-ირ (მრ. რ.), ხალუ „ბიძა“, ხალ-**ჟ**-ირ (მრ. რ.)¹...

მოცემული სახის დიფთონგიზაცია განპირობებულია ენის ფონემური სტრუქტურით. თაბასარანულში სხვა გზით მიღებული დიფთონგებიცა გვაქვს. ეს ცალკე საკითხია.

3. რედუქციით — ტივაქის თქმა, სხვა თქმებისაგან განსხვავებით, ხმოვანფუძიან არსებით სახელთა მრავლობითის წარმოებისას არ იყენებს ნახევარხმოვანს გამყარად, ახდენს სახელის ფუძის რედუქციას და თავიდან იცილებს ორი ხმოვნის — ფუძისეული და მორფემისეული — თავმოყრას. მაგ.:

¹ А. А. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

სუსუ „პატარძალი“,	სუს-არ (მრ. რ.)
ღურღუ „მუშტი“,	ღურღ-არ (მრ. რ.)
წუკუ „გორგალი“,	წუკ-არ (მრ. რ.)
ბისიმპი „მერცხალი“,	ბისიმპ-არ (მრ. რ.) ¹

ამგვარად, ტივაქის თქმისთვის დამახასიათებელი რედუქცია ფონოტაქტიკური შეზღუდვითაა განპირობებული.

4. შე რ წყ მ ის გ ზ ი თ , რომლის დროსაც პოზიციურ გრძელ ხმოვანს ვიღებთ. ინტერვოკალურ პოზიციაში ტივაქის თქმაში კლასისნიშნისეული თანხმოვნის დაკარგვით ორი მსგავსი ხმოვანი ერთმანეთს შეერწყმის და ვიღებთ გრძელ ხმოვანს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ფონემური ღირებულება არ გააჩნია; იგი მხოლოდ პოზიციურადაა მიღებული. ენაში რომ შესაძლებელი ყოფილიყო ორი ხმოვნის თავმოყრა, მაშინ შეიძლებოდა ეს პროცესი შეჩერებულიყო და არ მიგველო გრძელი ხმოვანი (შდრ., მაგ. ქართული დაავალა, შევეედრა და არა დავალა, შევეედრა...).

ტივაქ. თქმ.: ჰუჟჟ⁰უს (< ჰუ-უჟჟ⁰უს < ჰუ-რუ-ჟჟ⁰-უს) „განშორება“,

„გასვლა“, შდრ. ხანაგ. თქმ.: ჰურუჟჟ⁰უს

ხივ. თქმ.: ჰუღუჟ⁰უს;

ტივაქ. თქმ.: კაჟჟუს (< კა-აჟჟუს < კარაჟჟუს) „გადახდა“

შდრ. ხანაგ. თქმ.: კა-რაჟჟ⁰უს.

ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ვითარება შემონახულია სამხრული დიალექტის ხივის თქმაში, გარდამავალი საფეხური — ჩრდილო დიალექტის ხანაგის თქმაში (სადაც რ < ღ), ხოლო ტივაქის თქმაში ცვალებადობის შემდეგი საფეხურია წარმოდგენილი, რ-ს დაკარგვა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დასუსტდება და გადავა ღ-ში². რადგანაც ტივაქის თქმა სახელთა მრავლობითის წარმოებისას მიმართავს რედუქციას და

¹ A. Магомтов, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

² A. A. Магомтов, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

არა ხმოვანთგამყარ **ჟ**-ს, ამიტომ მისთვის მიუღებელია ინტერვო-კალური **ჟ**. ის ყოველთვის გაურბის ამგვარ შეხვედრას. მოცემული შემთხვევაც ამ თქმაში არსებული სხვა თქმათაგან განსხვავებული ფონოტაქტიკური შეზღუდვით აიხსნება.

ორი განსხვავებული ხმოვნის შერწყმას ახდენს აგრეთვე ტივაქის თქმა ზმნის საუღლებელ ფორმაზე მეშველი ზმნის დართვისას.

ტივაქ. თქმ.; აწმყო კონკრ.: **ბილკუნდნა** (< **ბილკუნდი-აზა**) „**ვწერ**“,
იპურდნა (< **იპურდი-აზა**) „**ვაკეთებ**“

ტივაქის თქმა, როგორც ვხედავთ, სხვა თავისებურებებთან ერთად ხმოვანთა სინტაგმატიკის თვალსაზრისითაც განსაკუთრებულ ვითარებას გვიჩვენებს..

ხმოვნების პოზიციურ კომპლექსთა დაშლა სხვადასხვა გზით ენის ფონემური სტრუქტურის ზეწოლის შედეგია. ენაში მორფოფონემატური ანუ მორფონოლოგიური ცვლილებები ხდება სწორედ ხმოვანთა ფონემატური მოდელის კანონზომიერებით. იმის გამო, რომ თაბასარანულ ენაში ორი ხმოვანი ერთად არაბუნებრივია სიტყვის თავკიდურში, შუაში და ბოლოში, ხმოვანთა განაწილების ძირითადი მოდელი ამ პოზიციებში ამგვარია: **ხ მ ო ვ ა ნ ი კ რ ძ ა ლ ე ბ ა ხ მ ო ვ ნ ი ს გ ვ ე რ დ ი თ**; და - **შ ვ ე ბ უ ლ ი ა ხ მ ო ვ ნ ი ს რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა წ ი ნ და მ ო მ დ ე ვ ნ ო დ**. მორფოფონემატური ცვლილებები ამ მოდელის ფონოტაქტიკური შეზღუდვებითაა განპირობებული.

თაბასარანული ენის ფონემური სტრუქტურა განსაზღვრავს მორფოფონემური ცვლილების გზას (სწრაფვას ერთხმოვნობისაკენ), რომელიც, სავარაუდებელია, საერთო ენობრივი ტენდენცია იყოს იბერიულ-კავკასიური ენებისათვის და არა მხოლოდ გავლენა რომელიმე სხვა ენისა, მაგალითად, აზერბაიჯანულისა. ამ ენის გავლენამ, შესაძლებელია, შეცვალოს — დააჩქაროს ან შეანელოს ესა თუ ის ენობრივი მოვლენა, განპირობებული ენის შინაგანი ბუნებით.

დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი თაბასარანული ენის ფონემური

სტრუქტურა განაპირობებს, რომ ენაში დიფთონგები არის კლასის ნიშნის — ნახევარხმოვნისა (ჟ) და ხმოვნის შეხვედრის შედეგი, ან ფონეტიკური ცვლილებების შედეგი.

ჟიუჟ „ცემა“ ზმნის ტიპის ზმნებში წარმოდგენილია დიფთონგი, რომელიც წარმოიქმნა გაქვეავებული კლასის ნიშნისა და მომდევნო ხმოვნის შეხვედრით. დაღმავალი დიფთონგი **ჟ** გვაქვს, მაგალითად, ერგატივის ფორმაში (ტივაქის თქმაში). იგი წარმოიშობა **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელზე **ჟ-ს** დართვით (**-ჟ < -ჟი < -რი**).

ბინა „საფუძველი“, შდრ. ხანაგ. თქმ. **ბინა**, ხივ. თქმ. **ბინა**

ერგ.: **ბინაჟ** " **ბინა-რი**, " **ბინა-ჟი**¹

დიფთონგიზაცია ენაში შეიძლება უკავშირდებოდეს ხმოვანთა კომპლექსის მოშლის ტენდენციას. იგი განაპირობებული იქნება ენის ფონემატური სტრუქტურით, ამგვარადაა, მაგალითად, ქართულში². ამ გზით მიღებული დიფთონგი შესაძლებელია გვექნოდეს თაბასარანულშიც; იგი მიიღება ხმოვანფუძიანი სახელის მრავლობითის წარმოებისას ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის შედეგად.

თაბასარანულში ანლაუტში აღმავალი დიფთონგები გვაქვს სახელებში, სადაც **ჟ** — ისტორიული კლასის ნიშანი ფუძესაა შეხორცებული: **ჟიშ** „ღამე“, **ჟიჭა** „წითელი სპილენძი“, **ჟუკ** „გული“, **ჟაქ** (ჟაქა) „ხორცი“, **ჟის** „წელი“; აგრეთვე ზმნებში: **ჟილქნუ** „ამოთხარა“, **ჟაუჭუ** „ჭენება“, „ცხენით გადახტომა“; **ჟაუცუ** „გაზომვა“; **ჟაუჭუ** „თხრა“; **ჟაუგ'უ** „ღარტყმა“; **ჟითუ** „გადახვევა“; **ჟიუ** „ღარტყმა“, „ცემა“; **ჟიხუ** „დახოცვა“ (მრავლისა); **ჟეუცუ** „მოხალვა“, „მოშუშვა“; **ჟერხუ** „გაგონება“; **ჟერჩუ** „შეფრქვევა“, „შეყრა“; **ჟიჭყუს** „განხობა“; **ჟიტუ** „შეკავშირება“, „გადახვევა“.

ანლაუტში დიფთონგთა მოსალოდნელი ვარიანტებიდან

¹ A. A. Магомстов, დასახელებული ნაშრ., გვ. 44.

² თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, იკვ, XIX, თბ., 1974

ყველა გვაქვს. უფრო ხშირია **დი-**, **მა-** დიფთონგები.

რაც შეეხება აუსლაუტის დაღმავალ დიფთონგებს, მათში იგივე **ი** ელემენტი მონაწილეობს: **შაი** (ტივაქ. თქმ.) „წყალი“ (შდრ. **შიდ** ხივ. თქმ., **შარ** ხანაგ. თქმ.); ხანაგ. თქმ.: **გუგაი** „მამა“, **დუდაი** „დედა“, **აჟაი** „ბაბუა“, **ხაღაი** „ბიცოლა“; ტივაქ. თქმ.: **დეი** „კვიცი“ (შდრ. ხივ. თქმ. **თაი**).

§ 2. ხმოვანთა ჰარმონია

ხმოვანთა ჰარმონია ლეზგიურ ენებში აისახა შესაბამის სამეცნიერო შრომებში. პეტრე უსლარი ეხება ხმოვანთა ჰარმონიას მის მიერ გამოკვლეულ ლეზგიურ ენათაგან ორსავე ენაში — ლეზგიურსა და თაბასარანულში. იგი ემზრობა მოსაზრებას, რომ ხმოვანთა ჰარმონია (კერძოდ, ეს აღინიშნა ლეზგიური ენისათვის) არის აზერბაიჯანულის გავლენის შედეგი. ორი მეტ-ნაკლებად სარწმუნო მოსაზრებიდან ხმოვანთა ჰარმონიის მოვლენის შესახებ პეტრე უსლარი იხრება მოსაზრებისაკენ, რომ ეს არის თურქულ-აზერბაიჯანულის გავლენა, ვიდრე ენის ბუნებრივი თვისება¹

ხმოვანთა ჰარმონიას უდიურში, რუთულურში, წახურულსა და აგრეთვე თაბასარანულში ეხებოდა ადოლფ დირი. იგი აღნიშნავდა აზერბაიჯანული ენის გავლენას ხმოვანთა ჰარმონიის მოვლენაზე² უდიურ ენაში აზერბაიჯანული ენის გავლენის შესახებ ხმოვანთა ჰარმონიაზე მიუთითებდა ვ. ფანჩვიძე³ ქართული ენის ინგილოურ დიალექტში, რომელიც უშუალო კონტაქტშია აზერბაიჯანულ ენასთან, გრ. იმნაიშვილის მოსაზრებით, ჩნდება

¹ П. Услар, Кюринский язык, Тифлис, 1896, გვ. 11.

² А. Дирр, Грамматика удинского языка, СМОМПК, XXXIII, Тифлис, 1904, გვ. 8; მისივე Грамматический очерк табасаранского языка, СМОМПК, XXXV, Тифлис, 1905, გვ. 11; მისივე Рутульский язык, СМОМПК, XLII, Тифлис, 1912, გვ. 2; მისივე Цахурский язык, Тифлис, 1913, გვ. 2.

³ В. Папчвидзе, К вопросу о взаимоотношении диалектов удинского языка. Сообщения Грузинского филиала АН СССР, 1940, т.1, №9.

ტენდენცია ხმოვანთა ჰარმონიისა ამ ენის გავლენით¹.

პროგრესულ ასიმილაციას თაბასარანულ ენაში იწვევს ხმოვნები ე და ჟ. ჟ ხმოვნის გავლენით ა > ე:

ჟულ „პური“, მრ. რ.	ჟულ-ერ (< ჟულ-არ)
აჟრთ „ნაბადი“	აჟრთ-ერ
ჯჟუ „ძირი“	ჯჟუ-ერ
დჟტჟ „ისიერი“	დჟტ-ერ
შდრ. ულ „თვალი“	ულ-არ
ულდ „ფანჯარა“	ულდ-არ
ტუმუტ „ყურძენი“ „	ტუმტ-არ

ე ხმოვნის გავლენით ა > ე:

კემ „პარაქი“ მრ. რ.	კემ-ერ (< კემ-არ)
შეც „დათვი“	შეც -ერ
კემელ „ქამარი“	კემლ-ერ

ასიმილაციის ამ შემთხვევაზე საუბრობს ალ. მაჰომეტოვი² და აღნიშნავს, რომ ე ხმოვნის გავლენით უ < ჟ-ში გადასვლა მკვეთრადაა გამოხატული თაბასარანული ენის ტივაქის თქმაში:

ტივაქ. თქმ.: ელტეჟჟუს „გაწმენდა“, შდრ. ხივ. თქმ.

ილტიჟუს;

ფჟჟუ, შდრ. ხივ. თქმ. ფჟიბ „მსუბუქი“.

ტივაქის თქმაში ზმნის სხვადასხვა ფორმებში გვხვდება ასიმილაციის შემთხვევები:

იჩუ დეც ნჟ-ჩე „ჩვენ დავსხედით“ (დეც ჟს „დაჯდომა“).

ფუძისეული ე ხმოვნის გავლენით უ > ჟ-ში, შემდეგ კი პირის ნიშნისეული ბოლო ხმოვანი ა > ე:

იჩუ დეც ნჟზე (< დეც ნჟ-აზა) „მე ვზივარ“

იჩუ ჰელგუნდჟე (< ჰელგუნდაზა) „მე გავრბივარ“

სამხრულ დიალექტში ლეზგიური ენის მსგავსად ხდება ასიმილაცია (სამხრული დიალექტი ლეზგიურ ენას ემეზობლება).

¹ გრ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში, იკვ V, 1953, თბილისი, გვ. 179.

² A. A. Магомедов, Табасаранский язык, Тб., 1965, გვ. 43.

ე, უ ხმოვნების გავლენით ა > ე:


ფექ „ჩვარი“, მრ. რ. ფექ-ერ (< ფექ-არ)

გ'ულ „შემოდგომა“ გ'ულ-ერ (< გ'ულ-არ)

მღრ. გ'უმ „კვამლი“

„ გ'უმ-არ

ასიმილაციის ეს შემთხვევები თაბასარანულში სინჰარმონიზმითაა გამოწვეული. იგი სისტემურ ხასიათს ატარებს თაბასარანული ენის ჩრდილო დიალექტის ტივაქის თქმაში. ეს თქმა ყველაზე მეტად განიცდის აზერბაიჯანული ენის გავლენას. ჰარმონიის წესებს აქ შემდეგი სახე აქვს:



ე. ი. უ გადადის უ-ში, ხოლო ა გადადის ე-ში უ-ს ან ე-ს შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ უ და ა ი-ს შემდეგ შენარჩუნებულია. ე-ს არსებობა ხმოვნებს შორის ჰარმონიის პროცესს აფერხებს: რუმ „ნაწლავი“ — რუმარ „ნაწლავები“, დემ „კვიცი“ — დემარ „კვიციები“ შესაძლებელია, აქ არსებული ჰარმონიული წესები უფრო სრული სისტემის ნაშთი იყოს, განპირობებული ო ფონემის არქონით.

სინჰარმონიზმს ადგილი აქვს თაბასარანული ენის ზმნურ ფორმებში ლოკალურ პრევერბთა დართვისას. პრევერბს, რომელიც წარმომავლობით ლოკატიური ბრუნვის ნიშანია, უმეტეს შემთხვევაში მიერთვის ხმოვანი, რომელიც იმეორებს ზმნის ძირისეულ ხმოვანს:

ალ-ატ-უმ „ამოკვეთა“ (რადაციისა შიგნიდან გარეთ), ატ- ძირი

ალ-აწ-უმ „გავსება“ აწ- ძირი

ალ-არ-ჩ-უმ „მოხვევა“, „მიბმა“, რ — კლასის ნიშანი, არ — ძირი

იდ-ი-რ-ლ-უმ „ამოწმენდა“, რ — კლასის ნიშანი, ილ — ძირი

ვა-რ-ალ-უმ „დაგება, დაფენა“, რ — კლასის ნიშანი, აღ — ძირი

ქი-ტი-რ-შ-წ „შეზელა“, რ — კლასის ნიშანი, ტიშ — ძირი

ჰა-დ-ან-წ „აცლა წინიდან“, დ — კლასის ნიშანი, ან — ძირი

პრევერბებში ზმნის ძირისეული ხმოვნის იდენტური ხმოვნის გაჩენა, მართალია, სინჰარმონიზმით აიხსნება, მაგრამ იგი ამასთანავე განპირობებულია ფონოტაქტიკური შეზღუდვით. თაბასარანული ენა გაურბის თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსს. ძირეული თანხმოვანთკომპლექსი ანლაუტში არცა გვაქვს. მეორეული თანხმოვანთკომპლექსი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში გვხვდება. შესაძლებელია, პრევერბისეული ხმოვანი რედუცირდეს, თუ მიიღება დასაშვები თანხმოვანთკომპლექსი; მაგ.:

ქთანუზ < (ქდანუზ < ქადანუზ) „თავთავიდან მარცვლის ჩამობერტყვა“;

ვთანუზ < (ვდანუზ < ვადანუზ) „ფხვიერი საგნის უკანა მხრიდან აღება“;

ვთაპუზ < (ვდაპუზ < ვადაპუზ) „უკან დაბრუნება“;

ქთატუზ < (ქდატუზ < ქადატუზ) „მოქრა“.

ორი ფშვინვიერისაგან შემდგარი თანხმოვანთკომპლექსი თავკიდურ პოზიციაში დასაშვებია.

სინჰარმონიზმი გვხვდება თაბასარანულ ენაში აგრეთვე ზმნის აკრძალვით ფორმებში; აკრძალვის პრეფიქსის თანხმოვანი უცვლელია, იცვლება ზმნის ძირისეული ხმოვნის შესაბამისად აკრძალვის პრეფიქსის ხმოვანი: -უჭ⁰უზ „შევლა“, მუ-უჭ⁰ან „არ შეხვიდე!“ (უჭ⁰ — ძირი); ვი-მი-ლტან! „არ დაუკავშირდე!“ პრევერბები და აკრძალვითი პრეფიქსები, რომლებიც ერთდროულად იდენტური ხმოვნებითაა წარმოდგენილი, თავისუფლად უცვლიან ერთმანეთს ადგილს თაბასარანული ენის ჩრდილო დიალექტში, ამგვარად, შესაძლებელია ვი-მი-ლტან! || მი-ვი-ლტან! „არ დაუკავშირდე!“

ზმნის უარყოფით ფორმათა მაწარმოებელი დარ- ფორმანტის ხმოვანი განიცდის ასიმილაციას, ზმნის ფუძისეული ხმოვნის იდენტური ხდება. ასიმილაციის ეს შემთხვევაც სინჰარმონიზ-

მით აიხსნება:

ბალგუზ „მორთვა“ — **დარ-ბალგუზ** „არ მორთვა“

ბისუზ „დაქერა“ — **დირ-ბისუზ** „არ დაქერა“

დურგუზ „დაკარგვა“ — **დურ-დურგუზ** „არ დაკარგვა“

ერსუზ „გაგონება“ — **დერ-ერსუზ** „არ გაგონება“

თუ უარყოფითობის მაწარმოებელი ზმნაში ინფიქსადაა გამოყენებული, მაშინ ეს ინფიქსისეული ხმოვანი ასიმილირდება პირის ნიშანთან, რომელიც მოსდევს უარყოფითობის ფორმანტს:

იპურაზა „ვკამ“ — **იპურა-დარ-ზა** „არ ვკამ“

უჭ⁰რაზა „შევდივარ“ — **უჭ⁰რა-დარ-ზა** „არ შევდივარ“

სინჰარმონიზმს ემორჩილება აგრეთვე რევერსიული ნაწილაკები, რომლებიც ზმნას საპირისპირო მოქმედების მნიშვნელობას ანიჭებს: **უჭ⁰უზ** „შესვლა“ — **უდ-უჭ⁰უზ** „გამოსვლა“ შესაძლებელია, რევერსიული ნაწილაკი გაორმაგდეს. პირველი ამ გაორმაგებულთაგან ზმნას ანიჭებს საპირისპირო მოქმედების მნიშვნელობას, ხოლო მეორე ელემენტი — უარყოფით მნიშვნელობას. ამგვარად, იქნება:

უჭ⁰უზ „შესვლა“ — **უდ-უჭ⁰უზ** „გამოსვლა“ — **უდ-უდ-უჭ⁰უზ**
„არგამოსვლა“;

ილითუზ „დასმა რაღაცაზე“ — **ილ-დი-თუზ** „მოხსნა რაღაცედან“ — **ილ-დი-დი-თუზ** „არმოხსნა“;

ალ-და-ტუზ „მოკრა“, „მოხერხვა“ — **ალ-და-და-ტუზ** „არ-მოხერხვა“ ე. ი. თავის მინებება;

ილ-ტი-კუზ „ტრიალი“, „მობრუნება“ — **ილ-ტი-ტი-კუზ** „არტრიალი“, „არ მობრუნება“

როგორც ჩანს, ხმოვანთა ჰარმონია თაბასარანულში ფართოდ გავრცელებული ენობრივი მოვლენაა. საკითხის ღრმად შესწავლამ შესაძლებელია მიგვიყვანოს მის ახლებურ გადაწყვეტამდე. იგი შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ აზერბაიჯანული ენის გავლენით ამ ენაზე და, საერთოდ, ლეზგიურ ენებზე, არამედ განხილულ იქნეს, როგორც უძველესი მოვლენა ენაში, განპირობებული ფონოტაქტიკური შეზღუდვებითაც. სავარაუდოა, რომ თაბასარანულში ხმოვანთა ჰარმონიის უფრო რთული, ძველი მოდე-

ლიც გვექონოდა. ხმოვანთა ჰარმონია ო ფონემის არქონე, ორსა-
ფეხურიანი ვოკალური სისტემის მქონე ენების თვისება უნდა
იყოს ზოგადად.

თაბასარანულში ხმოვანთა ორსაფეხურებრივი სისტემა
გვაქვს. იგი გამოწვეულია ო ფონემის არქონით ენაში. თაბასარა-
ნულ ენას, ისევე როგორც დაღესტნის ზოგიერთ ენას, არ
მოეპოვება ო ხმოვანი. ნასესხებ სიტყვებში იგი იცვლება უ-თი.
პ. უსლარმა აღნიშნა, რომ "о вообще нет в табасаранской азбуке"¹,
ა. ღირი მიუთითებს, რომ "о весьма близко подходит к у,
особенно когда оно не под ударением"².

თაბასარანული ენის მკვლევრებს ო ფონემა არ დაუდას-
ტურებიათ ძირითად ლექსიკურ მასალაში. ძველსა თუ ახალ ნა-
სესხობებში იგი იცვლება უ ხმოვნით.

ხმოვანი ო არა გვაქვს ლაკურსა და დარგულ ენებშიც³.

მერყევი ხასიათისაა ფონემა ო ხუნძურ-ანდიურ ენებში,
თავად ხუნძური ენის დიალექტებსა და თქმებში. აქ ეს ხმოვანი
დღეს ზომიერად ფუნქციონირებს.

ხუნძურისა და ლაკურის ფორმების შეპირისპირებით ა.
აკიევის დასკვნა, რომ ო-სა და უ-ს ურთიერთმიმართება რო-
გორც ხუნძური ენის დიალექტებში, ასევე ლაკურში, მოწმობს,
რომ ამოსავალმა საერთოდაღესტურმა ო ფონემამ ლაკურში
მოგვცა უმეტესწილად რეფლექსი უ, რომელიც დაემთხვა შესა-
დარებელ ენაში ამოსავალ უ-ს⁴.

ზოგიერთ შემთხვევაში მოსალოდნელი უ რეფლექსის ნა-
ცვლად წარმოდგენილია სხვა ხმოვანი. ა. აკიევი იმოწმებს შესა-
ბამის მასალას.

ო ფონემის უქონლობას ლეზგიურ ენებსა და ლაკურ-
დარგულ ენებში აღნიშნავენ ამ ენათა მკვლევრები პ. უსლარი-

¹ П. К. Услар, Табасаранский язык, § 7, გვ.

² А. Дирр, Грамматический очерк табасаранского языка, გვ. 1.

³ А. Ш. Акиев, Сравнительный анализ гласных лакского и даргинского языков.

Махачкала, 1982, გვ. 17-18.

⁴ А. Ш. Акиев, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

დან მოყოლებული დღემდე. ო არ არის ძირეული თაბასარანული ფონემა. ძველ ზეპირ ნასესხობებში იგი რეგულარულად იცვლებოდა უ-თი. წიგნიერი გზით შემოსული ნასესხობები იმავე წესს მიმართავენ.

როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანთა ჰარმონია თაბასარანულში, ისევე როგორც იმ ენებში, სადაც ხმოვანთა ჰარმონია გვაქვს, გამოწვეული უნდა იყოს ო ფონემის უქონლობით, ხმოვანთა ორსაფეხურიანი სისტემით.

§ 3. პროსოდიული ნიშნები

თაბასარანული ენის ტივაქის თქმა დანარჩენი თქმებისაგან გამორჩეულია. სიტყვას ტივაქის თქმაში აქვს რთული პროსოდიული სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს რიტმიკულ, ტონალურ და ტემბრალურ კომპონენტებს.

სიტყვის კულმინაციური მწვერვალის — მახვილის ადგილის განსაზღვრა არ არის რთული, თუმცა სიტყვების რიტმიკული ორგანიზაცია ტივაქის თქმაში შესამჩნევად გამორჩეულია სხვა თქმებისაგან, სადაც მახვილიანი ხმოვნის შემდეგ სიძლიერით ხასიათდება მახვილიანი ხმოვნის წინა ხმოვანი, ხოლო დანარჩენი უმახვილო ხმოვნებიდან უფრო მაგარი აღმოჩნდება სიტყვის საწყისი ხმოვანი. ტივაქის თქმაში კი შეინიშნება რიტმიკის დიპოდიური ორგანიზაცია: უფრო ძლიერია მახვილიანი მარცვლის მეორე მარცვალი, რადგანაც მახვილიანი წინა მარცვალი ჩამორჩება მას ძალის მიხედვით (ამასთან ერთად, საწყისი მარცვალიც ძლიერია). ამგვარი რიტმიკული სქემა ხსნის რედუქციის დადასტურებულ პროცესებს ამ თქმაში.

მახვილის წინა ხმოვანი თაბასარანულ ენაში შეიძლება რედუცირდეს სრულ დაკარგვამდე. ეს იწვევს თანხმოვანთა თავმოყრას. ხმოვანი იკარგება ტივაქის თქმაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკარგვა გამოიწვევს ბუნებრივი თანხმოვანთკომპლექსის წარმოქმნას არათავკიდურ პოზიციაში:

ნომინატივი ერგატივი მრ. რ.

„მკერდი“	მუხპრ	მუხარ	მუხარარ
„სახსარი“	დუჭურ	დუჭურ	დუჭურარ...

ხმოვანი შენარჩუნებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მისი ამოვარდნა გამოიწვევს ტივაქის თქმაში აკრძალული სამთანხმოვნიანი კომპლექსის წარმოქმნას:

ნომინატივი ერგატივი მრ. რ.

„წარბი“	ურჭუმ	ურჭუმში	ურჭუმარ
„ლოყა“	ღარწალ	ღარწული	ღარწულარ

რადგანაც ტივაქის თქმის რიტმიკული თავისებურება იმგვარია, რომ საწყისი მარცვალიც ძლიერია ორმარცვლიანსა და მეტი მარცვლის შემცველ სიტყვებში, ამიტომ ეს თქმა სხვა თქმებისაგან განსხვავებით არ ახდენს მახვილიანი ხმოვნის წინა ხმოვნის რედუქციას და ამ გზით თავიდან იცილებს ანლაუტში თანხმოვანთკომპლექსის წარმოქმნას.

ტივაქ. თქმ.:	შემჭუ „თხელი“	შდრ. ხივ. თქმ	შშიბ
	ფეჭუ „მსუბუქი“		ფჭიბ
	ჩირუ „მწვანე“		ჩრუბ
	ბისიმჭი „მერცხალი“		ფსინჭ
	ჭურტიმ „ბორკილები“		ჭრჭიმ
	შუტამ „მაშა“		შტამ

ტივაქის თქმაში ხმოვანი შენარჩუნებული იქნება აგრეთვე ბრუნვის ფლექსიის დროს ან სხვა სუფიქსთა დართვისას:

ხივ. თქმ.:	ცალ „ყედელი“	მრ. რ.	ცლ-არ , ერგ. ბრ.	ცლურ
შდრ. ტივაქ. თქმ.:	ცალ		ცალ-არ	ცალი
ხივ. თქმ.:	ჩფიშ „ბეკეკა“		ჩიფშ-არ	ჩფში
შდრ. ტივაქ. თქმ.:	ჩეფიშ		ჩეფშ-ერ	ჩეფში

თაბასარანულ ენაში სრულმხოვნიანობის დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული ლეზგიურ ენასთან ტერიტორიულად ახლოს მყოფ დიალექტსა (სამხრულ დიალექტსა) და თქმებში¹

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 57 — ავტორი სქოლიოში აღნიშნავს, რომ ლეზგიურ ენაში რედუქცია უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი, ვიდრე თაბასარანული ენის სამხრულ დიალექტში:

ტივაქის თქმის სიტყვათა ტონალურ სტრუქტურაში გამოიყოფა 4 ტონალური ტიპი მახვილიან ხმოვანზე ტონალური მოძრაობის ხასიათის მიხედვით: I. აღმავალი ტონი, II. დამავალი ტონი, III. მაღალი ტონი, IV. დაბალი ტონი. მაგ.:

I	II
ულ „თვალი“	იუ „ყური“
აჟკუ „გული“	ქელლქ „თავი“
ჟნტუ „შუბლი“	მილძი „ენა“
	ლიხჟს „მუშაობა“

III	IV
ფუნ „მუცელი“	მაშ „სახე“
გარდან „კისერი“	შაჟ „წყალი“
დათა „მამალი“	მარჩა „ცხვარი“
ჰნრგჟს „გაქცევა“	ჟარჟა „ჭინჭარი“

თანაბარი ტონების მქონე სიტყვებში უმახვილო მარცვლები იმეორებენ მახვილიანი ხმოვნის ტონს. აღმავალი ტონის სიტყვებში მახვილიანის წინა მარცვლის ტონი თანაბარი მაღალი ტონია, ხოლო წინა მარცვლის დამავალი ტონი — თანაბარი დაბალი ტონი. მახვილიანი მარცვლის ტონის დაწვეას წინ უსწრებს მახვილიანის წინა მარცვლის ტონის აწვევა, რომელიც შესამჩნევია სმენისათვის.

ტივაქის თქმაში ფარინგალიზაციაც პროსოდული ნიშნის მატარებელია. იგი მთელ სიტყვას ახასიათებს. ხორხსქვედა შევიწროებას თან ახლავს ენის უკანა ნაწილის უკან და ქვევით გადაწვევა, ხოლო წინა ნაწილისა — ზემოთ მაგარი სასისაკენ,

ლუზ. ენ.: čilax „უხელო“ შდრ. ხევ. თქმ. თაბ. ენისა: čilaq
čgul „კვერნა“ curgul

კ. ბოუდა აღნიშნავს, რომ მახვილიანი ხმოვნის წინა ხმოვნის დაკარგვის პროცესი არ წავიდა წინ ისე, როგორც ლუზგიურ ენაში. აღუღურ ენაში სრულხმოვნიანობა შენარჩუნებულია შედარებით უკეთ.

რაც ქმნის უმლაუტის ეფექტს. ფარინგალიზაციის ტემბრული ელფერი წინასწარ განსაზღვრავს მის სხვადასხვა რიგის ხმოვნებთან შერწყმის შეზღუდულობას. შესაძლებელია მხოლოდ უკანა რიგის ა-სა და უ-ს ფარინგალიზაცია. ენის უკანა ნაწილის მოშვების შემთხვევაში უ-ს წარმოთქმისას ის იქცევა ბგერად, რომელიც თვისებებით ახლოსაა ო-სთან.

თანხმოვანთაგან ფარინგალიზაციას ყველაზე მეტად განიცდის უკანა წარმოების თანხმოვნები. ისინი უფრო ავიწროვებენ არტიკულაციური ხშვის არეს (ხშვა მაგარი სასის მიმართულებით, თითქოს ხდება პალატალიზაცია).

ფარინგალიზაციის ნიშანს ჩვენ ვსვამთ პირველ ხმოვანზე. ეს ორთოგრაფია პირობითია. ფარინგალიზაცია მთელ სიტყვას მოიცავს (შეიძლებოდა ეს ნიშანი სიტყვის გარეთ გაგვეტანა).

მაგ.: ჰ'უჯათ [ჰ'უჯათ] „კამათი“, ყ'ურდან [ყ'ურდან] „ზამთარი“, ყ'ანლაგა [ყ'ანლაგან] „მორის“, გ'ანრაჟურუნუზა [გ'ანრაჟურუნუზან] „ვლრინავდი“, ჰ'უც'უნუნუზა [ჰ'უც'უნუნუზან] „შევცვალე“...

რთულ სიტყვებში ფარინგალიზაცია ფუძეს არ გადასცდება: ყ'ურდუ-მაგან [ყ'ურდუ-მაგან] „ზღარბი“.

საინტერესო მონაცვლეობა აღინიშნება ზმნურ ფორმებში გ-თი დაწყებულ ფუძეებში, რომელთაც უ აქვთ პირველ მარცვალში. გ-ს დარბილება უ-ს წინ გააზრებულ იქნა როგორც ფარინგალიზაცია და რეინტერპრეტაციას დაექვემდებარა მთელი სიტყვა:

ჟ'რტუხს „კამა“ — გ'ურტუნუზა [გ'ურტუნუზან] „შეკვამე“ (ნაცვლად *გ'ურტუნუხე);

ლუფუხს „განიავება“ — გ'ულუფუნუზა [გ'ულუფუნუზან] „გავანიავე“ (ნაცვლად *გ'ულუფუნუხე).

§ 4. თანხმოვანთკომპლექსები

კვლევისას გამოვლინდა სტაბილური, რედუქციის შედეგად მიღებული და მორფემული საზღვრის შემცველი მიმდევრობები.

სტაბილური¹ კომპლექსი მოცემული ან იმავე წარმომავლობის სხვა მორფემაში გათიშული სახით არასოდეს გვხვდება.

ნარედუქციალია თანხმოვანთმიმდევრობა, რომელიც ინტერკონსონანტური ხმოვნის კუმშვის შედეგად არის მიღებული.

მორფემული საზღვრის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები თაბასარანულში შეიძლება გვექონდეს ძირისა და აფიქსის, ორი ძირეული მორფემისა და ორი აფიქსის საზღვარზე.

საანალიზო კომპლექსები ორ დიდ ჯგუფს ქმნის: ოდენ ხშულთა შემცველი კომპლექსები და სონორიანი ჯგუფები. ამ უკანასკნელში ცალკე გამოიყოფა ოდენსონორიანი კომპლექსები. ასეთი დაყოფა გამართლებულია, რადგანაც ცნობილია, რომ მრავალ ენაში სონორებს ნაკლები დისტრიბუციული შეზღუდვები ახასიათებს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ საანალიზო მორფემაში პოზიციების გამოყოფის აუცილებლობაზე² საჭიროა, გაირჩეს არა მხოლოდ მორფემა და მორფემათა ზღვარი, არამედ პოზიციები მორფემის შიგნით, რამდენადაც სხვადასხვა პოზიციას განსხვავებული კანონზომიერებები უყალიბდება. ამ პოზიციათა შესაბამისი მიმდევრობებია: **თავკიდური**, რომლითაც იწყება მო-

¹ ტერმინისათვის იხ. ტ. გულაეა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებ. „აკაკი შანიძეს“, 1981, გვ. 202-243.

² Трубнцкой Н. С. დასახ. ნაშრ., გვ. 282; პ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1951, გვ. 45-47; Гринберг Дж. დასახ. ნაშრ., გვ. 45, 48; ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, III, 1972, გვ. 152; გ. ნებიერიძე, სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპები, თბ., 1974, გვ. 10-90; თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ. 90-113.

რფემა, ე. ი. მიმდევრობა მორფემის თავკიდური ზღვრიდან პირველ ხმოვნამდე; **ბოლოკიდური**, რომლითაც მთავრდება მორფემა, ე. ი. მიმდევრობა მორფემის ბოლო ხმოვნიდან მორფემის ზღვრამდე, **ინტერვოკალური** — თანხმოვანთკომპლექსი ორ ხმოვანს შორის. თუ მორფემა ემთხვევა თანხმოვანთკომპლექსს, მაშინ, ცხადია, პოზიციები არ გამოიყოფა.

პოზიციების გამოყოფა აადვილებს თანხმოვანთმიმდევრობათა განაწილების წესების დადგენას.

თაბასარანული ენისათვის საყრდენი საანალიზო ერთეულია ორწევრა კომპლექსები. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ყოველ ენაში ორწევრა კომპლექსები უფრო სრულად ავლენენ თანხმოვანთა ურთიერთმეზობლობის შესაძლებლობებს, მეორეც, მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება უფრო გრძელი მიმდევრობის აგება¹. სამწევრა (ორთხწევრა) კომპლექსები შეიძლება ჩავთვალოთ გართულებულ ორწევრა კომპლექსებად. გართულება ხდება მხოლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში (ან მარჯვნივ, ან მარცხნივ). მორფემათა ზღვარზე ძირეული მორფემის თანხმოვანი (ან თანხმოვნები) რთულდება აფიქსისეული თანხმოვნებით.

გამოვლინდა კავშირი ფონემათა პარადიგმატულსა და სინტაგმატურ მიმართებებს შორის (კავშირი განაწილების წესებსა და ცალკე აღებული ფონემების საკლასიფიკაციო ნიშნებს შორის).

ზოგი ძირითადი ნიშანი, რომელიც რელევანტურია ხშულთა კლასიფიკაციისათვის, სონორებისათვის რელევანტური არ არის (დაპირისპირება მჟღერობა-სიყრუისა და ლოკალური რიგების მიხედვით) ე. ი. მათთვის არარელევანტურია ის ნიშნები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხშულთა დისტრიბუციული შეზღუდვებისათვის და ამიტომაც სონორების განაწილება საერთოდ ნაკლებად შეზღუდულია².

¹ Гринберг Дж. დასახ. ნაშრ., გვ. 41, 46-47; ი. ქობალავა, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

² ზ. ჯაფარიძე, ბგერათა საწარმოთქმო დაბრკოლებათა მიხედვით დაკრულებისათვის ქართულში, იკვ XXII, გვ. 80-84.

ორწევრა მიმდევრობებისათვის საჭიროა გამოიყოს ამ ერთეულის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ცალკე ფონემურ ერთეულს არა აქვს და შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ მათ მიმდევრობას: აქცესიურობა-დეცესიურობა, ჰომოგენურობა (ჰარმონიულობა და აჰარმონიულობა) და სონორობის ზრდა-კლება. ეს ნიშნები შეიძლება გარკვეულ პირობებში არსებითი მნიშვნელობისანი იყოს, სხვა პირობებში კი მათი მნიშვნელობა ფონემათა განაწილებისათვის მცირეა; ზოგჯერ ეს ნიშნები შეიძლება საერთოდ ირელევანტურიც აღმოჩნდეს.

დეცესიურია წყვილი, რომლის პირველი წევრი უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე მეორე. შებრუნებული თანმიმდევრობის წყვილი აქცესიურია¹.

ჰარმონიულია კომპლექსი, რომლის წევრები ერთგვარი არტიკულაციით იწარმოება². ამგვარი კომპლექსები თაბასარანულში არ გვხვდება.

სონორის შემცველი მიმდევრობები

1. ორწევრა კომპლექსები

თაბასარანულ ენაში ორწევრა კომპლექსები ქმნის მოდელებს SC, SSp, CS, SS.

ა) მოდელი SC. ამ მოდელში სხვა სონორებთან შედარებით უფრო ფართო დისტრიბუციით ხასიათდება რ. განსაკუთრებით თავისუფლად უერთდება ის ხშულებს. სპირანტებთან რ სონორის შეერთების უნარი არაა შეზღუდული.
სონორი + ხშული

რბ	ჰურბან	მამაკაცის სახელი
რპ	ხურაა	„წენიანი“
რდ	ჭურდაჭ ჭურდაჭა	ტოპონიმი
	ზურდანლ' ზურდანლ'	ტოპონიმი

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 107-108:

² გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 108-109.

	ჭურღაღღ' ჭურღაღღ' ჭურღაღღ	ტოპონიმი	
	ჟურღუმაჯ	„ზღარბი“	
	გურღუ (ტივაქ. თქმ.) გურღ (ხანაგ. თქმ.)	„ჟუნდი“	
რთ	ჭურღუ (ტივაქ. თქმ.) ჭურღ (ხანაგ. თქმ.)	„ჟოშკი“	
	ჭართა	ტოპონიმი	
	მერთუხ (ტივაქ. თქმ.)	„სრიალი“	
	ჭერთუტილ	ტოპონიმი	
რთა	გურთუ (ტივაქ. თქმ.)	ქურთა (ხანაგ. თქმ.)	„პერანგი“
რტ	ღურტილ	ტოპონიმი	
	ზერტილ	ტოპონიმი	
	სერტილ	ტოპონიმი	
	სირტიჩ სთიჩ	ტოპონიმი	
	ჭრტილ	ტოპონიმი	
	წურტილ წურუტილ	ტოპონიმი	
	ჭერტილ	ტოპონიმი	
	ურტილ	ტოპონიმი	
(ხურიკ. თქმ.)	ხ'არტა (ტივაქ. თქმ.), შღრ. ხეტ (ხანაგ. თქმ.), ხ'არტ		
რძ	გაჭარძალ	„გრღემლი“	
(ხივ. თქმ.)	ხუმურძაგ → ხურძმაგ (ხანაგ. თქმ.), შღრ. ხუმურზაგ		
	„ნესვი“		
	გჭრძ (ხანაგ., ტივაქ. თქმ.) გჭრზ	„იარალის სახეობა“	
რწ	მურძ (ხანაგ., ტივაქ.) მურზ (ხივ. თქმ.)	„ორღესული“	
	წურწულ	„კვერნა“	
	კურწილ ზღრ. დ. კურწულ (სამხ. დ.)	„ღეკვი“	
	ყარწ ღარწ	„თარო“	
რც	ხურცაქ ხურწიქი ხურციქ	ტოპონიმი	
რცა	მარცაბ	„სუღთა“	
რჭ	ქულჭრჭილ	ტოპონიმი	

ბირჯუს || ბერჯუს „ჩალაგება“, „მოკეცვა“
 ხარჯი-რი „ცუდად“ (შდრ. ხარჯი-ჟალ „ბოროტება“)
 გურჯიმ (ხევ. თქმ.) || გურდიმ (ხანაგ. თქმ.)
 „თირკმელი“, „კვირტი“

რჩ ქარჩულ || არჩუღ ტობონიმი
 ჩურჩულ „ხვლიკი“
 ძერჩის (ტივაქ. თქმ.) || ძაჟჩუზ (ხანაგ. თქმ.)

„შეშხეფება“, „განიავება“

რჩ ჩურჩულ „ხვლიკი“
 რქ ქურქაქა || ქურქაქა ტობონიმი
 ხარქაჟ (ხურიკ. თქმ.) „გაზაფხული“

რკ ჩურკულარ || ჩირკულარ ეთნონიმი
 ქურკილ ტობონიმი
 შარკ (ხურიკ. თქმ.) „ჩლიქი“

რქა ჩურქაჟ „წიწილა“

რჳ ჯურჯუშუმ || ღურღუშიმ „ტყვია“
 ჯარჯა „ყვავი“

რყ ჳურყუზ „ღექვა“

სარყა (ხანაგ. თქმ.) || საყა (ტივაქ. თქმ.) || საღაყა (ხევ. თქმ.)
 „გულმოწყალება“

რღ მარღა (ჩრდ. დ.) || მარღ (სამხ. დ.) „გვალვა“

მარღილ || ღარღილ ტობონიმი

მბ სამბალ (< სანბალ) „ავშარა, საღავე“
 მღღამღაღ „სახმარი ნივთები“

მჳ სიმჳურ „ოცდაათი“

ნბ სანბალ (უსლართან) „ულვაში“

ნფ სუნფალ > სუმფალ „ულვაში“

ნღ ჯუნღდიქა || ჯანღიქი || ჯანღიქა ტობონიმი

გალანღარ (← გალ „ზამთრის საძოვარი“, ტობონიმი)

	ჩალანდარ	"ПЛАТАН"	
ნტ	წანტილ	წანიტილ	ტოპონიმი
	აკანტილ		ტოპონიმი
	კუანტი		"ბაგე"
	კანტი		"წვეთი", "სითხის ნარჩენი"
	გუნტიუ	(ტივაქ. თქმ.) გუნტი (ხანაგ. თქმ.)	"ზვინი"
	ტუნტი	(ხივ. თქმ.) ტუმუტი (ხანაგ. თქმ.)	"ძნა", "ხელეური"
ნთ	შინთ	(ხურიკ. თქმ.)	"აკვანი"
ნძ	გარანძაძ		"ჯამი"
ნც	განც	(ტივაქ. თქმ.) ქანც	"აკაკლის შიგთავსი"
ნც	ყანც	(ხივ. თქმ.) ყამც (ხანაგ. თქმ.)	"მაშა"
ნჩ	ქამანჩა		"გარმონი"
ლდ	წილდიქ		ტოპონიმი
	ულდი		"ფანჯარა"
	ულდიჭუჭ		"გაშვება", "ჩამოსვლა"
	ალდიტუჭ		"გადახერხვა"
ლტ	სალტან		"ხელნა ეტლისა"
	ელტიეჭუჭ	(ტივაქ. თქმ.)	"გაფილტვრა"
ლძ	ულძილ	ულძიღ	ტოპონიმი
	მილძი	მელძი	"ენა"
	აჭლძი	(ხანაგ. თქმ.) ლურჯ (ხივ. თქმ.)	"თიხა" (საშენი)
ლჭ	ჭულჭალ		ტოპონიმი
	ჭულჭულდინჭ	ჭულჭუნდიჭ	ტოპონიმი
ლგ	ჭულგან	გულგა	"ლოცვა"
ლქ	ქულქე		"ქვეყანა"

ბ) მოდელი S S p. სპირანტებთან რ სონორის
შეერთების უნარი არაა შეზღუდული:

რს	ღარსუნ „ გუარს ვარს	ჩაგდება „შუაში“ „ავი სული“ „სილა“, „სახეში გარტყმა“
რსა	ურსილ მურსილ რემირჟუჟი ჟარჟი რშეირშ	ტოპონიმი „რვა“ „ჭინჭარი“ „ნერწყვი“
რმა გროვა“	ურშელ (ხანაგ. თქმ.) ურშალ (ხივ. თქმ.) „ნეხვის	
რლ	ხირლარ ურლა ურჯა ურდა რს გურხუნ ბირხუნს დურხინ ჯურხუნ	ეთნონიმი ტოპონიმი ტოპონიმი „კერვა“ „ხერხი“ „დავარცხნა“
რს	გარსუნ (ტივ. თქმ.)	„გაქცევა“, „თავის გადარჩენა“, „თავიდან აცილება“
(შდრ.	ქარაჟუნუნ (ხანაგ. თქმ.) ქარდარსუნ (ხივ. თქმ.) შარნალ (ტივაქ. თქმ.) ხარშილ (ხივ. თქმ.) „ყბა“ მარს მარჭ (ხივ.)	„წვიმა“
რს	ნჟრს ჭჟრს ჟრსჟუნ	„ერთგვარი ხორბლეული“ „მტერის ნაწილაკი“ „გაფრთხილება“, „მოფრთხილება“
რსა	დუმურსილ დუმურსილ	ტოპონიმი
რლ	მჟრლლილ	ტოპონიმი
რგ	ჭერგუნ (ხივ. თქმ.)	„გაქცევა“
რჭ	არფანი აფნი (ხივ. თქმ.)	„კიტრი“

რჭ	ჯელერჯ	„ელენთა“
	რწმურწ	კუთხე“
	თურწწუწ დურწწუწ	(ხანაგ. თქმ.) დურწწუწ
	„დაფერტხვა“, „ქანაობა“	
მს	ამს (ხურიკ. თქმ.)	„ღრუბელი“
მწ	ჯწმწ „одномужница“	(с другой женой)
	მღ დუმღუმ დუნწწარ	(ბ. უსლარი) „ჩერქეზი“, „ჩეჩენი“
	იმამღუმ	ტოპონიმია
ნს	ინსწყ' (ხანაგ. თქმ.)	„პეპელა“
ნწ	გენწირ	ტოპონიმია
	გუნწუს (ტივაქ. თქმ.)	ქუნწუს „მოწონება“,
	„სურვილი“	
ლწ	ჯალწან (ხივ. თქმ.)	ღალწან (ხანაგ. თქმ.) „ფარი“
	ულწუს (ტივაქ. თქმ.)	„ლაპარაკი“
ლჭ	ქულჭეტ	„ოჯახი“

ფონემა ჟ თაბასარანულ ენაში რეალიზდება ტრადიციული წყვილბაგისმიერი ჟ-ს არტიკულაციისაგან განსხვავებული არტიკულაციით. მას გააჩნია სონორის დისტრიბუციული თვისება. შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის ბოლოში, სადაც არა გვაქვს მჟღერი ხშულები. ამიტომ ჩვენ მას მივიჩნევთ სონორად და არა ჭ-ს მჟღერ მეწყვილედ (ჟჭ).

ჟ-ს გააჩნია მორფოლოგიური ფუნქცია. იგი კლასის ნიშანია. ამიტომ იგი კომპლექსს არ ქმნის კლასის ნიშნებთან დ, რ, ბ, ჭ ჟღ, ჟრ, ჟბ, ჟჭ. მოცემულ შემთხვევაში ფონოტაქტიკურ შეზღუდვას მორფოლოგიური საფუძველი აქვს. შესაძლებელია ეს შეზღუდვა დაარღვიოს მხოლოდ ტივაქის თქმამ, რომელიც სხვა მხრივაც თავისებურებებს გვიჩვენებს. მაგ., ქუჟღუს|ქურღუს „ჯაჯუნი“ ასეთი კომპლექსი დასაშვებია მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში. მაგ.: დაჟღუჟუ (ხანაგ. თქმ.), მღრ. დაღდაბუ (ხივ. თქმ.) „ღოლი“

ჟბ დიჟბტუზ (ტივაქ.თ ქმ.), თაბტუზ (ხივ. თქმ.) „მიბმა“
ჟბდ ჟბჟბჟს (ჩრდ. დ.), შდრ. ღ'ჟზ'ჟს (სამხ. დ.) „შუაში
ჩასხმა“

ჟბჟ ჟბჟჟს (ხანაგ., ტივ. თქმ.) „თესვა“, შდრ. ჟრზჟს
(ხივ. თქმ.)

ჟბწ დიჟწჟს || დიწჟს (ტივაქ. თქმ.) „მეტლის გადნობა,
ადუღება“

ჟბც გი-ტიჟცუს „გადაბრუნება“, შდრ. ილ-დიჟცუს
„შემობრუნება“

(ტივაქ. თქმ.)

ჟბგ ჟბგჟს „ძებნა“

ჟბგ' ჟბგ'ჟს „დაგვა“

დიჟგ'ჟს „დაღება“

თაჟგ'ჟს (ტივაქ. თქმ.) „მიცემა“

ჟბკ ჟბკჟს || ჟბკრჟს || ჟბკჟს „რეცხვა“ (ტივაქ. თქმ.)

ჟბტიჟკჟს (ტივაქ., ხანაგ. თქმ.), შდრ. ჟბტიჟკჟს
„გადაკიდება“

ჟბქ დიჟქჟს „გაჩერება“

ჟბჭ ღ'ჟბჭ'ჟს „შესვლა შუაში“ შდრ. ჟბჭ'ჟს (ტივაქ.
თქმ.)

ჟბურჟბჭ'ჟს (ხანაგ. თქმ.), **ჟბურჟბჭ'ჟს** (ხივ. თქმ.)
„წასვლა“, „გასვლა“

ჟბღ აჟღჟს (ჩრდ. დ.), შდრ. სამხ.დ. აჟღჟს „შეციება“,
„კანკალი“

ჟბღ' ვჟბღ'ჟს (ჩრდ. დ.), შდრ. ვჟბღ'ჟს
„ჩაყლაპვა“

ჟბზ ვჟბზჟს (ტივაქ. თქმ.), შდრ. ვჟ-რაჟბზჟს (ხანაგ.
თქმ.) „გადახდა“

ჟბყ ჟბყჟს || ჟბირჟს || ჟბყჟს (ტივაქ. თქმ.) „მოჭერა“
ჟ + სპირანტი

შს ქაუსუშ (ხანაგ. თქმ.) „წაკიდება“, „შეერთება“,
„მიწებება“

შხ უშხუს „კითხვა“

ჭიშხუს || ჭიხუს (ტივაქ. თქმ.) „შექმეხვნა“

შხა უშხუს „წაღება“, „ტარება“

შღ ქაულქუს || ჭარლქუს || ჭაღქუს „გაქცევა“ (ტივაქ. თქმ.)

შწ უშხუს || უშფუს (ტივაქ. თქმ.) „გამოჩრა“

ჭიშხუს || ჭიხუს (ტივაქ. თქმ.) „მიხურვა (კარისა,
ფანჯრისა)“

ფ“წუხუს (ჩრდ. დ.), შდრ. ღწწუხ (სამხ. დ.) „ჩაყრა
(რალაცის შუა)“

შუ ფონემა სონორთანაც ქმნის კომპლექსს, ოღონდ
ფუძისა და მორფემის ზღვარზე ან ნასესხებ სიტყვაში. მაგ.:

შულ: ქუშულილ ტოპონიმი, რომელიც დაიშლება
ამგვარად: ქუშ-ლი-ლ ქუშ- ფუძეა, ლი- ერგატივის ნიშანი, -ლ
— ლოკატივის ნიშანი.

შაულუტ „ფუნდამენტი“ (ნასესხებია).

გ) მოდელი C S. ამ მოდელში შედარებით
შეზღუდული დისტრიბუციით ხასიათდება მ, ნ სონორები. C + მ
არ გვხვდება. C + ნ კომპლექსიც იშვიათია:

ტნ ყწნიგ (ტივაქ. თქმ.) „უბეში ჩაღება“, შდრ.:

ჭნ ყწწნიგ (ხივ. თქმ.) „უბეში ჩაღება“

ცნ ზილიცნაც „ღარიბი“, „არაფრისმქონე“

ჭნ ჯუჭნიქ ტოპონიმი

ჭწ რიჭწაქა || რიჭწიქა || რიჭწიქა ტოპონიმი

ჭწ ქუქწნად || ქუქწუნად ტოპონიმი

წლ ყწწლურ (ხანაგ. თქმ.) || ღაწლირ (ხივ. თქმ.)
„შიშველი“

ქლ მიჭლიბ „გრილი“

ბრ თუბრა „ტომარა“ (ტივაქ. თქმ.) — **თურბა,**
თაურა (ხანაგ. თქმ.), **შდრ.:** **თურბა** (ხივ. თქმ., აღ. ენ.)

ტრ ტიტრის „ბეპელა“

ნიტრივარ ეთნონიმია

ჯრ მიჯრი „წვერი“

ჩრ უეჩრიქ ტოპონიმია

ჭრ ნიჭრას ტოპონიმია

ჭრ გალიგუჭრანლ ტოპონიმია

გუჭრანლ ტოპონიმია

დ) მ ო ლ ე ლ ი S p S.:

ხმ ჯახმა (ტივაქ. თქმ.) || **ლახმა** (ხივ. თქმ.) „ლენტა“

შმ შმიბ (თაბ.) (შდრ. **წიშეჭ** (აღ.)) „თხვეალი“

თაბასარანულში თავიკიდურ პოზიციაში ეს კომპლექსი მოცემულ შემთხვევაში მეორეულია. ამოსავალი ვითარება აღუღურმა შემოინახა.

ღნ დაღნი ტოპონიმია

ზნ ბუზნალ ტოპონიმია

ჭნ აჭნა ტოპონიმია

ლაჭნუ „მოვიდა“

სლ სლიბ (< **სილიბ**) „კბილი“ (ზორეჯის, ჩერეს თქმები)

(შდრ. **სუარ** < **სბარ** < **სლიბარ** — მრ. რ.)

ხლ ხლინც (ხივ. თქმ.) || **ხილიმცი** (ტივაქ. თქმ.)

„ფრთა“

ადახლო „დასაქორწინებელი“

სრ ქუსრი (ხივ. თქმ.) „სკამი, „ტაბურეტი“, შდრ. **ქურსი**

(ტივაქ. თქმ., ხანაგ. თქმ., აღ. ენ.)

დრ ჯუღრი (ლეზგ. გუღრი, აღ. ჟუღრი) „ატამი“

ჯალრიქ

ტოპონიმი

ხრ ჩუხრა

„თითისტარი“, „ჯარა“

თავკიდურ პოზიციაში სონორის შემცველი კომპლექსი ერთეულ შემთხვევაში გვხვდება და ისიც მეორეულია (სლიბ < სილიბ „კბილი“, ხლინც, შდრ. ხილიმცაი „ფრთა“).

სონორთაგან ამ მოდელში შედარებით უფრო ფართო დისტრიბუციით ხასიათდება რ. ამ ფონემის სიხშირე განპირობებული უნდა იყოს იმითაც, რომ იგი მორფოლოგიური მარკერია.

2. სამწევრა კომპლექსები

სამწევრა თანხმვანთკომპლექსები თაბასარანულ ენაში, ყველა პოზიციაში, მეორეულია. ეს კომპლექსები აუცილებლად შეიცავს სონორს, ზოგჯერ — ორსაც. სონორის შემცველობა გარდაუვალია სამწევრა კომპლექსისათვის. სახეზეა შემდეგი მოდელები: SCS, SSpS, SpSC, CSC.

ა) SCS

პირველი წევრი ამ მიმდევრობებში უმეტეს შემთხვევაში რ არის:

ფურგანდ

ტოპონიმი

ყურყულირი

„მწარედ“

ბ) SSpS

თაბასარანული ენისათვის დასაშვებია ეს მოდელი. პირველი წევრი ამ კომპლექსისა შეიძლება იყოს ნებისმიერი სონორი, სპირანტიც — ნებისმიერი. ბოლო წევრად არ გვხვდება მხოლოდ რ.

ჰიმუნიდ || ჰემუნიდ

ტოპონიმი

ფურღლიდ

ტოპონიმი

ხარხნი

ტოპონიმი

გ) SpSC

ჭრჭიმ || ჭრჭინ (ხივ. თქმ.) „ბორკილები“, შდრ. ჭურტიმ (ტივაქ. თქმ.) „ბორკილები“

დ) CSC

CSC მოდელში სონორი უმეტეს შემთხვევაში რ არის: **ქრქარ** (< **ქრქარ** – მრ. რ.) ← **ქარქ** „პეშვი“

თაბასარანული ენა თავიკიდურ პოზიციაში ორწევრა ძირეულ თანხმოვანთკომპლექსს არ იძლევა. ამ პოზიციაში მხოლოდ და მხოლოდ მეორეული თანხმოვანთკომპლექსები გვაქვს, ხოლო ორზე მეტი თანხმოვნის თუნდაც პოზიციური თავმოყრა დაუშვებელია. მაგალითად, ხივის თქმაში **ჭფიმ** „ბეკეკა“ (მრ. რ. **ჩიფშარ**, ერგ. ბრ. **ჩფში**), შდრ. **ჩეფიმ** (მრ. რ. **ჩეფშერ**, ერგ. ბრ. **ჩეფში**). ტივაქის თქმის ეს ფორმა ამოსავალი უნდა იყოს, ხივის თქმაში შეკუმშული ფუძეა წარმოდგენილი. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ხივის თქმაში სახელის ფუძე შეიძლება შეიკუმშოს და ანლაუტში მივიდოთ ორი თანხმოვანი. მაგალითად, **ცალ** „აედელი“, მრ. რ. **ცლ-არ**, ერგ. ბრ. **ცლ-უ**, ტივაქის თქმა სრულ ფუძეს გვიჩვენებს: **ცალ** – მრ. რ. **ცალ-არ**, ერგ. ბრ. **ცალ-ი**. თავიკიდურ პოზიციაში ჩრდილო დიალექტის ტივაქის თქმა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსს ვერ იგუებს და ფონოტაქტიკური შეზღუდვის გამო იგი გაურბის ფუძის კუმშვას, რაც დასაშვებია, ვთქვათ, ხივის თქმაში, მაგ.:

ჩირუჟ (ტივაქ. თქმ.) „მწვანე“, შდრ. **ჩრუბ** (ხივ. თქმ.)

ფეჭჳჳ (ტივაქ. თქმ.) „მსუბუქი“, შდრ. **ფჩიბ** (ხივ. თქმ.)

შემჳჳ (ტივაქ. თქმ.) „თხევადი“ შდრ. **შმიბ** (ხივ. თქმ.)

ბისიმჭი (ტივაქ. თქმ.) „მერცხალი“, შდრ. **ფსინჭ** (ხივ. თქმ.)

შუტამ (ტივაქ. თქმ.) „მამა“ შდრ. **შტამ** (ხივ. თქმ.)

ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები თავიკიდურ პოზიციაში, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის მეორეულია. ამოსავალი ვითარება დასტურდება თქმებში. მაგ.:

ხთაულ < **ხდულ** < **ხუდულ** „შვილიშვილი“

სთაი < ხირტი ტოპონიმია

ვცაიგ'უნ < ვ-ძიგ'უნ < ვი-ძგ'უნ „ბიძგება“

ვჩაალუნ < ვ-ჩალუნ < ვა-ჩალუნ „გამოკლება“

ქწუნუნ < ქ-ჭუნუნ < ქუ-ჭუნუნ „ქანაობა“

ჭ ინტერვოკალურ პოზიციაში → წ-ში

ჩუაი < ჩიბი < ჩიბი-ერგ. ბრ.-ში ← ჩიბ „თვითონ“¹

ხივ. თქმ.: წჩაი წ-ჭი < წუ-ჭი -ერგ. ბრ.-ში ← წუ „რა?“,

შდრ.: ჩრდ. დ. წ-თაი < წ-ლი < წი-ლი -ერგ. ბრ. ← წი „რა?“²

ხუაიბ (ხივ. თქმ.), შდრ. ხიბუჟუ (ხანაგ. თქმ.) „ძუ“

ვუაირჯუნ < ვ-ბირჯუნ < ვი-ბირჯუნ „შეფუთვა“, შდრ.

ილ-ბირჯუნ „შეხვევა“, „გადახვევა“, „შეფუთვა“, „შემოკვრა“, „გადახვევა ძაფისა“

რომარცვლიან სიტყვებში (ზმნებში), რომელთაც ახლავს ადგილობითი პრევერბები, მახვილიანია პირველი მარცვალი (ე. ი. მახვილი მოდის პრევერბზე), უარყოფით ფორმებში მახვილიანი საწყისიდან მეორე მარცვალია (მახვილი მოდის უარყოფაზე):

ჩრდ. დ.: ვურყუს „მიღწევა“, „დაწევა“ უარყ. ფორმა ვუ-რჷ-რ-ყუს

ქჷჷუნ „შეხება“

ქუ-რჷ-ჷუნ

სამხ. დ.: ვურყუს „მიღწევა“, „დაწევა“

კთარჷუნ

ქჷჷუნ „შეხება“

კთარჷჷუნ

სამმარცვლიან ზმნებში, რომელთაც ზმნისწინები (ან პრეფიქსები) ახლავს, მახვილიანია ბოლო მარცვალი, უარყოფით ფორმებში მახვილი მოდის მეორე მარცვალზე:

¹ A. A. Магомстов, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

² A. A. Магомстов, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ჩრდ. დ.: ქურუქ³ „გასვლა“ უარყ. ფორმა ქურრქ³ „ვიძიგ³ „ბიძგება“ ვიძრიგ³

სამხ. დ.: ქადატუხ „ძირიდან მოხერხვა“ ქადადატუხ
ღადატუხ „მოგლეჯა“ „ ღადადატუხ

პრევერბებში ვ(-), ქ(-) პრევერბისეული ხმოვანი ამ ტიპის ზმნებში რედუცირდება, რის შედეგადაც უარყოფით ფორმებში მახვილიანი ხდება პირველი მარცვალი (მეორეს ნაცვლად):

ვთათუხ „მოქრა (ხელის)“, უარყ. ფორმა ვთადატუხ (< ვ-თა-დატუხ < ვა-და-დატუხ

ქთათუხ „მოქრა რაღაცოდან“, ქთადატუხ¹
რედუქციის შედეგად ანლაუტში ვიღებთ მეორეულ თანხმოვანთკომპლექსს — ორწევრა (CC) კომპლექსს, რომლის პირველი თანხმოვანი პრევერბისეულია.

ბრუნების დროს ან სხვა სუფიქსთა დართვისას ხმოვნის დაკარგვითაც მიიღება ორწევრა თანხმოვანთკომპლექსი:

ხივ. თქმ.: ცალ „კედელი“, მრ. რ. ცლ-არ, ერგ. ბრ.

ცლ-უ

ტივაქის თქმა გაურბის ხმოვნის ამოვარდნას, რადგანაც ამ თქმის ფონოტაქტიკისთვის მიუღებელია თავკიდური თანხმოვანთკომპლექსი. თაბასარანულ ენაში სრულხმოვანების დაკარგვა და ამ გზით თანხმოვანთკომპლექსის წარმოება ფართოდაა გავრცელებული ლეზგიურ ენასთან ახლოს მდგომ სამხრულ დიალექტში. ლეზგიურ ენაში ხმოვანთა რედუქცია უფრო ძლიერია, ვიდრე თაბასარანული ენის სამხრულ დიალექტში:

ლეზგ. ენ. ჩლახ „უხელო“, შდრ.: თაბ. ენ. ხივ. თქმ.

ჩულავ

ცწულ „კვერნა“

„ „ „ ცურწულ

მახვილიანი ხმოვნის წინა ხმოვანი რედუცირდება და

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

იკარგება, რაც იწვევს თანხმომავანთა თავმოყრას, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი:

ხივ. თქმ.: შმიბ, „შდრ.: ტივაქ. თქმ.: შემეჟუ „თხევალი“
 ფჟიბ ფჟეჟუ „მსუბუჟი“
 ჩრუბ ჩირუჟუ „მწვანე“
 ფსინჟ ბისიმჟი „მერცხალი“
 ქარჟიმ ქურტიმ „ბორკილები“
 შტამ შუტამ „მაშა“¹

კ. ბოუდა აღნიშნავს, რომ მახვილიანი ხმოვნის წინა ვიწრო ხმოვნის დაკარგვა თაბასარანულ ენაში ისე შორს არ წავიდა, როგორც ლეზგიურ ენაში. ალულურ ენაში სრულხმოვნისანობა შემონახულია უკეთ².

ამგვარად, რედუქცია და მის კვალობაზე თანხმომავანთკომპლექსის წარმოქმნა მეორეულია და გვიანდელი თაბასარანულ ენაში. ტივაქის თქმა ამ მხრივაც განსაკუთრებულ სურათს გვიჩვენებს. ამ თქმის ფონოტაქტიკა ზღუდავს თავკიდურ პოზიციაში CC კომპლექსის წარმოქმნას.

ინლაუტში ორი სხვადასხვა სონორის შეხვედრისას უმეტეს შემთხვევაში ხდება ასიმილაცია:

ლ + რ > ლლ, რ + ნ > ნნ, ლ + ნ > ნნ, რ-ლ > ლ-ლ³

ლ + რ > ლლ: ჭაღლა (<ჭაღლ-რა) „ენაც“ (ჭაღლ „ენა“, რა „და“ — კავშირი).

ლ + ნ > ნნ: ჩუნნუ (<ჩულ-ნუ) „შემოდგომით“ (ჩულ „შემოდგომა“, ნუ — სუფიქსი), შდრ. აღ. ენ.: ჩულანა „შემოდგომით“, ჩულ „შემოდგომა“

რ + ნ > ნნ: ასიმილაციის ეს სახე ყველა თქმაში არაა

¹ A. A. Магомедов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 57.

² K. Bouda, *Das Tabassaranische*, გვ. 2.

³ ლ + ნ > ნნ ასიმილაციაზე მიუთითებს პ. უსლარი; იხ. П. К. Услар, *Табасаранский язык*, § 9. ა. დირი აღნიშნავს ასიმილაციას თაბასარანულ ენაში: ლ + რ > ლლ, რ + ნ > ნნ, ლ + ნ > ნნ; იხ. А. Дирр, *Грамматический очерк табасаранского языка*, გვ. 7.

წარმოდგენილი.

ტივაქ. თქმ.: **ჟილინნა (ჟილირ-ნა) შიჟუ „ქმარი და ცოლი“**, შდრ. ხივის თქმა, სადაც ეს ასიმილაცია არა გვაქვს: **ჟილირნა ხჟიირ „ქმარი და ცოლი“**

აულ გუმის თქმ.: **ტუნნარ – მრ. რ. ტურიმ „თოკი“** სახელისა. მოცემულ მაგალითში **ნნ > რნ ტურიმ + არ > ტურმ-არ > ტურნ-არ > ტუნნარ¹**.

სიტყვაში **რ-სა** და **ლ-ს** არსებობა ტივაქის თქმაში იწვევს დისტანციურ- რეგრესულ ასიმილაციას: **დულულხუს (< დურულხუს)** – უარყ. ფორმა ზმნისა **ულხუს „ლაპარაკი“**. თუ ნასესხები სიტყვის ამოსავალ ფორმაში **რ** და **ლ** ხვდება ერთმანეთს, თაბასარანულ ენაში ხდება კონტაქტური ასიმილაცია: **ჭალლათ (< ჭარლათ) „სასახლის კარის დაცვა“**, შდრ. აღ. ენ.: **ჭარლათ**.

თაბასარანული ენა გაურბის ორი სხვადასხვა სონორის არსებობას სიტყვაში როგორც უშუალოდ მეზობლობაში, ასევე დისტანციურადაც.

§ 5. CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურის თავისებურებანი

ენის ფონემური დახასიათება არ შეიძლება იყოს სრული, თუ ფონემურ სისტემასთან ერთად გათვალისწინებული არ იქნება ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკური შესაძლებლობები. ამ კუთხით სტატისტიკურ კვლევას ჭერჭერობით ვერ წარვმართავთ, რადგანაც არ მოგვებოვება თაბასარანული ენის განმარტებითი ლექსიკონი ან თუნდაც თარგმნითი ლექსიკონები სრული სახით, ხოლო არსებული მასალა ნაკლოვანია და სტატისტიკური მონაცემების საკვლევად ვერ გამოდგება. მაგრამ ამ მასალის საფუძვე-

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ლზე მნიშვნელოვანია ფონემური კომბინაციების შესწავლა არა მხოლოდ უშუალო მეზობლობაში, არამედ დაშორებულ პოზიციებშიც, ძირის ან მთელი სიტყვის ფარგლებში.

საანალიზოდ აღებულია CVC (თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი) ტიპის სახელური და ზმნური ძირები, რომელთაც თავკიდურად ან ბოლოკიდურად თითო თანხმოვანი მოუდის. ერთზე მეტი თანხმოვანი ძირის დასაწყისში ან დაბოლოებაში უკვე სხვა კანონზომიერებებს ავლენს. მათ შესახებ ცალკე ვისაუბრებთ. CVC ტიპის ძირები სახელისა და ზმნისთვის აგებულია ერთი პრინციპით და მეტწილად საზიაროა¹ (ისევე, როგორც ქართველურ ენებში). გათვალისწინებულია აგრეთვე რედუბლიციკირებული (მიზ-მიზ „ბუზი“, ჩურ-ჩულ „ხელიკი“...) ძირები, რამდენადაც ისინიც მოდელირების საერთო ნორმებს იცავენ. CVC ძირები გვხვდება როგორც მაწარმოებელი აფიქსების გარეშე, ისე ნაწარმოებ ფუძეებში და მოიცავს თაბასარანული ენის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

ანალიზის დროს გათვალისწინებული იყო ნასესხები ძირებიც, რადგანაც ძნელია, თანმიმდევრულად გამორიცხო ყველა ნასესხობა: თუკი ამის გაკეთება ადვილია ახალი და განსაკუთრებით წიგნიერი ნასესხობის მიმართ, გაძნელებულია ეს სხვა შემთხვევებში, როცა უცხო სიტყვები ისე ორგანულად არის შეზრდილი ლექსიკას, რომ სპეციალური კვლევის გარეშე და, ხშირად, ასეთი კვლევის შემდეგაც ძნელი გამოსაყოფია. ზოგჯერ ნასესხები სიტყვები იცვლება მსესხებელ ენაში გაბატონებული ნორმების შესაბამისად და უფრო ააშკარავენს ამ ენის მოდელირების ტენდენციებს. ნასესხები სიტყვა შეიძლება საერთოდ არ დაექვემდებაროს არსებულ მოდელებს და სწორედ იმის გამო, რომ ის ყოველთვის არ ექვემდებარება მოდელს და ინარჩუნებს უცხო „იერს“, ზოგ გაურკვეველ შემთხვევაშიც შეიძლება დადგეს საკითხი ამგვარი გამონაკლისის წარმომავლობის შესახებ.

CVC ტიპის ძირეული მოდელების დადასტურებული რაოდენობა

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 122.

დენობა საგრძნობლად ჩამორჩება თეორიულად მოსალოდნელ რიცხვს (7 ხმოვნისა და 64 თანხმოვნის შემთხვევაში გაცილებით დიდი რიცხვი უნდა მიგვეღო). დაისმის კითხვა, თუ რითაა გამოწვეული ეს დიდი სხვაობა, შემთხვევითი ხარვეზებით თუ არაშემთხვევითი სტრუქტურული შეზღუდვებით.

ძირში კომბინაციური უნარის თვალსაზრისით ხმოვნები რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენენ. მათი დისტრიბუცია თავისუფალია და არ არის დამოკიდებული წინამავალ ან მომდევნო თანხმოვანთა განაწილებაზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ა და უ ფარინგალიზებული ხმოვნები, რომელთა გვერდით გვხვდება მხოლოდ ფარინგალიზებული თანხმოვნები. ასევე ლაბიალიზებული თანხმოვნების გვერდით დაუშვებელია უ ლაბიალური ხმოვანი.

ზოგადად CVC ტიპის ძირი შეიძლება იწყებოდეს ნებისმიერი თანხმოვნით და ბოლოვდებოდეს ნებისმიერ თანხმოვანზე. სხვაგვარად, თაბასარანული ენის თანხმოვნებიდან არც ერთი არ არის ისეთი, რომლითაც არ შეიძლებოდეს ძირის დაწყება ან დაბოლოება (ზმნური ძირების აგებაში არ მონაწილეობს კლასის ნიშნებად გამოყენებული თანხმოვნები), მაგრამ მათი შეხვედრის ალბათობები სრულიად განსხვავებულია.

ბაჟ	„დედა“
ბაგ	„მხოლოდ“ (ბაგაჰ – ახლოს)
ბატ	„ბატი“
ბაჟ	„შოლტი“
ბერ	„ბარი“
ბეს	„ასე რომ“, „ამგვარად“
ბიჟ-(უჟ)	„ბოვნა“
ბიჟჟ-უჟ	„შეხტომა“
ბიჯ-უჟ	„ამღვრევა“
ბიტ	„გველი“
ბიწ-ი	„ბატარა“
ბუჰ	„ჩირქი“

ჟუჟ	„არა“
ჟუჟ	„ნათელი, სინათლე“
ჟუჟი	„ვაშლი“
ჟუჟი	„მყოფობა“
ჟუჟი	„ბალახი“
ჟუჟი-ჟუჟი	„ლობა“
ჟუჟი	„შებენი“
გაჟი-ან	„მწყემსი“
გაგ-ჟულ	„მარცხენა“
გაგ-ინ	„დოქი“
გაჟ	„დრო“
გაჟ-გაჟ	„ზოგჯერ“
გაჟ	„დაბლობი“
გაი	„დაბლობი“
გარ გჟარ	„დოქი“, „ნაქუჭი“
გარ-გარ	„ლილი“
გათ-უ	„კატა“
გაჟი	„სიტყვა“
გაჟი	„შიშნული“
გემი	„გემი“
გემი	„შიში“
გუჟი	„ძალა“
გუჟი	„ხახვი“, „მწვანული“
გუჟი	„მოედანი“
გურ	„გამოსავალი“, „გამოსაძვრომი მდგომარეობიდან“
ღაჟი	„კანაფი“
ღაჟი	„ქერქი“, „კანი“
ღაჟი	„მიცემა“
ღაჟი	„წამალი“
ღაჟი-არ	„ტბა“, „გუბე“
ღაღა	„უფროსი და“
ღაჟი	„ვირი“
ღაჟი	„ფულური“

დამად	„ცხენის ღრძილებში ჩამდგარი სისხლი“
დაჯ-ვარ	„კოკლი“
დაჭ	„დაირა“, „დაფი“, „ებანი“
დაჭუ	„ომი“
დაჭ-ი	„ცივი“
დახ'ინ	„ხორბალი“
დაეუუთ	„სამელნე“
დელ-ი	„უტვინო, სულელი“
დეც -უჭ	„დაჯდომა“
დიქუ	„ჭა, ორმო“
დილ	„ოჯახი“
დინ-ა	„იქ, იქით“
დირ-ას	„ცელი“
დიჭ	„ღრუბელი“
დინ	„ძახილი“, „ხმა“, „ბგერა“
დიწ-ი	„ამგვარად“, „ასე“
დიშ-ი	„პირდაპირი“
დუგ-ი	„გასუფთავებული ბრინჯი“
დუმუ	„ის“
დურ-ავ	„ცხენის ბაგა, ახორი“
დუწ-უნ	„ასეთი“
დუშ'აჯ	„იქ“
დუფ-უჭ	„გასწრება“
დუთა	„კისერი“
დილ-უჭ	„მამული“
დიჭ-უ	„მამაკაცი“
დიულ	„ასალი, ჩული“
ჯაგ	„ყუთი“, „საფულე“, „ქალათა“, „გალია“
ჯალ!	„წადი!“
ჯამ	„ახალდაქორწინებული“
ჯან	„სული“, „ძალა“
ჯაყ	„ბელურა“, „ჩიტი“

ჯარა	„სხვა“
ჯაჭა	„შრომა“, „საზრუნავი“, „მცდელობა“
ჯეჟ-ილ	„ახალგაზრდა“
ჯეხერ	„მსხალი“
ჯიჟუ	„ჯიბე“
ჯიჟუ-ი	„მოკლე“
ჯინ	„ბოროტი სული“
ჯუჟუ	„ბზუილი“
ჯუტ	„წყვილი“
ჯერ-ი	„ხშირი“
ჯუმე	„პარასკევი“, „ერთი კვირა“
ჯანაგ	„ჯაჭვი“, „ჯავშანი“
ჯაძიჭ	„სუსტი“
ჯარალ	„დანაკარგი“, „დანაკლისი“, „ზარალი“
ჯიკ	„ბუმბული“
ჯიმ	„სიმი“
ჯირ-ა ე	„დედალი“ (ფრინველთა შესახებ)
ძაჟ-არ	(მრ. რ-ია, ძაჟ – არ გამოიყენება) „ზეცა“
ძაძ	„ეკალი“, „ძეძვი“
ძაკ-ურ	„ხვალ“
ძახ	„ჯამი“, „პატარა ქოთანი“
ძიგჟ-უჟ	„დაჭიმვა“, „გაწევა“
ძიჟ-ულ	„აღმართი“
ძიმძი	„აბრეშუმის ქია“
ჰა ე	„რალაცაში მყოფობა“
ჰაჟა	„ჰაერი“
ჰადუ-მჟ	„სწორედ ის“
ჰაზ	„რისთვის“
ჰაჰა	„შეუწყვეტლად“
ჰეკ	„ამბავი“
ჰალაჟ	„ხალიჩა“
ჰამიშან	„ყოველთვის“
ჰამჟ	„ეს“

ჰარ	„ხე“, „ტყე“, „ყოველი“
ჰაწ	„ნახევარი“
ჰელ	„ზეთი“
ჰიუ	„მძივი“
ჰიპ	„ამოსუნთქვა“, „სუნთქვა“
ჰილლა	„ხრიკი“, „ეშმაკობა“
ჰიჭ-ილი	„დაბალი“
ჰულ	„ზღვა“
ხარ	„ბეწვი“, „ბუნაგი“
ხუბ/ხურ	„ხუთი“
ჰაჯ-ათ	„საქიროება“, „აუცილებლობა“
ჰაზ-ურ	„მზა“
ჰას-ულ	„წეჭილი“
ჰისაჰ	„თვლა“
ჰაუჯ-ათ	„დამტკიცება“, „საბუთი“ (ნასესხებია)
ქუმ	„ლურსმანი“
ქუნ	„მოწონება“, „სურვილი“
ქაპ-ალ	„ზარმაცი“
ქარ	„ყრუ“
ქას	„კაცი“
ქატ-უჰ	„შეხება“, „შეჩრა“
ქაჭ-ან	„სუდარა“
ქარ	„დედალი“ (ცხოველი)
ქემელ	„კომბოსტო“
ქეჭ	„განცხრომა“, „სიმშვიდე“, „ჰაიფი“
ლილლა	„მასრა“
ქირა	„ქირა“
ქისა	„ქისა“
ქუქუ	„ყვავილი“
ქულაქ	„გრიგალი“
ქუმ	„კვამლი“

ქუნობ	„ქორწინება“
ქურ	„ბრმა“
ქუჭ-ალ	„ტყუილი“
ქუშ	„ფაფარი“, „ნაწნავი“
ქულ	„ტოტი“, „ბუჩქი“
ქულახ	„გაუფრთხილებელი“
ქუმექ	„დახმარება“
ქურე	„ქურა“
კაჭ	„წერილი“
კაძ	„აბრეშუმის პარკი“
კაკ	„დაბოლოება“, „მწვერვალი“
კაკ-ულ	„მოქრილი ხე“, „ფიცარი“
კამუ	„კარაქი“
კან	„ძირი“
კარ	„საზღვარი“, „ცომის გასაყვანი“
კარ-ამ	„მეჭექი“
კარ-ი	„ხბო“
კაწ-ნინ	„ადრე დილა“, „ცისკარი“
კეჭ	„შავი“
კეტ-კეტ	„იარაღი“
კირ-იქ	„ერთი წლის ხბო“
კუჭ	„სიკვდილი“, „მოკვლა“
კულ	„თავი“
კურ	„მაჯა“
კუთ	„კვერცხებზე ჯდომა“
გან-ა	„კვლავ“, „ხელახლა“, „კიდევ“
გაპ-უუ	„გაშვება“
გან-ინ	„მაშინ“, „იმ დროს“
გაჭ	„ცხვირი“
გაწლ	„რისხვა“
გულ-უუ	„რწმენა“
გუთ	„ყვავი“
ჰაუ	„ოცი“

ჰაჰ	„საბალნე“, ტვირთი“
ჰაჰ-ი	„მძიმე“
ჰან	„ქვა“
ჰარ-ი	„ღეღაბერი“
ჰან-ი	„მშობლიური“
ჰანპ-უჟ	„ჩართვა“
ჰანრ	„ხეობა“, „ხიდი“
ჰირალ	„მხარე“
ჰუჰ-ურ-უჟ	„ქუხილი“
ჰულ	„აული“
ჰუმ	„ფხვნილი“
ჰუნ	„ყელი“
ჰუჟ	„მოსვლა“
ჰუღ	„გარეული ქათამი“
ჰულ-ან	„გარეთ“, „გარეგანი“
ჰუნ	„მხარი“
ჰუნ-უჟ	„რალაციის შუაში ჩადება“
ჰურ	„კურდღელი“
ლაქ	„სეტყვა“
ლალ	„მუნჯი“
ლამი	„ნესტიანი“
ლათ	„წყალსაცავი“
ლეგენ	„ტაშტი“
ლეფე	„ტალღა“
ლიჯ	„ხროვა“
ლიძ-ი	„თეთრი“
ლიქ	„ფეხი“
ლიკ	„ღვიძლი“

ლიქ	„სამი წლის ძროხა“
ლიქ-ან	„ჯარა“, „თითისტარი“
ლუგ'	„სახელო“
ლუქ	„ბუჩქი“
ლუკ	„მონა“
ლუჭ	„მტრედი“
ლულ	„ლულა“
ლუწ'	„არწივი“
მაც	„ტვინი“
მად-არ	„საშუალება“
მაჯ	„ზღაპარი“
მალ	„საქონელი“, „ქონება“
მულა	„მოლა“
მას	„ფასი“
მაშ	„სახე, „ფერდობი“
მწვ	„კანკელი“
მიგ-არ	„ბეშვი“, „მუქა“
მიძ	„ლაქა“
მიკ	„ქარი“
მილ	„დახმარება“
მიჩ	„იმედი“
მიჭი	„მუჭი“
მუგ	„ბუდე“
მუდ-ურ	„თიკანი“
მუყ-ან	„იმდენივე“
მუყ-ამ	„მელოდია“, „ნამღერი“
მუხ	„ქერი“
მუც-ი	„ამგვარი“
მუნჩ	„კუთხე“
მუშ-ა	„აქ“
ნაწყ	„უსამართლო“
ნან-აჲ	„მკერდი“, „თვალის კაკალი“

ნაყ	„გუშინ“
ნაჩ	„სირცხვილი“
ნექ	„რძე“
ნიც	„სუნი“
ნივ	„სამანი“
ნიყ	„სამარე“
ნირ	„მდინარე“
ნის	„ყველი“
ნიტიჭ	„კაკლის მურაბა“
ნიც	„მკბენარი“, „ტილი“
ნუბ-ათ	„რიგი“
ბალ-ათ	„ჩასაცმელი, კაბა“
ფეც	„ქათამი“
ფირ	„წმინდათაწმინდა“
ფის-ფის	„წამწამი“
ფიშა	„პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებს“
ფუჟ	„თქმა“
ფულ	„ფული“
ფურ	„ფუჭი“
ფაზი	„ქორი“
ფეზ	„ძერა“
ფიფი	„მართვე ქორისა“
ფულ	„რგოლი“
ბელეზ	„ზურნა“, „სტვირი“
ბებ-ინ	„ველური ალუბალი“
ყაჟ	„ვენახის რქა“
ყაჟ-ი	„მოხუცი“
ყად-არ	„რაოდენობა“, „თელა“
ყალ	„მანანა“ (მცენარე, რისგანაც ამზადებენ ცოცხს)
ყან	„იმდენი“
ყარ	„ყლარტი“
ყას	„საწოლი“
ყატ	„ნაწილი რაღაცა დიდისა“

ყაწ	„ნაკბენი“, „აბენა“
ყაღ	„ზურგი“
ყილ	„მარილი“
ყიყ	„ნახვრეტი“, „ქუქრუტანა“
ყირიყ	„ტყავი“, „ბეწვი“
ყულ	„დაფა“
ყუმაშ	„ქსოვილი“
ყუნ	„თხა“
ყუსაჟი	„წიხლი“
ყუთი	„ყუთი“
ყუტ	„სტაფილო“
ყაღ	„თაგვი“
ყაჟა	„ნუერი“, „როკი“
ყაჟა-ალ	„საყრდენი სვეტი“
ყაჟა	„ხოკო“
ყაჟა-ურ	„ცხოვრება“
ყაჟა-უშ	„აკლის მთლიანი გული“, „ნიგოზი“
რაჯ	„რიგი“
რაქ	„კარი“
რაც	„კალო“
რაში	„ქერა“
რაღ	„წისქვილი“
რაჟ	„გზა“
რაჟ	„ეკალი“
რაჟა	„კუდი“
რაინ-უჟი	„შედგება“
რაიჟ	„მზე“
რაიჟა-ური	„მეფე“
რაიშ	„გოგო“
რაჟი	„ნემსი“
რაჟი	„მიწა“

რუზი	„პური“
რუყ	„რკინა“
რურ	„ნაწლავი“
რუხ	„ავი სული“
რუჭ	„თრთვილი“, „ჭირხლი“
რუჭა	„ნაცარი“
რუყ-წი	„თასი“, „ჭურჭელი“
საბ-ან	„ერთხელ“
საუ	„ერთი“
საგან	„სელაპი“
სამ	„ღერძი“
სან	„წუხელი“
სარ-უ	„კიდევ“
სატ-ი	„ერთად“
სახ	„სკა“, „ბუკი“
საჩ	„შარშან“
სე'ც	„ფხვიერი ნივთიერების საწყაო ჭურჭელი“
სიჯ-არ	„სიღებრა-სიმამრი“
სილ	„ლორი“
სინი	„სპილენძის თევში, სინი“
სიჭ	„საცერი“
სულ	„მელია“
სურ	„ჩრჩილი“
სუს	„აბალდაქორწინებული“
თაუ	„ბულსი“, „მაჯა“
თალ-ათ	„სამშაბათი“
თიქა	„ნაქერი“
თიმ-არ	„წმენდა“
თინა	„აქეთ“
თუტ	„მადლარი“
თუმ	„მარცვალი“, „თესლი“
თუფ	„ქვემეხი“, „თოფი“
თურ	„ხმალი“

თუშ	„ის ადგილი“
თაბ-უტუ	„მიშენება, „მიერთება“
თათა	„მამალი“
თენურ	„თონე“
თაბ-აყ	„ფოთოლი“, „ფურცელი“
ტემე	„გემო“
ტილ	„თოკი“
ტირ-იმ	„პატარა თოკი“
ტირის	„ფეხსაცმელი“
ტუტუ	„თითი“
ტულ	„ტბორი“, „გუბურა“
ტუნ	„ბაგა“
ჭელა	„როდის?“
ჭიჭი	„როგორ?“
ჭუტ	„ვინ?“
ჭუნ	„მუცელი“, „ლიბი“
ჭურ	„ურემი“
ჭურუ	„ქა“
ხაბ-არ	„ამბები“
ხალ	„სახლი“
ხალუ	„ბიძა“
ხამ	„ველური“
ხარ	„ულაყი“
ხასი	„ქედილა“, „დაკორილი“
ხახ	„დო“
ხაშ-ხაშ	„ობობა“
ხაბ-აჯ	„მწუხრი“
ხან	„ეზო“
ხეტ	„ქეფა“
ხიბ-ი	„დედალი“
ხიუ	„ქაკალი“
ხილ	„ფრთა“

ხინი	„ძროხა“
ხირ	„ხელობა“
ხუდ-ულ	„შვილიშვილი“
ხულ	„რუ“
ხურ	„ქლიავი“
ხუს	„კრაზანა“
ხუტ-ილ	„მინდორი“
ხუშ	„კარგი“
ხაუ	„მოხვევა“, „ხელეული“
ხან	„ენდრო“
ხანრ	„ვარსკვლავი“
ხაერ	„ძნა“, „ხელეული“
ხაილ	„ხელი“
ხაუუ	„მოტანა“
ცირი	„გასული წელი“, „შარშან“
ცურ	„სახელი“
წა ე	„ცეცხლი“
წაუ	„მწვანილი“
წალ-ურ	„ცვარი, ნამი“
წარ-ი	„ტრელი“
წარ-წარ	„ტრიპინა“
წელ	„დაკერება“, „დაკემსვა“
წიჰ	„თხა“
წიმიც	„ტიანტველა“
წუუ	„ცოტა“
წურ-წულ	„კვერნა“
წუნ-ი	„რუხი“
ცუუ	„კავი“
ჩალ	„ცხიმიანი“
ჩად-ურ	„კარავი“, „აფრა“,
ჩან	„მორი“

ჩაფუ	„ჩეარი“
ჩარ	„ჯეჯილი“
ჩემ-ელ	„შინდი“
ჩეფ-უმ	„ერთი წლის თხა“
ჩეჭ	„წვრილი თევზი“
ჩიქ-ი	„ჩქარი“, „სწრაფი“
ჩილ	„რუხი“
ჩით	„ჩითი“
ჩულ	„ბადე“
ჩურ-ჩულ	„ხელიკი“
ჩაალ	„ბატკანი“
ჩეუ	„მშვილდი“
ჩემ	„გამდნარი კარაქი, ცხიმი“
ჭალ	„ენა“
ჭან-ა	„ტყუილად“
ჭაყ	„რძის ქურქელი“
ჭარ	„თმა“
ჭათ	„გარეთ“
ქეც	„ლერწამი“
ქეუ	„გოჯი“, „ციდა“
ქემ-ერ	„ისარი“
ქილლ-ი	„თხელი“
ქიმიჩა	„ასკილი“
ქირ	„გადაქრილი მორი“, „სარტყელი“, „ქამარი“
ქურ	„ბალლინჯო“
ქუყ	„ილია“
ქაკ	„ნიჟარა“
ქირ	„ფიწალი“, „ჩანგალი“
ქულ	„ტირიფი“
ქუმ-ურ	„ურმის ხოკი“
ჩუგ	„მესაფლავე“

ჩ ^ო ულ	„შემოდგომა“
ჩ ^ო ჩ ^ო	„უკანალი“
ჩ ^ო ულ	„სიბინძურე“, „ქუქყი“
შად	„სასიხარულო“
შამ	„სანთელი“
შარ	„წყალი“
შიკურ	„დიდება“
შილი	„ვინ?“ (ერგ. ბრ.)
შირ	„ლაქი“
შით	„უმარილო“
შურა	„გვარჯილა“
შუშე	„ბოთლი“, „შუშა“
შაჟ	„ფრჩხილი“
შაღ	„ძნა“
შარ	„მატლი, ჭია“
შიღ	„კვალი“
შირ	„ბაღი, ბაღია“
შაჟვ-ჟრ	„მოზრდილი წიწილა, ყვინჩილა“
შ ^ა ყ	„ქუსლი“
შ ^ე ც	„დათვი“
შ ^ე შ	„ჩალა“
შ ^ე უნ-ჟჟ	„რამდენი?“
შ ^ე ურჟშ	„ფხვიერი ნივთიერების საწყაო ჭურჭელი“
შ ^ე უშ ^ე უმაგ	„ტურა“

მოცემული მაგალითების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციებში მონაწილეობის (ფუნქციონალური დატვირთვის) თვალსაზრისით აქტიური და პასიური ფონემები.

ძირის ერთი (თავკიდური ან ბოლოკიდური) თანხმონის

მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მეორე (თავკიდური ან ბოლოკიდური) თანხმოვნის შეხვედრის ალბათობა. თაბასარანული ენის ფონოლოგიური სისტემის გარკვეული თავისებურებების სტრუქტურული ხასიათის შეზღუდვებით ვლინდება: თუ ვიცით ძირის ერთ-ერთი თანხმოვანი, შეიძლება განვსაზღვროთ, რომელი ფონემა იქნება აკრძალული ძირის მეორე თანხმოვნად. გამონაკლისები, ძირითადად, ნასესხებ სიტყვებში დასტურდება.

CVC ტიპის ძირში არ შეიძლება გვექონდეს ერთი და იმავე რიგის შემდეგი თანხმოვნები (თუ ეს არ იქნება ერთი და იგივე ფონემა, ეს დაშვებულია):

ა) ხშულები:

ბ ფფ ბ

დ თ თთ ტ

გ ქქ კ

ღ ჳ ჰ ყ

ანუ აკრძალულია შემდეგი მოდულები:

ბვფ ფვბ ფავბ პვბ

ბვფა ფვფა ფავფ პვფ

ბვბ ფვბ ფავბ პვფა

დვთ თვდ თავდ ტვდ

დვთა ტვთა თავტ ტვთ

დვტ თვტ თავტ ტვთა

გვქ ქვგ ქავგ კვგ

გვქა ქვქა ქავქ კვქ

გვკ ქვკ ქავკ კვქა

ღვწ ჳვღ ჰვღ ყვღ

ღვჰ ჳვჰ ჰვჳ ყვჳ

ღვჲ ღვჲ ზავჲ ჳვჲ

ბ) აფროკატეზი:

ძ ც ცა წ
ჭ ჩ ჩა ჭ
ჭ° ჩ° ჩა ჭ°

ანუ ძვც ცვძ ცაძ წვძ
ძვცა ცვცა ცავც წვც
ძვწ ცვწ ცაწ წვწ

ჭვჩ ჩვჭ ჩაჭ ჳვჭ
ჭვჩა ჩვჩა ჩაჭ ჩვც
ჭვჭ ჩვჭ ჩაჭ ჳვჩა
ჭ°ვჩ° ჩ°ვჭ° ჩაჭ° ჳ°ვჭ°
ჭ°ვჩა ჩ°ვჩა ჩაჭ° ჳ°ვჩ°
ჭ°ვჭ° ჩ°ვჭ° ჩაჭ° ჳ°ვჩა

გ) სპირანტეზი:

წ ს სა
ჟ შ შა
ჟ° შ° შა
ჭ' ჴ ჴა
ღ | ჴ ჴა

ანუ ჴვს სვწ სავწ
ღვსა სვსა სავს
ჟვშ შვჟ შავჟ

ქვმა შვმა შავშ

ქ^ვშ^შ შ^ვქ^ქ შ^ვქ^ქ
ქ^ვშ^შ შ^ვქ^ქ შ^ვქ^ქ

გ^ვზ^ზ ზ^ვგ^გ
გ^ვზ^ზ ზ^ვგ^გ

ღ^ვხ^ხ ხ^ვღ^ღ
ღ^ვხ^ხ ხ^ვღ^ღ

დ) ძირში აკრძალულია აგრეთვე ერთი რიგის
აფრიკატები და სპირანტები:

ძ	ც	ცა	წ	ზ	ს
ჭ	ჩ	ჩა	ჭ	ჟ	შ
ჭ ^ო	ჩ ^ო	ჩ ^ა	ჭ ^ო	ჟ ^ო	შ ^ო

ანუ ძვც ცვძ ცავძ წვძ ზვძ სვძ
ძვცა ცვცა ცავცა წვცა ზვცა სვცა
ძვწ ცვწ ცავწ წვცა ზვწ სვწ
ძვზ ცვზ ცავზ წვზ ზვწ სვწ
ძვს ცვს ცავს წვს ზვს სვზ

ჯ ^ჩ	ჩ ^ვ ჯ	ჩ ^ა ვჯ	ჭ ^ვ ჯ	ჟ ^ვ ჯ	შ ^ვ ჯ
ჯ ^ჩ ა	ჩ ^ა ვჯ	ჩ ^ა ვჩ	ჭ ^ა ვჩ	ჟ ^ა ვჩ	შ ^ა ვჩ
ჯ ^ჭ	ჩ ^ვ ჭ	ჩ ^ა ვჭ	ჭ ^ა ვჩ	ჟ ^ა ვჩ	შ ^ა ვჩ
ჯ ^ჟ	ჩ ^ვ ჟ	ჩ ^ა ვჟ	ჭ ^ვ ჟ	ჟ ^ვ ჭ	შ ^ვ ჭ
ჯ ^შ	ჩ ^ვ შ	ჩ ^ა ვშ	ჭ ^ვ შ	ჟ ^ვ შ	შ ^ვ ჟ

ჯ⁰ნ⁰ რ⁰ვ⁰ ჩ⁰ვ⁰ ჰ⁰ვ⁰ ტ⁰ვ⁰ შ⁰ვ⁰ შ⁰ვ⁰
 ჯ⁰ნ¹ რ⁰ნ¹ ჩ⁰ნ¹ ჰ⁰ნ¹ ტ⁰ნ¹ შ⁰ნ¹ შ⁰ნ¹
 ჯ⁰ნ² რ⁰ნ² ჩ⁰ნ² ჩ⁰ნ³ ტ⁰ნ³ შ⁰ნ³
 ჯ⁰ნ⁴ რ⁰ნ⁴ ჩ⁰ნ⁴ ტ⁰ნ⁴ ტ⁰ნ⁵ შ⁰ნ⁵
 ჯ⁰ნ⁶ რ⁰ნ⁶ ჩ⁰ნ⁶ შ⁰ნ⁶ შ⁰ნ⁷

ე) უკანაენისმიერი ხშულები და ყ
 ბ ქ ჭ კ ყ

ანუ გყ ქყ ჭყ კყ

ვ) ერთ ძირში არ გვხვდება სისინა და შიშინა აფრიკატები და სპირანტები:

ძ ც ტ წ ზ ს ჯ ჩ ჩა ჰ ტ შ

ანუ ძვჯ ცვჯ ტვჯ წვჯ ზვჯ სვჯ
 ძვჩ ცვჩ ტვჩ წვჩ ზვჩ სვჩ
 ძვნა ცვნა ტვნა წვნა ზვნა სვნა
 ძვჭ ცვჭ ტვჭ წვჭ ზვჭ სვჭ
 ძვშ ცვშ ტვშ წვშ ზვშ სვშ

ჯ⁰ნ⁰ რ⁰ნ⁰ ჩ⁰ნ⁰ ჰ⁰ნ⁰ ტ⁰ნ⁰ შ⁰ნ⁰
 ჯ⁰ნ¹ რ⁰ნ¹ ჩ⁰ნ¹ ჰ⁰ნ¹ ტ⁰ნ¹ შ⁰ნ¹
 ჯ⁰ნ² რ⁰ნ² ჩ⁰ნ² ჰ⁰ნ² ტ⁰ნ² შ⁰ნ²
 ჯ⁰ნ³ რ⁰ნ³ ჩ⁰ნ³ ჰ⁰ნ³ ტ⁰ნ³ შ⁰ნ³
 ჯ⁰ნ⁴ რ⁰ნ⁴ ჩ⁰ნ⁴ ჰ⁰ნ⁴ ტ⁰ნ⁴ შ⁰ნ⁴
 ჯ⁰ნ⁵ რ⁰ნ⁵ ჩ⁰ნ⁵ ჰ⁰ნ⁵ ტ⁰ნ⁵

ზ) ერთ ძირში აკრძალულია ორი იდენტური თუ არაიდენტური სონორი:

1. ორი რ: რ⁰რ

2. ორი ლ: ლლ
3. ორი მ: მმ
4. ორი ნ: ნნ

- ა6
1. რვლ
 2. რვმ
 3. რვნ
 4. ლვრ
 5. ლვმ
 6. ლვნ
 7. მვრ
 8. მვლ
 9. მვნ
 10. ნვრ
 11. ნვლ
 12. ნვმ

თ) ძირში დასაშვებია ერთი მიმდევრობა, მაგრამ დაუშვებელია მეორე: თუ პირველი თანხმოვანი არის ბ, ფ, ჟ, ბ, მაშინ მეორე თანხმოვნად დასაშვებია მ, ჟ, მაგრამ შებრუნებული თანამიმდევრობა არა გვაქვს.

დასაშვებია: ბჟ ჟვ ჟჟ პჟ
 ბმ ჟმ ჟჟმ პმ

დაუშვებელია: ჟვბ ჟვფ ჟვჟ ჟვბ
 მვბ მვფ მვჟ მვბ

ი) თუ პირველი თანხმოვანი აბრუპტივია, მეორე, უმეტესწილად, სონორია, იშვიათად — აბრუპტივიც.

CVC ტიპის ძირთა ფონემატური სტრუქტურის თავისებურებათა შესწავლა განსაკუთრებულ და ღრმა კვლევას მოითხოვს, რის განხორციელებასაც შემდგომში ვვარაუდობთ.

თავი III
მორფონოლოგიის საკითხები
თაბასარანულ ენაში

§ 1. მარცვლისა და სიტყვის სუგმენტური სტრუქტურა
და ფონოტაქტიკური შეზღუდვები ღია მარცვლისათვის
თაბასარანული ენის ტივაქის თქმაში

ძირეული მორფემის სტრუქტურას, როგორც ცნობილია, მარცვლის აგებულების განმსაზღვრელი კანონზომიერებები უდევს საფუძვლად. ენის ფონემური სისტემის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფონემათა დისტრიბუციული შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია ფონემური კომბინაციების შესწავლა არა მხოლოდ ერთმანეთთან უშუალო მეზობლობაში, არამედ დაშორებულ პოზიციებშიც, ძირის ან მთელი სიტყვის ფარგლებში. ერთიან სურათს თაბასარანული ენის დიალექტები და თქმები არ იძლევა. განსაკუთრებულ თავისებურებებს ავლენს ტივაქის თქმა. იგი სხვა მხრივაც გამორჩეულია თქმებისა და დიალექტებისაგან, თუმცა განეკუთვნება ჩრდილო დიალექტს.

ძირთა (სიტყვათა) ფონემატური სტრუქტურის კვლევა, რამდენადაც აქ საქმე ეხება ფონემათა ფუნქციური დატვირთულობის შესწავლას, გულისხმობს ენის ლექსიკური შედგენილობის ანალიზს¹.

თაბასარანულ ენაში დასაშვებია სამი ტიპის მარცვლები:

თანხმ. + ხმოვ.,

თანხმ. + ხმოვ. + თანხმ.,

თანხმ. + ხმოვ. + სონორ. + ხშული.

ასევეა ამ ენის ტივაქის თქმაში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მარცვალი თანხმ. + ხმოვ. უფრო გავრცელებულია. მარცვლის ბოლოკიდურის მეტი ღიაობისა და სონორობისაკენ მიდრეკილება აისახება უნივერსალური ღირებულების მქონე წესში,

¹ Н.С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960, гл. 287, 296-299.

რომელიც ი. კურილოვიჩმა¹ დაადგინა: მარცვლის ბოლოკიდურის კონსონანტიზმი უფრო დარბია, ვიდრე თავკიდურისა. ამ კანონზომიერების გამოხატულებაა ისიც, რომ:

ა) ღია მარცვლები უფრო გავრცელებულია ენებში, ვიდრე დახურული (CV მარცვლის უნივერსალურ სტრუქტურას წარმოადგენს, CVC ტიპის მარცვლები კი ყველა ენაში არ არის დადასტურებული),

ბ) თუ ენაში დახურული მარცვალია დომინანტური, მაშინ ყველაზე ხშირად მარცვლის ბოლოს სონორებს ვხვდებით. ეს დებულება ძირის სტრუქტურაზეც ვრცელდება. თუ ენაში ძირის კანონიერი ფორმაა CVC, მაშინ მის ქვეტიპებს შორის დომინანტურია CVC (ბოლოკიდური სონორით). ამას მოწმობს საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური მასალაც². შესაძლებელია ეს დებულება გავრცელდეს დაღესტნურ ენებზეც.

ძირის სტრუქტურა მარცვლის სტრუქტურასთან არის თანხმობაში. CVC ტიპის სახელური და ზმნური ძირები თაბასარანულში აგებულია ერთი პრინციპით და მეტწილად საზიაროა (ასევეა ქართულშიც³). ი. მელიქიშვილის აზრით, CVC ტიპის ძირის მქონე ყველა ენაში მოქმედებს ტენდენცია, რომ სონორთა გამოვლენის ალბათობა ბოლოკიდურ პოზიციაში შეესაბამება სონორთა რიგს სონორობის ხარისხის თვალსაზრისით (რ—ლ—ნ—მ), ხოლო თავკიდურ პოზიციაში სონორთა ალბათობა შებრუნებულ რიგს ქმნის (მ—ნ—ლ—რ)⁴. აქ არ ვიძლევიტ სტატისტიკურ მონაცემებს ძირში თანხმომთანა განაწილების შესახებ. მაგრამ კანონზომიერებები სახეზეა. სონორთაგან ყველაზე

¹ И. Курилович, Вопросы теории слога, Очерки по лингвистике, М., 1962, გვ. 296.

² ი. მელიქიშვილი, სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონზომიერება და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, 1980, გვ. 59.

³ ი. ქობალაძე, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, 1967, გვ. 183-194.

⁴ ი. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

სონორი რ-ს გამოვლენა ძირში ან აკრძალულია, ან იმდენად შეზღუდულია ბევრ ენაში, რომ მკვლევართა ყურადღებას იქცევს. ასე, მაგალითად, შენიშნულია თავკიდურ პოზიციაში რ-ს არარსებობა მცირე აზიის არაინდოევროპულ ენებში: ხათურში, ხურიტულში, ურარტულში¹. არ გვხვდება რ თავკიდურ პოზიციაში არც ძველ ინდოევროპულ ენებში: ბერძნულში, სომხურში, ხეთურში², ლუვიურში, ლიდურში, იშვიათია ლიკურში³. არ გვხვდება თავკიდური რ არც ბასკურში, სადაც ძირის კანონიკურ ფორმას ასევე დახურული მარცვალი ქმნის⁴ შენიშნულია თავკიდურ პოზიციაში რ-ს შეზღუდულობა ხუნძურ-ანდიურ ენებშიც. აქ ანლაუტში რ გვხვდება მხოლოდ კლასის ნიშნის როლში⁵. ბ. გიგინეიშვილის აზრით, გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული თავკიდური რ-ს რეკონსტრუქცია საერთო-დაღესტნურშიც. ავტორს მოჰყავს სულ ხუთი რეკონსტრუირებული ძირი თავკიდური რ-თი⁶. მისივე აზრით, საერთო დაღესტნურ ფუძეთა კანონიკურ ფორმას დახურული მარცვალი წარმოადგენდა⁷.

თაბასარანულ ენაში თავკიდურ პოზიციაში რ-ს შეზღუდულობა სონორთა განაწილების ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. მარცვლის კანონიკური ფორმაც დახურული მარცვალია, მაგრამ ტივაქის თქმა მეორეულ ვითარებას გვიჩვენებს და ავლენს მიდრეკილებას ღია მარცვლისაკენ, რომელსაც მკაცრი ფონოტაქტიკური შეზღუდვები ედება საფუძვლად.

ძირში კომბინაციური უნარის თვალსაზრისით ხმოვნები

¹ Г. А. Меликишвили, Урартский язык, М., 1964.

² В. В. Иванов, Хеттский язык, М., 1963.

³ W. P. Lehman, The Distribution of Proto-Indo-European /r/ language, V, 27, №1, 1951, გვ. 14.

⁴ რ. ლაფონი, ბასკური ენა. კრებულში: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976, გვ. 25.

⁵ Т. Е. Гудава, Консонантизм алдийских языков, Тб., 1962, გვ. 162.

⁶ Б. К. Гигинишвили, Реконструкция основных силлабических типов именных основ общедагестанского языка, Тезисы докладов конференции по проблемам реконструкции, М., 1978, გვ. 18.

⁷ Б. К. Гигинишвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тб., 1972, გვ. 167.

რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენენ. მათი დისტრიბუცია თავისუფალია და არ არის დამოკიდებული წინამავალ ან მომდევნო თანხმოვანთა განაწილებაზე. გამონაკლისს წარმოადგენს ლაბიალიზებული თანხმოვნები, რომლებთანაც ხმოვანი უ დაუშვებელია, აგრეთვე ფარინგალიზებული თანხმოვნები, რომელთა გვერდით დასაშვებია მხოლოდ ა და უ ფარინგალიზებული ხმოვნები.

მარცვალთა სტრუქტურის შემდეგი განსაზღვრა დაკავშირებულია სიტყვაში მათ პოზიციასთან. სიტყვის ბოლოს აკრძალულია მჟღერი თანხმოვნები, აბრუპტივები და ც ლარინგალი. თუ ფუძე ბოლოვდება რომელიმე ამ თანხმოვანზე, მას ემატება ხმოვანი, რომელიც იმეორებს წინამავალ ხმოვანს. ანალოგიური პროცესი შეინიშნება, როცა ბოლო თანხმოვანი გემინირებულია:

ხუთა-უ „ქლიავი“

დაქა-ა „ხორცი“

ხმოვნის განმეორება ხდება არსებით სახელთა უაფიქსო ფორმებში (ნომინატივი) და ზმნებში (იმპერატივის ფორმებში):

უუ-უ „პირი“

ღურღ-უ „მუშტი“

გუჯ-უ „ადექი!“

ჯაყ-ა „ჩიტი“

ნრტ-ი „დამპალი“

უჭ-უ „შემოდი!“

დარტ-ა „დაჭერი!“

ლი ც -ი „კანი“

უეც „დათვი“

დე ც -ე „იჭეჭი!“

თაბასარანული ენის მახვილის თავისებურებების განხილვის დროს ალ. მაჰომეტოვი ეხება ტივაქის თქმის თავისებურებებს და აღნიშნავს, რომ ამ ენის უმეტესი თქმები რიგ სიტყვებს ერთმარცვლიანად წარმოგვიდგენს, ხოლო ტივაქის თქმა-

ში შესაბამისად წარმოდგენილია ორმარცვლიანი სიტყვები ღია მარცვლით. ანუ ტივაქის თქმაში ამ შემთხვევაში სიტყვა ხმოვან-ფუძიანია, რაც არა გვაქვს სხვა თქმებში. ამასთან, მახვილი ასეთ სიტყვებში ტივაქის თქმაში ეცემა პირველ მარცვალზე:

ძაძა „ეკალი“, „ასკილი“	შდრ. ხანაგ. თქმ.	ძაძ
რაცა „კალო“	"	რაც
კანტა „ბაგე“	შდრ. ხანაგ. თქმ.	კანტ
რავან „გზა“		რავან
ღრზი „წელიწადი“		ღრზ
რრდი „მზე“		რრდ
მწწუ „კუთხე“		მწწ
წწუ „პირი“		წწ
ხუთუ „ქლიავი“	" ხურ (ხუთ-ხივ. თქმ.)	
ღუკუ „ფეტვის ბურღული“		ღუკ
გურდუ „კუნძი“		გურდ
გუნტუ „ძნა“		გუნტ
ჭუყუ „ღუნღულა“		ჭუყ
ჭურდუ „კოშკი“		ჭურდ
წუკუ „ღვეზელი“	წიკ (შდრ. წიკუ) ¹	

მოცემულ შემთხვევაში უმახვილო ხმოვანი სიტყვის ბოლოში ჩვეულებრივ იკარგება², შემონახულია იგი მხოლოდ რიგ თქმებში, მათ შორის ტივაქის თქმაში. ამოსავალი უმახვილო ხმოვნის დაკარგვის ფაქტები სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია იბერიულ-კავკასიურ ენათაგან სხვა ენებშიც. ეს ხმოვანი თაბასარანულ ენაში შემონახულია მხოლოდ რიგ თქმებში,

¹ А. А. Магомедов, Табасаранский язык, гл. 34-35.

² Б. Ханмагомедов, К истории образования эргатива в языках восточно-лезгинской подгруппы. Ученые записки Института истории, языка и литературы, IV, Махачкала, 1958, гл. 307.

არა აქვთ ფუძეში ამოსავლად ხმოვანი და ერგატივში ბრუნვის ნიშნად გააჩნიათ ისეთივე ხმოვანი, რომელიც ტივაქის თქმაში სახელის ფუძეს განეკუთვნებოდა (ან სხვა ნიშნითაა წარმოდგენილი).

ხივ. თქმ. სახ. დუკ „ხორბალი“ შდრ. ტივაქ. თქმ. დუკუ

ერგ. დუკ-უ

დუკუ

ნათ. დუკ-ან

დუკუნ¹

ტივაქის თქმაში ხმოვანი, წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში, სხვა თქმებში აღიქმება როგორც ერგატივის ფლექსია. თავად ერგატივის ფლექსია ასეთ შემთხვევაში დაკარგულია იმის გამო, რომ იგი მოსდევდა მახვილიან მარცვალს, — აღნიშნავს ბ. ხანმაგომედოვი². ბრუნვის ფლექსიის დაკარგვა მახვილიანი მარცვლის მომდევნო პოზიციაში ცნობილია სხვა ენებშიც. ეს საკითხი გადასინჯავს მოითხოვს. შესაძლებელია, სხვა ენათა შემთხვევებშიც მოქმედებდეს მკაცრი ფონოტაქტიკური შეზღუდვა.

ტივაქის თქმაში, როგორც აღვნიშნეთ, წინამავალი ხმოვნის გამეორება ახასიათებს არა მარტო სახელებს, არამედ ზმნებსაც (იმპერატივში) და იგი განპირობებულია მარცვლის ბოლო თანხმოვნით.

ტივაქის თქმაში მარცვლის ბოლოს აბრუბტივები, მკლერები და ლარინგალი ე ბუნებრივია სიტყვის შიგნით (არაბუნებრივია სიტყვის ბოლოში):

კუძმუძი	„ნისკარტი“
გედრეგე	„ბალლინჯო“
ჭაყ-ლი	„ჩიტმა“ (ერგ.)
ლიც -რი	„კანმა“ (ერგ.)

¹ А. А. Магомедов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 110.

² Б. Ханмагомедов, *К истории образования эргатива в языках восточно-лезгинской подгруппы.*

ვუჯუნუზა

„ადგა“

დე წა ცნუზე

„იჭდა“

CVSC სტრუქტურაში მარცვლის ბოლოს თანხმოვანთკომპლექსი შესაძლებელია მხოლოდ სიტყვის ბოლოში:

ქარქა

„ბილიკი“

შინთა

„აკვანი“

მარხ

„წვიმა“

არს

„ვერცხლი“

ჯარქა

„დაბრუნდი!“ (ად. კლ.)

ლიუხ

„იმუშავე!“ (ნივთ. კლ.)

როგორც აღვნიშნეთ, CVSC სტრუქტურაში ხმოვნის შემდეგ ყოველთვის სონორია. ამ სტრუქტურაში სიტყვის შუაში მივიღებდით სამთანხმოვნიან კომპლექსს სონორ.+ ხშ.+ თანხმ. სახით, რასაც ტივაქის თქმა კრძალავს. მისთვის მიუღებელია სამთანხმოვნიანი კომპლექსი, თუნდაც სონორით წარმოდგენილი, ნებისმიერ პოზიციაში, ამიტომ იმ შემთხვევაში, როცა ფუძე ბოლოვდება თანხმოვანთკომპლექსით, ხოლო სუფიქსი იწყება თანხმოვნით, მათ შორის ჩაისმის ვიწრო ხმოვანი (მისი აღწერა რეგულარული წესებით შეუძლებელია):

ჯარქა-უ-ნუზა „ბრუნდებოდა“

ლიუხ-უ-ნუზა „ვმუშაობდი“ (ნივთ.კლ.) (მდრ.ლიხნუზა (ად. კლ.)

მარხ-უ-იი „წვიმამ“ (ერგ.)

შინთა-ი-იი „აკვანმა“ (ერგ.)

აღნიშნული დისტრიბუციული შეზღუდვის მოქმედება ვლინდება კიდევ ერთ შემთხვევაში: უმახვილო ხმოვანი სუსტ პოზიციაში არ ვარდება, თუ ეს გამოიწვევს სამთანხმოვნიანი მეორეული კომპლექსის წარმოქმნას (ძირეული სამთანხმოვნიანი კომპლექსი არ არსებობს თაბასარანულ ენაში).

ორმარცვლიანი ძირებიდან ფორმათწარმოების დროს ფუ-

ძის მეორე ხმოვანი კარგავს მახვილს და აღმოჩნდება სუსტ პოზიციაში (მახვილის წინა, შუა). ვარდება ისეთი ხმოვნები, რომელთა დაკარგვის დროსაც წარმოიქმნება დასაშვები (ორწევრა) თანხმოვანთკომპლექსი:

	სახელობითი	ერგატივი	მრ. რ.
„მკერდი“	მუხბურ	მუხბო	მუხბარ
„სახსარი“	დჷჷჷ უ	დჷჷჷო	დჷჷჷურ
„სისხლი“	იჷრ	იჷმი (<იჷმირ)	იჷმარ (<იჷმარ)
„მოშუშული ფქვილი“	კჷურჷწ-უ	კჷურწი	_____

ხმოვანი შენარჩუნებულია იმ შემთხვევაში, თუ მისი ამოვარდნა გამოიწვევდა აკრძალული სამთანხმოვნიანი კომპლექსის წარმოქმნას, ამასთან ა და ე ხმოვნები ვიწროვდება (ა → უ, ე → ჯ, ან ე → ი), რაც დამახასიათებელია ორსაფეხურიანი ვოკალური სისტემისათვის.

	სახელობითი	ერგატივი	მრ. რ.
„წარბი“	ურჷჷჷმ	ურჷჷჷმირ	ურჷჷჷმარ
„წამწამი“	ფჷისფჷის	ფჷისფჷისრ	ფჷისფჷისარ
„ლოყა“	ღარწალ	ღარწულორ	ღარწულარ
„ბაღლინჯო“	გედრჷგე	გედრჷგეირ	გედრჷგეარ
„ჩექმა“	ჩჷეჷჷმჷ	ჩჷეჷჷმჷმირ	ჩჷეჷჷმჷმარ

ტივაქის თქმაში შეინიშნება რიგ თანხმოვანთა, ძირითადად სპირანტთა, გამჟღერება¹. მაგრამ, რადგანაც მარცვლის ბოლოს მჟღერი აკრძალულია, აქაც განმეორებული იქნება წინამავალი ხმოვანი სინჰარმონიზმით. მაგ.:

¹ A. A. Магомстов, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

ტივაქ. თქმ. **დიზ-ი** „წელიწადი“

შდრ. ხივ. თქმ. **დის**

ხანაგ. თქმ. **დისა**

შდრ. აგრეთვე აღ. ენ. **ის**

ლუზგ. ენ. **დის**

დარგ. ენ. **დუს** „წელიწადი“

ტივაქ. თქმ. **დიჟ-ი** „ღამე“

შდრ. ხანაგ. თქმ. **დიჟ**

ხივ. თქმ. **დიჟ**

შდრ. აგრეთვე აღ. ენ. **ჟიჟ**

ლუზგ. ენ. **დიჟ** „ღამე“

ტივაქ. თქმ. **ჟიჟ-უ** „პირი“

შდრ. ხივ. თქმ. **ჟიჟ**

საინტერესოა, რატომ ახდენს სიტყვის ბოლო პოზიციაში თანხმონის გამჟღერებას ტივაქის თქმა, როცა მისთვის მიუღებელია მჟღერი თანხმონი მარცვლის ბოლოს და თავიდან იცილებს მას ხმონის გამოვლით — მიდრეკილებით ღია მარცვლისაკენ? სხვა თქმებში ხომ სწორედ ამოსავალი ვითარებაა მოცემულ შემთხვევაში შენარჩუნებული.

§ 2. ერგატივის ნიშანთა გამოყენების კანონზომიერებანი თაბასარანულ ენაში

თაბასარანულ ენაში ისევე, როგორც სხვა დაღესტნურ ენებში, ყურადღებას იქცევს ბრუნების სისტემაში ფორმანტთა სიმრავლე ერთი და იმავე ბრუნვის ფუნქციით. თაბასარანულში ეს ეხება ერგატივს, სხვა ენებში ერგატივთან ერთად — ნათესაობითსაც. ამ ნიშანთა ფონეტიკური ცვლილებები და მორფოლოგიური კანონზომიერებანი სრულად არ არის შესწავლილი. არც სინტაქსშია ყველაფერი ნათელი. ბრუნვათა ფუნქციები განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

დაღესტნურ ენათა ბრუნების სისტემების მრავალფეროვ-

ნება და ფორმანტთა სიმრავლე არის რთული ენობრივი მოვლენა. ერთ ენაში შესაძლებელია თანაარსებობდეს სხვადასხვა ფორმაციის ბრუნების სისტემა და ფორმანტთა რაოდენობაც არაა თანაბარი.

ბრუნების სისტემები დაღესტნურ ენებში ქმნის ორ ჯგუფს: ერთფუძიანი ბრუნების სისტემა და ორფუძიანი ბრუნების სისტემა. ორფუძიან დეკლინაციურ სისტემაში გ. თოფურია განარჩევს სამი ტიპის სისტემას: I. დიფუზურ ბრუნებას, II. ერგატივზე ან გენიტივზე დაფუძნებულ ბრუნებას და III. ჩანართებიან ბრუნებას.

ბრუნებათა ფორმანტები შეიცავენ **დ, რ, ნ, მ, ბ** ელემენტებს (აგრეთვე ფონეტიკურ ვარიანტებს **თ, ჯ, ზ, მ...**). ისინი კვალიფიციკრებულია როგორც ძველი გრამატიკული კლასის ექსპონენტები, რომლებიც მოწმობენ კლასოვანი ბრუნების არსებობას ძველად¹.

თაბასარანულ ენაში, ფორმანტთა სიმრავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ერგატივი, მას მოეპოვება -CV სტრუქტურის ფორმანტები მონოოკალურ სუფიქსთან ერთად. ამ თავისებურებით თაბასარანული და ზოგადად ლეზგიური ენები შესამჩნევ მსგავსებას ავლენენ დიდოურ ენებთან².

-დი (თაბ., ლეზგ., აღ.); შდრ. **-დე, -თე** (არჩ.), **-დო** (დიდ., კაპუქ. ხვარშ.)

-რი (თაბ., აღ., არჩ.), **-რუ** (თაბ.); შდრ. **-რა** (ლეზ., აღ), **-რე** (ლეზ.), **-რო** (არჩ., დიდ.)

-ლუ (თაბ.); შდრ. **-ლა** (აღ., კაპუქ., ხვარშ.), **-ლე** (არჩ.), **-ლი** (თაბ., არჩ.), **-ლო** (ხვარშ.)

-ნი (თაბ., აღ., არჩ.); შდრ. **-ნა** (აღ.), **-ნე** (არჩ.), **-ნო** (დიდ., ხვარშ.)

¹ Г. Топуриа, Морфология склонения в дагестанских языках, Тбилиси, 1995, გვ. 158.

² იქვე, გვ. 14.

-**მ** (თაბ., ალ); შდრ. -**მა** (კაპუქ., ხვარშ.), -**მო** (დიდ., ხვარშ.)

-**ბ**უ (თაბ.)¹; შდრ. -**ბა** (კაპუქ.)

მონოვოკალური სტრუქტურის მქონე ერგატივის ნიშანი თაბასარანულში გვაქვს ორი: **უ** და **ო** მხოლოდით რიცხვში და **ი** — მრ. რ.-ში უნიფიცირებული სახით.

-V სტრუქტურის ფორმანტი შეიძლება გვქონდეს რამდენიმე შემთხვევაში — აღნიშნავს გ. თოფური²:

1. ერგატივ-ნათესაობით-მოქმედებითი ბრუნვის საერთო ფორმის ნიშანი (ხინალ.).

2. ერგატივისა და ერგატივისაგან ნაწარმოები ბრუნვების ნიშანი (თაბა-სარანული ამ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ — ც. ბ.).

3. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ნანათესაობითარ ბრუნვებში (კრიწ., ბულუხ.)...

ერგატივის მონოვოკალური სუფიქსი **ი** თაბასარანულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია. იგი გამოიყენება სონორზე დაბოლოებულ სახელებში, უმეტეს შემთხვევაში — ერთმარცვლიან სიტყვებში³ მონოვოკალური სუფიქსების **ი-სა** და **უ-ს** გამოყენება სონორზე დაბოლოებულ ფუძეებში განპირობებული უნდა იყოს ფონოტაქტიკით. ერგატივის -CV სტრუქტურის მქონე ნიშნის გამოყენების შემთხვევაში (-CV სტრუქტურის ერგატივის ნიშნები შეიცავენ სონორებს **ნ, ლ, რ, მ**) მორფემათა მიჯნაზე თავს მოიყრიდა ორი სონორი — იდენტური თუ არაი-დენტური, რაც თაბასარანული ენის ბუნებით აკრძალულია და ენა მას თავიდან იცილებს მონოვოკალური სუფიქსის გამოყენე-

¹ ბ ელემენტი დამახასიათებელია მხოლოდ დიდოური ენების სისტემებისათვის. ლეზგიური ენებიდან იგი მხოლოდ თაბასარანულშია გამოვლენილი და ისიც ერთ სიტყვაში: გუქ „შიში“ — ერგ. გუქბუ — აღნიშნავს ალ. მაჭომეტოვი დასახელებულ ნაშრომში, გვ. 111.

² Г. Топуриа, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

³ А. А. Магомстов, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

ბით. სუფიქსები — **ო** და **უ** -CV სტრუქტურის მქონე სუფიქს-
თა შემადგენელი ნაწილებია:

-**ო** (შდრ. -**დი**, -**რი**, -**მი**, -**ჯი**, -**ჩი**, -**თი**)

-**უ** (შდრ. -**რუ**, -**ნუ**)

შესაძლებელია, ეს სუფიქსები -CV სტრუქტურის მქონე სუფიქსთა გამარტივებით იყოს მიღებული და ეს გამარტივებაც გამოწვეული უნდა იყოს სწორედ ფონოტაქტიკური შეზღუდვების აუცილებლობით ენაში. რაც შეეხება -**ო**-ს, იგი გაცილებით მეტ სუფიქსშია, ვიდრე -**უ**, მისი გამოყენების არეც გაცილებით ვრცელია, შესაბამისად, ვიდრე **უ**-სი. მრავლობით რიცხვში ერგატის ნიშნის უნიფიკაციისათვისაც სწორედ -**ო** იქნა გამოყენებული, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მხ. რ.

მრ. რ.

სახ. **ულ** „თვალი“

ულ-არ

ერგ. **ულ-ო**

ულ-არ-ო

მიც. **ულ-ო-წ|ს**

ულ-არ-ო-წ|ს

ნათ. **ულ-ო-ნ**

ულ-არ-ო-ნ

ერგატის სუფიქსის — **ო**-ს ნაცვლად (მაგ. ხივის თქმა-ში) შესაძლებელია სხვა თქმაში გვქონდეს -**დი** სუფიქსი; მაგალითად, ტივაქის თქმაში: „**ღუნ** „მხარი“, **ჭულ** „სარტყელი“, **ჯულ** „ხელმოწერა“, **ჭარ** „ხე“, „ტყე“, **ნარ** „ბროწეული“, — აღნიშნავს ალ. მაჭომეტოვი¹. -**ო**-ს ჩანაცვლება -**დი**-თი შესაძლებელია, რადგან ამ სუფიქსში თანხმონითი ელემენტი არაა სონორი, ხოლო მორფმათა მიჯნაზე მეორეული ორწევრა სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი მისაღებია ენისთვის, სონორი იქნება ფუძისეული, ხოლო ხშული — ბრუნვისინიშნისეული.

ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში ერგატის სამხრულ დიალექტში ფორმდება -**ო** სუფიქსით, ხოლო ჩრდილო დიალექტში — -**უ** სუფიქსით: **ღულ** „აული“, **ჩილ** „ბატკანი“, **ყულ** „და-

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

ფა“, გ‘არ „ნაქუქი“, ჯურ „შარდი“, ჩურ „სახელი“...¹ აღნიშნულ ენაში რაიმე კანონზომიერება ამ მონაცვლეობის ასახსნელად არ ვლინდება, გარდა ერთი თავისებურებისა: თუ ერგატივი -უ სუფიქსითაა ნაწარმოები, მიც.-სა და ნათ.-ში იგი -ა-ში გადადის. ასე რომ, უ—ა მონაცვლეობა გვაქვს, ხოლო უ—ი — არა.

ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში -ი ერგატივის ნიშნის გამოყენება იწვევს რედუქციას, რომლის დროსაც დასაშვები მეორეული ორწევრა ან სამწევრა სონორის შემცველი თანხმოვან-თკომპლექსები მიიღება:

სახ. ხუტილ „მინდორი“ ნეჭბერ „გლეხი“

ერგ. ხუტლ-ი ნეჭბრ-ი

რედუქციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა მის შედეგად ორი არაიდენტური სონორი იყრის თავს, ოღონდ ეს სონორები ფუძისეულია და არა მორფემისეული:

სახ. ტურინ „ბაწარი“

ერგ. ტურნ-ი

რედუქცია დასაშვებია ნასესხებ სიტყვებშიც:

სახ. ხაბარ „ცნობები“, „ამბები“, ასტაქან „ჭიქა“

ერგ. ხაბრ-ი ასტაქნ-ი

(მეორე მაგალითში მოქმედებს ანლაუტში ძირეული თანხმოვან-თკომპლექსის აკრძალვის პრინციპი, რის გამოც მას წინ ხმოვანი ერთვის და ეს ხმოვანი სინჰარმონიზმით იქნება განპირობებული).

სამხრულ დიალექტში რედუქციის ძალა დიდია (ლეზგიურთან ახლოსაა ეს დიალექტი). ერთმარცვლიან სიტყვებშიც რედუქცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ CVC სტრუქტურის მქონე სახელის ფუძეები პირველი C სისინა აფრიკატია ან რომელიმე რიგის სპირანტი, ხოლო მეორე C — სონორი. რედუქციის შედეგად მივიღებთ CS თანხმოვანთკომპლექსს, რომელიც ანლაუტში ბუნებრივია:

სახ. სილ „ღორი“, ხილ „ხელი“, ცალ „კედელი“

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

ჩრდილო დიალექტში რედუქცია არ მოხდება.

პ. უსლარი თაბასარანულ ენაში ერგატივის ფლექსიის სიმრავლეს მიუთითებს¹. ლ. ჟირკოვი უსლარის მიერ დასახელებულ ნიშნებს უმატებს -**ჲო** ფორმანტს². ჟირკოვი სამხრულ დიალექტს იკვლევდა, უსლარი კი — ჩრდილო დიალექტს. ბ. ხანმაგომედოვი ავსებს მათ ჩამონათვალს დიალექტური ვარიანტებით. იგი ერგატივის სუფიქსად გამოყოფს -**ლუ**-ს სიტყვებში: **მიკ-ლუ** (მიკ „ქარი“), **გაშ-ლუ** (გაშ „შიშშილი“), **აჭ-ლუ** (აჭ „სიცივე“) — ამათგან ბოლო ორი, ბ. ხანმაგომედოვის აზრით, მიზეზის ზმნიზედებად იქცნენ³.

ერთი რამ უდაოა, თაბასარანულში ერგატივის მაწარმოებელ ნიშანთა სიმრავლე გვაქვს. ამ ნიშანთა წარმოშობა ნათელია, ოღონდ სირთულეს ქმნის გამოყენების კანონზომიერებათა დადგენა. ალ. მაჰომეტოვი⁴ აღნიშნავს, რომ გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა დიალექტების ან თქმების მიხედვით სხვადასხვა სუფიქსს გამოიყენებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ნიშნით გაათორმებს. ანალოგიურ ვითარებას აღნიშნავს პ. უსლარი ლეზგიური ენისათვისაც. იგი წერს: ერგატივის (მისთვის творительный) წარმოება უკიდურესად აღრეულია და ძნელად თუ მოიპოვება რაიმე კანონზომიერება⁵.

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ ეს კანონზომიერებანი არსებობს და ისინი ფონოტაქტიკითაა შეპირობებული.

თაბასარანულ ენაში ერგატივის ერთ-ერთი გავრცელებული სუფიქსია -**ჲო**. იგი ერგატივის ფუძეს აფორმებს მხოლოდ

¹ П. К. Услар, Табасаранский язык, §13, გვ. 66.

² Л. И. Жирков, Табасаранский язык, გვ. 64.

³ Б. Ханмагомедов, К истории образования эргатива в языках восточно-лезгинской подгруппы, Ученые записки Института ИЯЛ им. Г. Цадаса, IV, Махачкала, 1958, გვ. 310.

⁴ А. А. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

⁵ П. К. Услар, Кюринский язык, § 26, გვ. 28, 19.

ხმოვანფუძიან სახელებში:

სახ.	ერგ.
მუჯრი „წვერი“	მუჯრი-მი (შღრ. გუმის თქმა მიჯრი-რი)
ჯიდა „ხიშტი“	ჯიდა-მი
ადახლუ „დასანიშნი“	ადახლუ-მი
ბეცლი „ბალი“	ბეცლი-მი
უსტა „ოსტატი“	უსტა-მი
კამანდა „კომანდა“	კამანდა-მი
რუჩკა „ავტოკალამი“	რუჩკა-მი ¹

თანხმოვანფუძიან სახელებთან -მი ფორმანტი მორფემა-თა მიჯნაზე დაუსვებელ კომპლექსს შექმნიდა, ამიტომ იგი ამ სახელებთან არ გვხვდება. ზემოთ ჩამოთვლილი ხმოვანფუძიანი სახელები ნასესხებია ენაში. ღია მარცვალი სახელის ფუძეში თაბასარანულ ენაში უფრო ხშირად ტივაქის თქმას ახასიათებს (იხ. ზემოთ). ამ თქმაში -მი სუფიქსი ყველაზე ხშირად გამოიყენება. დანარჩენ თქმებში ხმოვანფუძიანი ძირითადად ნასესხები სახელებია:

სახ. კელლე „ქალა“	აჟდაჰა „დრაკონი“
ერგ. კელლე-მი	აჟდაჰა-მი
მიც. კელლე-მი-ზ ს	აჟდაჰა-მი-ზ ს
ნათ. კელლე-მი-ნ	აჟდაჰა-მი-ნ

ტივაქის თქმაში -მი მარტივდება და რიგ შემთხვევებში -მ გვაქვს გამოყენებული, თუ სახელის ფუძე -ი-ზე ან -ე-ზე ბოლოვდება². მიც.-სა და ნათ.-ში კი ეს -მ-ც იკარგება:

სახ. თეფე	შღრ. ხიც. თქმ. თეფე
ერგ. თეფე-მ	თეფე-მი
მიც. თეფე-ს	თეფე-მი-ზ
ნათ. თეფე-ნ	თეფე-მი-ნ

ამგვარ მაგალითებში მიც.-სა და ნათ.-ში -მ-ს დაკარგვა

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

² იქვე, გვ. 103-104.

განპირობებულია იმით, რომ -**ჰ** უშუალოდ თანხმოვანს არასოდეს მიერთვის. ამ ბრუნვათა ნიშნები კი თანხმოვნებია, ე. ი. ერგატევიში -**ჰი** ნიშნის გამარტივების შემდეგ მისი სრული დაკარგვა მიც.-სა და ნათ.-ში ფონოტაქტიკური შეზღუდვაა.

-**დი** სუფიქსი (აფრიკატიზაციით -**ჯი**) ფართოდაა გამოყენებული თაბასარანულ ენაში თანხმოვანფუძიან სახელებთან¹. მორფემათა მიჯნაზე დაშვებულია მეორეული თანხმოვანტომპლექსი, ამიტომ იგი თავისუფლად მიერთვის ნებისმიერ თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელს, გარდა **დ, ტ, თ, თა** თანხმოვნებისა. მაგ., ხივ. თქმ.: შიდ „წყალი“, ერგ. ბრ. შოუ (< შდ-უ < შიდ-უ).

სუფიქსი -**დი** პროდუქტიულია ახალ ნასესხობებშიც:

ბანკ „ბანკი“	ბანკ-დი
ჩილან „წვერი“	ჩილან-დი
ჭაგუნ „ვაგონი“	ჭაგუნ-დი

ერგატიული ბრუნვის სუფიქსები -**რი**, -**ნი**, -**ლი** ზემოთ განხილულ სუფიქსებთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. ეს სუფიქსები გამოიყენება თანხმოვანფუძიან სახელებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელები სონორზე არ იქნება დაბოლოებული:

- რი :	ლეკ	„ფეხი“	ლეკ-რი
	კარჩ	„რქა“	კარჩ-რი
	ყამყ	„მუხლი“	ყამყ-რი
	მაც	„ტვინი“	მაც-რი

თუ სახელი იქნება სონორზე დაბოლოებული, იგი არ უნდა იყოს ბრუნვისნიშნისეული სონორის იდენტური. ასეთი მაგალითები იშვიათია:

ხამ „ტყავი“ **ხამ-რი**

აღვნიშნეთ, რომ -**რი**, -**ნი**, -**ლი** სუფიქსები თანხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება. ალ. მაჰომეტოვის აზრით, ამ წესს არღვევს მხოლოდ ტივაქის თქმა, სადაც ეს სუფიქსები ხმოვან-

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

ფუძიან სახელებთანაცაა გამოყენებული¹:

შარკა „ჩლიქი“

შარკ-ლი

ჭაძა „მთვარე“

ჭაძ-ლი

ჯაყა „ჩიტი“

ჯაყ-ლი

ამასთანავე, ფუძისეული ხმოვანი ერგატივში რედუცირდება. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **-რი**, **-ნი**, **-ლი** სუფიქსები თანხმოვანფუძიან სახელებთან გამოყენებული სუფიქსებია. ზემოთ (§ I-ში) ვისაუბრეთ ტივაქის თქმის მარცვლის თავისებურებაზე და აღვნიშნეთ, რომ მსგავს ფუძეებში ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვანი, რომელიც წინა ხმოვანს იმეორებს, მეორეულია და ეს ფუძეები თანხმოვანზე უნდა ყოფილიყო დაბოლოებული. ტივაქის თქმა ბოლოკიდურ პოზიციაში რიგ თანხმოვნებს ვერ იგუებს და ღია მარცვალს წარმოქმნის წინამავალი ხმოვნის განმეორებით. ეს ვითარება მეორეულია, ამოსავალი ვითარება სხვა თქმებმა შემოგვიანახეს. ამიტომ ბრუნების დროს ეს სახელები გაიგება როგორც თანხმოვანფუძიანი სახელები, როგორც ეს სხვა თქმებში გვაქვს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა ერგატივში მოხდებოდა ყველგან, სხვა ხმოვანფუძიან სახელებშიც.

ესა თუ ის სუფიქსი შესაძლებელია შეზღუდული იყოს გამოყენების თვალსაზრისით, აგრეთვე დიალექტების მიხედვითაც. მაგალითად, **-ლი** გამოიყენება უფრო სამხრულ დიალექტში, ჩრდილო დიალექტში მის ნაცვლად გვექნება **-უ**, **-რუ**, **-ჟი**. ამგვარი გარჩევა ახსნას მოითხოვს.

-რუ და **-ნუ** სუფიქსები ნაკლებპროდუქტიული სუფიქსებია ენაში. ისინი მიერთვის თანხმოვანფუძიან სახელებს, თუ ეს თანხმოვანი სონორი არ არის.

ამრიგად, ერგატივის ნიშანთა გამოყენებას გარკვეული კანონზომიერებანი გააჩნია თაბასარანულ ენაში.

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

§ 3. ზმნის ძირი და ფუძე

ზმნური ძირი ზმნური ფუძის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და ფუძის აგებასა და ფორმირებაში მთავარ როლს ასრულებს. ზმნურ მნიშვნელობათა გამოხატვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ძირი, რომლითაც განისაზღვრება ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა. თუმცა, თაბასარანულ ენაში ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრაში ძირის გარდა მონაწილეობს მრავალი აფიქსი.

ზმნის ძირები თაბასარანულ ენაში, ისევე როგორც ზმნის ძირები სხვა დალესტურ ენებში¹, იყოფა ორ ჯგუფად: თავისუფალი და დაკავშირებული ძირები. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც აბსოლუტურად თავისუფალი ძირები, ე. ი. ისეთი ძირები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებლად, რაიმე მორფემის გარეშე თაბასარანულ ენაში გვხვდება ძალიან იშვიათად.

თავისუფალია ძირები, რომლებიც არ დაირთავენ პრეფიქსებს (პრევერბებს), ინფიქსებსა და სუფიქსებს, აგრეთვე არ განიცდიან შინაგან ფლექსიას. ისინი აწარმოებენ სუფთა ფუძეს. თავისუფალია, მაგალითად, შემდეგი ზმნური ფუძეების ძირები:

აგ-უზ	„ძებნა“
ახ-უზ	„ძილი“
აღვ-უზ	„სიცილი“
ბაღვ-უზ	„გალიმება“
იშ-უზ	„ტირილი“
აიჟ-უზ	„ცემა“
ლიგ-უზ	„ცქერა“
ფ-უზ (კ-უზ)	„ლაპარაკი“ და სხვ.

დაკავშირებული ძირები არასოდეს გვხვდება წმინდა ფუძით, რადგანაც ისინი ყოველთვის გამოიყენება რომელიმე აფიქსის შერწყმით. თაბასარანულ ენაში ზმნური ფუძეების უმეტესი ნაწილი სწორედ დაკავშირებული ძირებითაა წარმოდგენილი:

¹ იხ. Хайдаков С. М., Очерки по лакской диалектологии, М., 1966, გვ. 183-188; მისივე Система глагола в дагестанских языках, М., 1975, გვ. 251-258.

აბლ-უზ	„გაყინვა“
აბგ-უზ	„გათბობა“
აბკ-უზ	„გორვა“
აბს-უზ	„ჩარჭობა“, „ჩაცემა“
აბშ-უზ	„ჩაფლობა“
აბშ-ჟზ	„დასვრა“
ჰარხ-უზ	„დავიწყება“
ქებხ-უზ	„ჩამოკიდება“
იბხ-უზ	„ჩაშვება რაღაცაში“
ილიბხ-უზ	„ჩამოკიდება რაღაცაზე“
რაბჭ-უზ	„ღმუილი“, „ბღავილი“
ქფიჟ-უზ	„შერევა“
რაბჭ-უზ	„ბრწყინვა“
უბლ'-უზ	„მტერევა“
უბხ'-უზ	„დაცვა“
უბჩ'-უზ	„ცემა“
ჭაბკ-უზ	„დაწოლა“ (ზეწოლა)
ჭუბხ-უზ	„დაქნობა“

უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო თაბასარანულ ენაში შეინიშნება ზმნის ძირისა და მისგან ნაწარმოებ ფორმათა შორის კავშირის სხვადასხვა ხარისხი. დაკავშირებული ძირების მქონე ზმნებში ასეთი დამოკიდებულება მინიმალურია, ზოგჯერ — ნულის ტოლიც. ასეთ ზმნებში ძირები ასრულებენ შემაკავშირებელ როლს იმ კომპონენტებთან (კლასის ნიშნებთან), რომლებთანაც იგი არის დაკავშირებული. მორფემათა ეს კავშირი არის სწორედ ფუძე, რომელიც ასრულებს სიტყვათმწარმოებელ ფუნქციას. ძირები: აგ, აღ, აკ, ას, აზ, აჩ და ა. შ. აუცილებელი აფიქსებით გაფორმების გარეშე დატლილია ლექსიკური მნიშვნელობის გაგებისაგან, არაფერს აღნიშნავენ. განვიხილოთ ტაბულა:

ძირები ა-ა-ს

ძირები უ-უ-ს

ძირები ე-ი-ს

შერწყმით	შერწყმით	შერწყმით
აბ, აგ	აბ, აბ'	ებ, იბ
აღ, ად'	აბ, აბ, აგგ	ებ, იღ
აღ, აფ	აღ, აღ'	ებ, იღ
აქ, აყ'	აწ, აწ'	ებქ, იწ
აყ, აწ'	აძ, აძ'	ებქ, იწ'
აკ, ას	აქ, აქ, აყ	ებქ, იყ
ას, ათ	აზ, აზ' (ყ)	ებ, იფ
ატ, ატ	აქ, ას	ებ, იბ
ან, ან	ათ, ატ	ებ, ის
ან, ან	აზ (ვ), აზ'	ებ, ით
აც, აწ	აზხ, აზ	ებ, იტ
აც, აჩ	აზ, აზ	ებ, იბ
აშ, აშ	აულხ	აც, ივ
	აზ, აზ	ებ, იტ
	ატ, აჩ, აჩ	
	აც, აქ'	
	აწ, აშ	
	აშ, აშ	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ენაში წარმოდგენილია ზმნური ძირები, რომელთა ფონოლოგიური მოდელია ხმოვანი + თანხმოვანი (VC), მაგრამ მოცემულ ფორმაში მათ არა აქვთ სემანტიკური მნიშვნელობა. განსაზღვრული ლექსიკური აზრის მისაცემად აუცილებელია ინფიქსად კლასის ნიშნის ჩართვა:

- ა-ბ-გ-უზ „გათბობა“
- ა-ბ-ქ-უზ „გორება“
- ა-ბ-ს-უზ „წაცხება, წასმა“ „გასვრა, გათხვრა“
- ა-ბ-ღ-უზ „გაყინვა“

ა-ბ-ს-უზ „შერქობა“, „შესობა“
ა-ბ-ჩ-უზ „შეკერვა, ქსოვა“
ა-რ-ხ-უზ „წმენდა“, „ზელა“, „ხეხვა“, „სრესა“, „ფხეკა“

ამავე ძირებიდან ადგილობითი მნიშვნელობის მქონე პრეფიქსთა დახმარებით შეიძლება ვაწარმოოთ რიგი ზმნები ახალი ლექსიკური მნიშვნელობით. სიტყვათმწარმოებელი მორფემის ფუნქციით თაბასარანული ენის ზმნურ ფუძეებში გვხვდება შემდეგი ზმნისწინები **ც**, **ჰ-(ხ-)**, **ქ**-, **ც**-, **ქა**-, **ღ**-, **ღა**-. მაგალითად:

ა) წართქმითი მნიშვნელობის მქონე ზმნები ბ) უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზმნები

ც-ა-ბ-ს-უზ	„შერქობა, შესობა, ჩასმა რაღაცაში“	—	აღა-ბ-ს-უზ
ჰ-ა-ბ-ს-უზ	„დახურვა წინიდან“	—	ჰ-აღა-ბ-ს-უზ
ქ-ა-ბ-ს-უზ	„მიერთება გვერდიდან, შეწყვილება“	—	ქ-თა-ბ-ს-უზ
ც-ა-ბ-ს-უზ	„მიხურვა უკანიდან“	—	ც-თა-ბ-ს-უზ
ქა-ა-ბ-ს-უზ	„გამარჯვება“	—	ქა-აღა-ბ-ს-უზ
ღ-ა-ბ-ს-უზ	„რაღაცის შუა ჩაქედვა“	—	ღ-აღა-ბ-ს-უზ
აღ-ა-ბ-ს-უზ	„ზემოდან დახურვა“	—	აღ-აღა-ბ-ს-უზ

თაბასარანულში გვხვდება ომონიმური ზმნური ფუძეები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა მახვილით განირჩევა. ზმნური ძირი განსხვავებული მნიშვნელობისა აქვთ და სხვადასხვა დაკავშირებულ ზმნურ ბუდეებში აღმოჩნდება. ასეთი ზმნებია:

აბსუზ	„წასმა, შეთეთრება“	—	აბსუზ	„შერქობა“
აპუზ	„კეთება“	—	აპუზ	„შენობაში შეყვანა“
აბგუზ	„პოვნა“	—	აბგუზ	„გათბობა“
აბშუზ	„დასვრა“	—	აბშუზ	„დაკმუქნა“
აბტუზ	„მოწყინება“	—	აბტუზ	„ორმოს“

ამოცემა“

ურდუ „სვლა (წვიმის)“ — **არდუ** „დახამხამება“

თაბასარანული ენის ზმნურ ფუძეში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი და ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია მისი ძირი. ზმნის ძირის მორფოლოგიური სტრუქტურა „სუფთა“ სახით ვლინდება ბრძანებითი კილოს ფორმებში მხოლოდობით რიცხვში. ზოგიერთ ზმნას ბრძანებითი კილოს ფორმებიც ეწარმოება სხვადასხვა აფიქსით. გარდა ამისა, ენის ზოგიერთი თავისებურება ართულებს თაბასარანული ენის ზმნის ძირის განსაზღვრას. ლ. ჟირკოვს ასეთ თავისებურებად მიაჩნია სინჰარმონიზმი (ზმნები, რომელთაც ფუძეში აქვთ **ა**, **ჟ** ფონემები). ზმნის ინფინიტივის ფორმებში იღებენ ამ ფორმის დაბოლოების **უზ**-ის რბილ ვარიანტს: **-უზ**, **აზ**: **რაზ**-**უზ** „ხედვა“, **ლაზ** „სვლა“ და ა. შ.

ზმნის ძირის განსაზღვრისათვის აუცილებელია გამოიყოს მიზნობრივი ფორმის ან მასდარის სუფიქსები წინმდგომი მორფემებისაგან, რომელიც არსებითად არის ზმნის ძირი (პრევერბებისა და კლასის ნიშნების გარეშე):

- აპ-უზ** „შეყვანა“
- ახ-უზ** „ძილი“
- იშ-უზ** „ტირილი“
- აგ-უზ** „ძებნა“
- იპ(ტ)-უზ** „ჭამა“

ინფინიტივის ფორმებიდან ადვილია ზმნის ძირის მიღება ინფინიტივის სუფიქსების ჩამოცილებით:

- ლიხ-უზ** „მუშაობა“ **ლიხ!**
- ბიხ-უზ** „დაჭერა“, „აღება“ **ბიხ!**
- დიფ-უზ** „გადაგდება“ **დიფ!**
- აპ-უზ** „კეთება“ **აპ!**

დადესტნურ ენათა ზმნური ფუძეების ანალიზი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მათში ძირეულ ელემენტად უფრო ხში-

რად ვლინდება ერთი თანხმოვანი¹.

თაბასარანულ ენაში ზმნის ძირის უმარტივესი ტიპია ერთთანხმოვნიანი ძირი:

ღ'-უზ „მოსვლა“ (ღ-არ-, ღ-აღნუ, ღ'-ურუ, ღ'-აღ'-უზ) „სვლა“
ბ-უზ „მოტანა“ (ღა-ბ-უზ, ღააი-ბ-აა)

წ-უზ (შ-უზ) „ყოფნა“ (ღა-წ(შ)-ნუ-, მაგრამ შ-ულ- (აი-წ!) „იყავი“

ფ-უზ- (კ-უზ) „თქმა“, (ღა-ფ-ნუ-, მაგრამ კ-ურა (აი-ფ!) „თქვი!“
გ-უზ „მიცემა“ (ღა-გ-ნუ, მაგრამ თ-უჟ-ნუ-) და სხვ.

მონოკონსონანტური ზმნური ძირები თაბასარანულში, როგორც წესი, არ გამოიყენება არც კლასის ნიშნებთან, არც ზმნისწინებთან.

უმეტესი წილი ზმნების ძირებისა ენაში ორ- და სამფონემიანი სტრუქტურისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორ- და სამფონემიანი ზმნური ძირები დიდი პროდუქტიულობით გამოირჩევიან ახალი ფორმების წარმოებისას. სხვადასხვა პრევერბის საშუალებით ისინი აწარმოებენ მრავალრიცხოვან ზმნურ ფუძეებს, ზმნების მთელ ჯგუფებს საერთო და ამავე დროს დამოუკიდებელი მნიშვნელობით:

ცბუზ² „შიგნით ჩაგდება“

ჰიფუზ „გადაგდება ან წალება ვიღაცის ან რაღაცის წინ“,

ქიფუზ „გვერდიდან რაღაცის წამოსხმა“,

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942, გვ. 262; Гудава Т. Е., Сравнительный анализ глагольных основ в аварском и аидийских языках. Махачкала, 1959, გვ. 47; Хайдаков С. М., Система глагола в дагестанских языках. М., 1975, გვ. 263; მისივე Очерки по лакской диалектологии. М., 1966, გვ. 183-185; Талибов Б. Б., Структура глагольных основ в дагестанских языках – წიგნში Сравнительно-историческая лексика дагестанских языков. М., 1971, გვ. 73-101.

² А. А. Магометов, Табасаранский язык. Тбилиси, 1965, გვ. 218. I სერიის ადგილობითი ბრუნვის ნიშანი ' (ც) ხმოვნისწინა და ინტერვოკალურ პოზიციაში სუსტდება და ორთოგრაფიაში არ აღინიშნება.

ქაფუზ „შეგდება რალაცის ქვეშ“,
ტიფუზ „რალაცის უკან გადაგდება“,
ილიფუზ „წამოსხმა რალაცისა ზემოდან“

ზ- „თან“ მნიშვნელობის მქონე ლოკატიური ბრუნვის ნიშანი უკვე ისე შეერწყა ჰ- „წინ“ მნიშვნელობის მქონე ზმნისწინს, რომ ზმნისწინად ზმნებში უკვე აღარ გამოდის.

ზმნის ძირი თაბასარანულ ენაში, როგორც წესი, შედგება ორი ფონემისაგან — ხმოვანი + თანხმოვანი, რომელთა შორის ინფიქსად ჩაისმის კლასის ნიშნები -ბ-, -რ.

კლასის ფორმანტებად ზოგიერთ ზმნურ ძირში გვაქვს წყვილბაგისმიერი ხშული ფ, წყვილბაგისმიერი აბრუპტივი ბ, წინაენისმიერი ხშული თ, წინაენისმიერი აბრუპტივი ტ, რომლებიც ბ და დ კლასის ნიშნების ფონეტიკური ვარიანტებია.

თაბასარანულ ენაში ძირები ამ ნიშნებით ცოტაა: ცო-ფ-უზ, ცო-თ-უზ „ჩაგდება, ჩაშვება რალაცაში“... ი-ტ-უზ, ი-ფ-უზ „ქამა“ და ა. შ.

რამდენიმე ზმნის ძირი ბრძანებითი კილოს მხოლოდითი რიცხვის ფორმაში კარგავს კლასის ნიშნებს და წმინდა სახითაა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ზმნური ძირები ათეულამდეა: აგ! „იპოვე!“, უჭო! „შედი!“, ახ! „დაიძინე!“, აბ! „შედნე!“ (შენობაში), ატ! „ამოავესე! (ხვრელი, ორმო)“, ქალ! „გაიმარჯვე!“, ბალგ! „მორთე!“, უბ! „ჩაღე!“, უშ! „იტირე!“, ე ც! „ჩაჭექე! (რალაცაში)“, ქუჩ (ქათ)! „შეეხე!“

მიუხედავად იმისა, რომ ამ ძირებში არა გვაქვს წარმოდგენილი კლასის ნიშნები, თავიანთი სემანტიკით ისინი ყველა განეკუთვნება ადამიანთა კლასს. საფიქრებელია, რომ ამ ზმნებმა თაბასარანულ ენაში შემოინახა თავიანთი ძველი ფორმა, რაც მეტად საინტერესოა გრამატიკული კლასის განვითარების პროცესის შესასწავლად.

§ 4. ფონოტაქტიკური შეზღუდვები ზმნურ პირებზე პრევერბთა დართვისას

თაბასარანულ ენაში, რიგი დადესტნური ენების მსგავსად, წარმოდგენილია ლოკატიური ბრუნვის რთული სისტემა და, ამასთან ერთად, პრევერბთა რთული სისტემა. გვაქვს ისეთი ენებიც, სადაც პრევერბები არა აქვს ზმნას. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პრევერბები არა აქვს, მაგალითად, ხუნძურსა და ლაკურ ენებს¹ დარგულში გვაქვს პრევერბები, ოღონდ დიალექტების მიხედვით მათ არაერთგვაროვანი გავრცელება პოვეს². პრევერბები გვაქვს ლეზგიურ ენებშიც: საკუთრივ ლეზგიურში, აღულურში, წახურულში, რუთულურში, თაბასარანულში.

პრევერბები იბერიულ-კავკასიურ ენებში შეიძლება გვექნდეს ორი რიგისა³: მიმართულებითი პრევერბები, რომლებიც გამოხატავენ მხოლოდ მიმართულებას და პრევერბები ადგილობითი, ანუ სივრცითი დამოკიდებულების გამომხატველნი, რომლებიც უჩვენებენ როგორც ადგილს, მყოფობას სივრცეში, ასევე მიმართულებას. რიგ ენებში პრევერბთა ორივე ტიპი გვაქვს, ხოლო რიგ ენებში მხოლოდ სივრცითი პრევერბები გვხვდება.

ლეზგიურ ენებში ძირითადად წარმოდგენილია სივრცითი პრევერბები. ა. ღირი უდარებს პრევერბებს ლეზგიურ ენებში: წახურულში, რუთულურში, აღულურსა და თაბასარანულში და ადგენს პრევერბთა სისტემას; იგი თაბასარანული ენის მასალაზე მსჯელობით სწორად აღნიშნავს პრევერბთა არსებობას ამ ენებში⁴.

ბ. უსლარი არ გამოყოფს პრევერბებს თაბასარანულ ენაში⁵ ამ ენის შემდგომი მკვლევრები მიუთითებენ პრევერბთა არ-

¹ Арн. Чикобава. Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками. ენისკის მოამბე, XII, თბილისი, 1942.

² А. А. Магометов, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

³ იქვე, გვ. 216.

⁴ А. Дирр, Цахурский язык, Тифлис, 1913, გვ. 63.

⁵ П. К. Услар, Табасаранский язык, 1979 წ.

სებობას თაბასარანული ენის ზმნაში. ა. დირი აღნიშნავს, რომ ლოკატიური ბრუნვის ნიშნები შეიძლება გამეორდეს რიგ ზმნებში ადგილობითი პრეფიქსების სახით; კ. ბოუდა მიუთითებს, რომ სახელური სუფიქსები თაბასარანულ ენაში შეიძლება განმეორდეს ზმნის წინ სივრცითი დამოკიდებულების გადმოსაცემად. ამასვე აღნიშნავენ დანარჩენი მკვლევრები¹.

თაბასარანულ ენაში პრევერბები ქმნიან სისტემას, რომელიც შეესაბამება ადგილობით ბრუნვებს, პრევერბებში მეორდება ადგილობითი ბრუნვის სუფიქსები. პრევერბები ზმნისათვის იგივეა, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიკა და მეორეც ოდეს-ღაც იყვნენ დამოუკიდებელი, მაგრამ დაკარგეს დამოუკიდებლობა და შეერწყნენ სახელებს ან ზმნებს ქართულში².

აღ. მაჭომეტოვი გვადლევს ადგილობითი ბრუნვებისა და, შესაბამისად, პრევერბების სისტემას ამგვარად:

ადგილობითი ბრუნვების სუფიქსები	პრევერბები
-ქა(-ქაი)	ქა(გ-) „ქვეშ“
-ჭ	ჭ- „უკან“
-ღ'(-ვა)	ღ'(-ვა-) „შორის“
-ქ	ქ- „ზე“ (ვერტიკალურ სიბრტყეზე) - ც (-ცი)
ც- „ში“	
-ცინ(ც-ილ)	ილ- „ზე“ (ჰორიზონტალურ სიბრტყეზე)

შეიძლება მიერთოს ერთ ზმნას ყველა პრევერბი და აღნიშნოს სივრცითი დამოკიდებულება, მაგ. დითუზ „დასმა“:

ილითუზ „დასმა რალაცაზე“ (მაგალითად, ცხენზე)

¹ А. Дирр, Грамматический очерк табасаранского языка, СМОМПК, XXXV, Тифлис, 1905; К. Bouda, Beiträge zur Kaukasischen und sibirischen Sprachwissenschaft, 3. Das Tabassaransiche, Laipzig, 1939; Л. Жирков, Табасаранский язык, М.-Л., 1948; Б. Г.-К. Ханмагомедов, Система местных падежей в табасаранском языке, Махачкала, 1958; А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

² აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 267.

ცითუზ	რაღაცაში“
ქითუზ	რაღაცის უკან“
პითუზ	რაღაცის წინ“
ქითუზ	რაღაცის ქვეშ“
ღითუზ	რაღაცის შორის, საღღაც დატოვება“
ქითუზ	„ რაღაცასთან შეხებით“ ¹

პრევერბი იკავებს გრამატიკული კლასის ნიშნის ადგილს. VC სტრუქტურის ზმნურ ძირებს ლოკატიური წარმოშობის პრევერბები უშუალოდ მიერთვის და თავიკიდურ პოზიციაში დახურულ მარცვალს ქმნის. მანამდე მის ადგილას გრამატიკული კლასის ნიშანი იდგა, რომელიც VC სტრუქტურის ძირის მქონე ზმნას სემანტიკას სძენდა. ახლა სემანტიკური ბირთვი გადადის ზმნისწინზე.

თაბასარანულ ენაში პრევერბები ლოკატივსა და მიმართულებას გამოხატავს ერთნაირად, ე. ი. პრევერბი არ იცვლება იმის მიხედვით, გამოხატავს იგი მყოფობას სივრცეში თუ მოძრაობას, მიახლოებას თუ დაშორებას. თუ დაშორება ან საპირისპირო მოძრაობა უნდა გამოიხატოს, მაშინ ზმნისწინს დაერთვის მეორე კომპონენტი და(რა); ხმოვანი ელემენტი შეიცვლება იმის მიხედვით, თუ რა ხმოვანი გვექნება ძირში. იდენტური ხმოვანი ჩნდება აგრეთვე ზმნისწინის თანხმონით ელემენტსა და ამ მეორე კომპონენტს შორის, რადგანაც თავიკიდურ პოზიციაში თანხმონთანაკომპლექსი, თუნდაც მეორეული, აკრძალულია რიგი შემთხვევების გარდა. და(რა) ფორმანტი ზმნას ანიჭებს საპირისპირო მნიშვნელობას:

„მიერთება	—	„გათიშვა“
არსუზ	—	ადარსუზ
ჰარსუზ	—	ჰადარსუზ
ვარსუზ	—	ვთარსუზ
ქარსუზ	—	ქადარსუზ

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

ღაჯარსუზ — ღადაარსუზ

აღარსუზ — აღდაარსუზ

ქარსუზ — ქთარსუზ

ე. ი. -და- კომპონენტის ჩართვა იწვევს ზმნისწინის ხმოვნის მიერთებას, რომელიც სინჰარმონიზმით იდენტური იქნება ზმნური ძირისა. გამონაკლისს წარმოადგენს ლ- ზმნისწინი. სონორის დისტრიბუცია თავკიდურ პოზიციაში შეზღუდულია, ამიტომ ხმოვანი მას მიერთვის წინ და არა მომდევნოდ.

აღარსუზ „მიერთება რალაცაზე, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე“

აღდაარსუზ „გათიშვა, მოხსნა რალაცაზე-დან“

აღანუზ „დაყრა ფხვიერი საგნისა რალაცაზე, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე“

აღ-და-ნუზ „გადმოყრა ფხვიერი საგნისა რალაცაზე-დან“

გამონაკლისებია აგრეთვე ქ- და ჯ- ზმნისწინები, რომლებიც -და- კომპონენტს მიიერთებენ, რადგანაც თავკიდურ პოზიციაში მეორეული თანხმოვანთკომპლექსი შემდგარი ორი ფშვინვიერისაგან ან ფშვინვიერისა და გემინატისაგან ბუნებრივია ენაში, -და კომპონენტის თანხმოვანი ყრუვდება ჯ- და ქ- ფონემებთან მეზობლობაში და ვიღებთ მისაღებ მეორეულ ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებს:

ჯანუზ „რალაცის უკან დაყრა ფხვიერი საგნისა“

ჯ-თა-ნუზ < ჯ-და-ნუზ < ჯა-და-ნუზ „უკანა მხრიდან ფხვიერი საგნის აღება, მოცილება“, „ტომრიდან ნარჩენების გადმოყრა“

ჯარსუზ „რალაცის უკან მიერთება“

ჯთარსუზ < ჯ-და-არსუზ < ჯა-და-არსუზ „რალაცის უკანიდან გათიშვა,

მოხსნა“

ქარსუზ „რალაცაზე, ვერტიკალურ სიბრტყეზე მიერთება“

ქთარსუზ < ქ-და-რსუზ < ქა-და-რსუზ „რაღაცადან, ვერტიკალური სიბრტყიდან გამოთიშვა, მოხსნა“

თუ პრევერბი გემინატია, მაშინ თავკიდურ პოზიციამი მეორეული თანხმოვანთკომპლექსი არ მიიღება:

ქა-ზუზ „დაყრა ფხვიერი საგნისა რაღაცის ქვეშ“

ქა-და-ზუზ „გადმოყრა ფხვიერი საგნისა რაღაცის ქვეშიდან“

ქარსუზ „მიერთება რაღაცის ქვეშ“

ქა-და-რსუზ „მოხსნა, გათიშვა რაღაცის ქვეშიდან“

ზმნისწინებში ცვლილებებმა თაბასარანულ ენაში შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დაშორება ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ზმნებში დიალექტებისა და თქმების მიხედვით. მაგალითად, ზმნას მნიშვნელობით „დაბრუნება“ სამხრულ დიალექტში აქვს ფორმა **ვთაქუზ**, ხოლო ტივაქის თქმაში — **ვარქუს**. ორივე ზმნას აქვს არა მარტო ერთნაირი მნიშვნელობა, არამედ ერთნაირი სტრუქტურაც. მათ შორის სხვაობა მეორეულია. სამხრულ დიალექტში (ხივის თქმაში), სადაც ზმნაში გრამატიკული კლასი არაა შემონახული, ზმნას **ვთაქუზ** არა აქვს კლასის ნიშანი, რედუცირებულია აგრეთვე პრევერბისეული ხმოვანი, რის კვალობაზეც მოხდა ფონეტიკური ცვლილებები:

ვ-თაქუზ < ვ-დაქუს < ვა-დაქუზ

ჩრდილო დიალექტში, სადაც ზმნამ შემონახა გრამატიკული კლასის ნიშანი, ზმნას ექნება ფორმა **ვარქუს**, სადაც **რ** კლასის ნიშანია. ფონეტიკური ცვლილებები ზმნაში მოხდა პრევერბის მეორე კომპონენტისეული **რ-ს** დაკარგვის შემდეგ:

ვარქუს < ვა-არქუს < ვა-რარქუს

ტივაქის თქმაში აღდგენილი ფორმა **ვარარქუს** არის ცოცხალი და გავრცელებული ფორმა თაბასარანულში საერთოდ. ზმნაში **ვა-რა-რ-ქ-უს** **რ** მეორეულია ზმნისწინის შემდგომ კომპონენტში, პირველადი **დ** სამხრულ დიალექტშია შემონახული:

ვა-და-რ-ქ-უზ¹.

ტივაქის თქმა ანლაუტში თანხმოვანთკომპლექსს არ უშვებს არც ზმნაში და არც სახელში. ამიტომ ხმოვანი კი არ ამოვარდა, არამედ დაიკარგა თანხმოვანი, ხოლო ხმოვანთა შერწყმით მივიღეთ გრძელი ხმოვანი, რომელსაც ფონემური ღირებულება, რა თქმა უნდა, არა აქვს. ფონეტიკური ცვლილებები წარიმართა იმგვარად, რომ თავიიღურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსი არ მიგველო.

CVC სტრუქტურის მქონე ზმნური ძირები ზნისწინებს დაირთავენ აუცილებლად ხმოვნითი ელემენტით, რომელიც ზმნის ძირისეული ხმოვნის იდენტურია:

დუზ = „შეკრება“, „მოგროვება“

ცუ-დუზუზ „შეკრება რალაცის შიგნით, მოგროვება“

ჰუ-დუზუზ „შეკრება რალაცასთან, წინ, მოგროვება“

ქ-თუზუზ „შეკრება რალაცაზე, ვერტიკალურ სიბრტყეზე, მოგროვება“

ვ-თუზუზ „შეკრება რალაცის უკან, მოგროვება“

ქუ-დუზუზ „შეკრება რალაცის ქვეშ, მოგროვება“

ღუ-დუზუზ „შეკრება რალაცის შუა, მოგროვება“

უ ლ-დუზუზ „შეკრება რალაცაზე, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე“

რად || **რან** = „დაფქვა“

ცა-რადუზ „რალაცაში დაფქვა“

ქა-რადუზ „რალაცაზე, ვერტიკალურ სიბრტყეზე, დაფქვა“

ვა-რადუზ || ვან-რანუზ „რალაცის უკან დაფქვა“

ქა-რადუზ „რალაცის ქვეშ დაფქვა“

ღან-რადუზ || ღან-რანუზ „რალაცის შუა დაფქვა“

¹ A. A. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

აღ-დაღუზ || **წღ-დწხუზ** „რადაცაზე, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, დაფქვა“

ორი არაიდენტური სონორის თავმოყრა მორფემათა მიჯნაზე დაუშვებელია, ამიტომ **აღ-** პრევერბი **ღ** სონორზე დაწყებულ ზმნურ ძირს როცა მიერთვის, იგი (**ღ**) იცვლება **დ-**თი, რადგანაც ინლაუტში **ღღ** თანხმოვანთკომპლექსი ბუნებრივია ენისათვის.

ტიშ = „შეზელა“

ცი-ტირშუზ

ჰი-ტირშუზ

ქ-ტირშუზ

ვ-ტირშუზ

ჟი-ტირშუზ

ღი-ტირშუზ

იღ-ტირშუზ

ტიშ = „ჩურთვა“

ცი-ტიშუზ

ჰი-ტიშუზ

—

ვ-ტიშუზ

ჟი-ტიშუზ

ღი-ტიშუზ

იღ-ტიშუზ

დენტოლაბიალიზებული თანხმოვანი თვით სონორთანაც კი არ ქმნის თანხმოვანთკომპლექსს. ამიტომ **ტიშ** - ზმნის მსგავს ზმნურ ძირებში ინფიქსად კლასის ნიშანი **ღ** არ გვექნება.

ზოგიერთი ზმნური ძირი მიიერთებს ზმნისწინებს რიგ შემთხვევაში, ზოგჯერ — არა; გვხვდება ისეთი ძირები, რომელთაც პრევერბი საერთოდ არ დაერთვის:

ტიკ = „ქრა“

ცი-ტიკუზ

ჰი-ტიკუზ

ქ-ტიკუზ

ვ-ტიკუზ

ჟი-ტიკუზ

იღ-ტიკუზ

ან = „კითხვა“

ადაწუზ / **ატა(ღ)წუზ**

მონოკონსონანტური ზმნური ძირები პრევერბებს, ისევე

როგორც კლასის ნიშნებს, არ დაირთავს. ასეთი ძირები ცოტაა ენაში:

ღ-უზ „მოსვლა“ (ღ-არ, ღ-აფნი, ღ'ურუ)...

ხ-უზ „მოტანა“ (ღა-ხ-უზ)

ზ-უზ (შ-უზ) „ყოფნა“ (ღა-ზ(შ)-ნუ, მაგრამ შ-ულ)

ფ-უზ, კ-უზ „თქმა“ (ღა-ფ-ნუ, მაგრამ კ-ურა)

გ'-უზ „მიცემა“ (ღა-გ'-ნუ, მაგრამ თუჟ-ნუ)...

ეს ზმნები, როგორც აღენიშნეთ, პრევერბებს არ დაირთავენ. ისინი უძველესი ზმნებია ენაში (შდრ. ქართ. არის—იყო; ამბობს—თქვა...).

პრევერბთა დართვას ზმნურ ძირებზე, როგორც გამოვლინდა, გარკვეული ფონოტაქტიკური კანონზომიერებანი ედება საფუძვლად.

აქ არ შეეჩერდებით პრევერბთა მიერ ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების ფუნქციაზე. იგი ცალკე მსჯელობის საგანია.

§ 5. კლასის ნიშანთა განლაგება ზმნურ ძირებში

დადესტნურ ენათაგან გრამატიკული კლასი, როგორც მოქმედი მორფოლოგიური ოდენობა, გვაქვს ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში. ლაკურ-დარგულ ენებში, იგი უკვე დაკარგულია ლეზგიურ ენებში: საკუთრივ ლეზგიურში, აღულურსა და უდიურში.

გარდამავალი საფეხური წარმოდგენილია თაბასარანულ ენაში. მას ტერიტორიულად ერთი მხრიდან ემეზობლება ენა, სადაც გრამატიკული კლასი კარგადაა შემონახული — ჩრდილოეთით დარგული ენა და მეორე მხრიდან — ენები, სადაც გრამატიკული კლასი უკვე დაკარგულია — სამხრეთით ლეზგიური ენა და სამხრეთ-დასავლეთით — აღულური ენა.

იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ კლასს განეკუთ-

ვნება ესა თუ ის არსებითი სახელი, მასთან სხვადასხვაგვარად იქნება შეთანხმებული დანარჩენი მეტყველების ნაწილები — ზმნა, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, აბსოლუტივი. ეს შეთანხმება მორფოლოგიურად გამოიხატება კლასის ნიშნებით, რომლებიც დასახელებულ მეტყველების ნაწილებში სხვადასხვა პოზიციებში გვხვდება. ოღონდ, თავად არსებით სახელში — არა გვაქვს, გარდა გაქვევებული კლასის ნიშნებისა. თუ რომელ გრამატიკულ კლასს მივაკუთვნებთ ამა თუ იმ არსებით სახელს, განისაზღვრება სემანტიკურად. არადა, კლასებად კლასიფიცირდება სწორედ სუბსტანტივები, მაგრამ მათში მორფოლოგიური მარკერი იშვიათი გამონაკლისის გარდა არა გვაქვს.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ გრამატიკული კლასის ნიშანთა განლაგებას ზმნურ ძირებში. იგი მეტად საინტერესო მოვლენა გახლავთ როგორც თაბასარანულ ენაში, ასევე ზოგადი თვალსაზრისითაც.

თაბასარანულ ენაში დღეს ორი გრამატიკული კლასი გვაქვს. არსებით სახელებში იგი ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიაა, ზმნაში კი — მორფოლოგიური. იგი ვლინდება შეთანხმების სხვადასხვა ფორმებში არსებითი სახელის კლასის მიხედვით. არსებით სახელებთან შეთანხმებულ ზმნებს ორივე კლასის ფორმები გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ თითქმის ყველა ზმნა იცვლება გრამატიკული კლასის მიხედვით. მოცემული კატეგორიის მორფოლოგიური თავისებურება გახლავთ ის, რომ ზმნის ფუძე არსებით სახელს უკავშირდება და პრეფიქსის ან ინფიქსის სახით წარმოგვიდგენს გრამატიკული კლასის ნიშნებს. იგი გამოიყენება ზმნის სახელთან შეთანხმებისათვის, აგრეთვე სინტაქსური კავშირების ფორმათა წარმოებისათვის. აქ ვლინდება გრამატიკულ კლასთა სინტაქსური თავისებურებები. ამ თვალსაზრისით, გრამატიკული კლასის ნიშნები კოორდინირებას ახდენს ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. მაგრამ ზმნის ფუძეში კლასის ნიშნის მთავარ ფუნქციად რჩება სახელის გრამატიკული კლასის გამოხატვა. კლასის ნიშანი კი ზმნაში, როგორც აღვნიშნეთ, ან პრეფიქსია, ან ინფიქსი.

კლასის ნიშანი პრეფიქსია:

ბ-იკ-უნ, დ-იკ-უნ „წერა“

ბ-იყ-უნ, დ-იყ-უნ „ამღვრევა“, „არევა“

ბ-ის-უნ, დ-ის-უნ „დაქერა“, „აღება“

ბ-ივ-უნ, დ-ივ-უნ „პოვნა“...

კლასის ნიშანი ინფიქსია:

ა-ბ-გ-უნ (აგ- ძირი) „გათბობა“

ა-ბ-ს-უნ (ას- ძირი) „გაპობვა“

ა-ბ-ჰ-უნ (აჰ- ძირი) „ქსოვა“

ა-რ-ხ-უნ (არ- ძირი) „გაწმენდა“

ტო-(ბ, რ)-ხ-უნ (ტოხ- ძირი) „ფრენა“

ტუ-(ბ, რ)-შ-უნ (ტუშ- ძირი) „დაფერთხვა“,
„რყევა“

ჯა-(ბ, რ)-ლ-უნ (ჯალ- ძირი) „ქენება“

შ-უ-ბ-ყ-უნ (შუყ- ძირი) „ღეკვა“

ჰა-(ბ, რ)-ხ-უნ (ჰახ- ძირი) „გაქყლეტა“,
„გასრესა“...

თაბასარანულ ენაში ვხვდებით მეტად საინტერესო მოვლენას — რიგ თანხმოვანს გააჩნია უნარი, განსაზღვროს გრამატიკული კლასი ზმნის ძირებში, აგრეთვე მისგან ნაწარმოებ მიმღობებში. გრამატიკული კლასისა და რიცხვის განსაზღვრელ ფუნქციას ასრულებს შემდეგი თანხმოვნები: ფ, ფ, პ, თ, ტ. მოცემულ თანხმოვანთა ფუნქცია — მორფოლოგიურიცა და სემანტიკურ-სინტაქსურიც — იდენტურია ტრადიციული კლასის ნიშნებისა: ბ, რ, დ, ლ — ფუნქციისა. თანხმოვნების ორივე რიგი ამა თუ იმ სახელს მიაკუთვნებს ან ნივთის, ან ადამიანის კლასს, ზმნას ანიჭებს განსხვავებულ სემანტიკას და გარდამავალ ზმნაში ახდენს კოორდინირებას სუბიექტსა და ობიექტს შორის.

ოღონდ, ზმნის ფუძეში განლაგების მიხედვით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კლასის ნიშნები: ბ, რ, დ, ლ შეიძლება შეგვხვდეს ანლაუტსა და ინლაუტში, ხოლო

ფ, ფ, პ, თ, ტ თანხმოვნები მხოლოდ აუსლაუტში წარმოგვიდგება კლასის ნიშნებად. ეს თანხმოვნები ისტორიულად ზმნის ძირის შემადგენლობაში შედიოდა, ძირს ქმნიდა. თანამედროვე დონეზე მოხდა მათი ხელახალი გადააზრება — ისინი კლასის ნიშნებად იქცა — ამ თანხმოვნით ელემენტებს უკვე აღარ შეუძლია სხვა ფუნქციის შესრულება.

ზმნის ძირში კლასის ნიშნის ინფიქსაცია — ზმნის ძირის გათიშვა მორფოლოგიური ნიშნით, ისევე როგორც აუსლაუტში კლასის ნიშნად გარკვეული თანხმოვნების წარმოდგენა, განსაკუთრებული და საყურადღებო ენობრივი მოვლენაა და იგი ახსნას საჭიროებს. არაა გამორიცხული სხვა ენათა ტიპოლოგიური ანალოგიაც. კლასის ნიშანთა განლაგება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში ფონოტაქტიკითაცაა შეზღუდული.

თუ სახელში შემორჩა ფუნქციონირებადი გრამატიკული კლასის ნიშანი, იგი აუცილებლად პრეფიქსია. გრამატიკული კლასი ყველაზე მეტ ცვალებადობას ზმნაში განიცდის. ჩრდილო დიალექტმა ეს კატეგორია უკეთ შემოინახა, ვიდრე სამხრულმა დიალექტმა, — აღნიშნავს ალ. მაჰომეტოვი¹. აქ გრამატიკული კლასის მოშლის პროცესი დასრულებულია (შევედართ ლეზგიური ენა). ამრიგად, მსჯელობა გრამატიკული კლასის ნიშნის ზმნაში განლაგებაზე ეხება ჩრდილო დიალექტს (ემეზობლება დარგული ენა).

კლასის ნიშანი ზმნაში გვხვდება შემდეგ პოზიციაში:

- I. კლასის ნიშანი პრეფიქსია
- II. კლასის ნიშანი პრეფიქს-ინფიქსია
- III. კლასის ნიშანი ინფიქსია

I. VC სტრუქტურის მქონე ზმნურ ძირებში კლასის ნიშანი პრეფიქსია. ანლაუტში კლასის ნიშნის დართვით იქმნება დახურული მარცვალი, რაც ბუნებრივია თაბასარანული ენისათვის (CVC):

ბ-ის-უზ „დაქერა“ (O ნივთ. კლ. მხ. რ.) ის- ძირი

¹ А. А. Магомедов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 84.

ბ-იკ-უზ „წერა“ (O ნივთ. კლ. მხ. რ.) **იკ-** ძირი

დ-ით-უზ „დაჯენა“ (O ად. კლ. მხ. რ.) **ით-** ძირი

კლასის ნიშნის ადგილი ანლაუტში შესაძლებელია პრევერბმა დაიკავოს, ხოლო კლასის ნიშანი უკვალოდ იკარგება. თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსი შეზღუდული დისტრიბუციით ხასიათდება. ამიტომ ორი მორფემა ერთმანეთს არ ხვდება:

დ-ით-უზ „დასმა“ — მიმართულების გარეშე (**დ-** კლ. ნ.)

ც-ით-უზ „დასმა რალაცაში“

კ-ით-უზ „დასმა რალაცის უკან“

ჰ-ით-უზ „დასმა რალაცის წინ“

ქ-ით-უზ „დასმა რალაცის ქვეშ“

ღ-ით-უზ „დასმა რალაცის შუა, სადღაც დატოვება“

ქ-ით-უზ „დასმა რალაცაზე“ (ვერტიკალურ სიბრტყესთან შეხება)

ილ-ით-უზ „დასმა რალაცაზე“ (ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, მაგალითად, ცხენზე)

ბოლო მაგალითში **ილ-ით-უზ** კიდევ ერთი ფონოტაქტიკური კანონზომიერება ვლინდება: **ლ** სონორი სიტყვის დასაწყისში არ გვხვდება. ამიტომ წინ მას ერთვის ხმოვანი, იდენტური ზმნურ ძირში არსებული ხმოვნისა. აქაც მოქმედებს სინჰარმონიზმის პრინციპი.

II. VC სტრუქტურის მქონე ზმნური ძირები, როცა სუბიექტი ადამიანის კლასისაა, ერთდროულად მიმართავს პრეფიქსინფიქსაციას:

ბ-იჟ-უზ „შეშინება“ (S ნივთ. კლ., მხ. რ. **იჟ-** ძირი)

შდრ. **დ-ი-რ-ჟ-უზ** „ (S ად. კლ., მხ. რ.)

დ- პრეფიქსი და **-რ** ინფიქსი ერთდროულად მიუთითებს, რომ სუბიექტი ადამიანის კლასისაა. ინლაუტში აუცილებლად **რ** სონორი გვექნება, რადგანაც ამ პოზიციაში სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი ბუნებრივია ენისათვის, ხოლო ანლაუტში — **დ-**, რადგანაც გამოყენებული იქნება არაიდენტური ნიშნები, თანაც **რ** სონორის თავკიდურ პოზიციაში განთავსება სუსტია.

მრავლობით რიცხვში კლასი არ განირჩევა, მხოლოდ ერთი ნიშანი გვექნება ამ კატეგორიის გამოსახატავად — აუცილებლად დ-, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რ-ს დისტრიბუცია ამ პოზიციაში შეზღუდულია:

დ-იჟ-უს (S კლასის განურჩევლად)

III. CVC სტრუქტურის მქონე ზმნურ ძირებში კლასის ნიშანი ინფიქსია. ინფიქსაციისათვის გამოყენებული იქნება ან რ, ან ჟ:

ტი-ჟ-ხ-უს „ფრენა“ (RS ნივთ. კლ., მრ. რ.) ტინ- ძირი

ტი-რ-ხ-უს (RS აღ. კლ., მხ. რ.)

ტი-რ-ხ-უს (RS მრ. რ.)

კლასის ნიშანი ინფიქსია აგრეთვე რიგ VC სტრუქტურის მქონე ზმნურ ძირებში. ასეთ ზმნებს პრეფიქსად ლოკატიური ბრუნვისნიშნისეული პრეფერბები დაერთვის:

ა-ბ-ღ-უს „გაყინვა“ აღ- ძირი

ა-ბ-გ-უს „გათბობა“ აგ- ძირი

ჟ-ბ-ლ'-უს „მტვრევა“ ჟლ'- ძირი

ჟ-ბ-ხ'-უს „დაცვა“ ჟხ'- ძირი

ამგვარ ძირებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სემანტიკა მხოლოდ კლასის ნიშნის ინფიქსაციით ეძლევა.

კვლევით ვლინდება, რომ გრამატიკული კლასის ნიშანთა განლაგების კანონზომიერებანი ენაში ფონოტაქტიკური შეზღუდვებითაა შეპირობებული.

§ 6. ზმნურ სუფიქსთა დისტრიბუცია თაბასარანულ ენაში

თაბასარანულ ენაში ზმნურ ფუძეში წარმოდგენილია ოც-დაათზე მეტი ზმნური სუფიქსი; ეს სუფიქსები პროდუქტიულია ფუძეთა სხვადასხვაგვარი მოდელების წარმოების დროს. ყველაზე უფრო ინტენსიურად გამოიყენება სუფიქსები: **-უბ**, **-უბ**, **-უზ**, **-უზ**, **-სი**, **-მიტლა**, **-ჯან**, **-ყან**, **-გან**, **-შ**, **-უნ**, **-უნ**, **-უა**, **-უა**, **-ურ**, **-ურ**, **-ნია**, **-აა**, **-აა**, **-ინ** და სხვ., — აღნიშნავს ლ. ყურბანოვი¹.

-უბ, **-უბ** სუფიქსებით იწარმოება მასდარი. **-უბ** გამოიყენება ისეთ ფუძეებში, სადაც გვაქვს **ჟ** და **ჰ** ფარინგალიზებული ხმოვნები, სხვა შემთხვევაში ყოველთვის გამოიყენება **-უბ**. მაგ.:

დაჯ-უბ	„წოლა“
ბის-უბ	„ქერა“
ლიც-უბ	„სიარული“
ლის-უბ	„მუშაობა“
ფ-უბ	„თქმა“
ხ-უბ	„მოტანა“
ხ(შ)-უბ	„ყოფნა“
დარხ-უბ	„ხერხეა“
ჭარღ-უბ	„ჩხვლეტა“, „ფლეთა“
ჟრხ-უბ	„გაფრთხილება“
ღაღ-უბ	„სვლა“
ღ-უბ	„მოსვლა“
რაღ-უბ	„ფქვა“
რაჟ-უბ	„ხედვა“ და სხვ.

მონოკონსონანტური ზმნური ძირები მასდარს **-უბ** სუფიქს-

¹ К. К. Курбанов, Морфология табасаранского языка, Махачкала, 1986, გვ. 96.

სით აწარმოებს, გარდა ღ'-უბ „მოსვლა“ ზმნისა.

ანალოგიური ვითარებაა ინფინიტივის -უზ, -უზ სუფიქსების დართვისას:

აპ-უზ	„კეთება“
აწ-უზ	„გავსება“
ბიკ-უზ	„წერა“
დირჯ-უზ	„მოხრა“
ჭიკ-უზ	„რეცხვა“
ერს-უზ	„ხტომა“
აგ-უზ	„ძებნა“
ახ-უზ	„ძილი“
ბის-უზ	„დაქერა“
ბირხ-უზ	„კერვა“
ჟარღ-უზ	„გაქცევა“

მასდარისა და ინფინიტივის სუფიქსები უშუალოდ მიერთვის CVC, VC და C სტრუქტურის მქონე ზმნურ ძირებს.

სუფიქსები -სი და -მიტლა (მნიშვნელობით „როგორც კი“) უშუალოდ მიერთვის ზმნის ნამყო მიმღობის ფორმას: **ღაფი** „მოსული“ — **ღაფი-სი** „როგორც კი მოვიდა“ || **ღაფი-მიტლა**.

-ჯან (მნიშვნელობით „მას შემდეგ, რაც“) სუფიქსიც აწარმოებს ზმნურ ფორმას ნამყოს მიმღობაზე დართვით:

ღაფი-ქან „მას შემდეგ, რაც თქვა“

ღუშუ-ღუშიჯან „მას შემდეგ, რაც წავიდა“

სუფიქსი -უ რედუცირდება ბოლოში. სუფიქსს -ჯან ჩვეულებრივ ახლავს ზმნიზედები **მინა**, **თინა**, რომლებიც ზმნის ფორმას ცოტა განსხვავებულ ელფერს ანიჭებენ:

ჯხ'უ ღაში-ჯან-მინა „მას შემდეგ, რაც წამოიზარდა“

ღუშ-ჯან-თინა „მას შემდეგ, რაც წავიდა“

მორფემათა მიჯნაზე ენა ცდილობს შეინარჩუნოს სრულხმოვნინაობა, მაგრამ შესაძლებელია რედუქციაც, თუ მიიღება დასაშვები მეორეული ორწევრა თანხმოვანთკომპლექსი: **ღუშ-ჯან-თინა**.

-შ სუფიქსით იწარმოება კავშირებითი კილოს ფორმები შესაბამისი ზმნის თხრობითი კილოს ფორმებისაგან:

ბიკურა „წერს“ — ბიკურაშ „თუ წერს“, „წერდეს“

ლიბიკნუ „დაწერა“ — ლიბიკნუშ „თუ დაწერა“, „დაწერდეს“

სუფიქსი **-ნუ** უშუალოდ მიერთვის ზმნის ძირს და ერთდროულად დროსაც გამოხატავს და ასპექტსაც: ქაღაზ ლიბიკნუ-ზა „წერილი დავწერე“.

